

საქართველოს ეროვნული ბანკი

წლიური ანგარიში

2008 წელი

სარჩევი

შესავალი	4
1. მაკროეკონომიკური გარემო.....	9
1.1 მსოფლიო ეკონომიკა	9
1.2 ეკონომიკის ზრდა.....	11
1.3 სამომხმარებლო ფასების ცვლილება	12
1.4 სახელმწიფო ფინანსები	15
1.5 ეკონომიკის საგარეო სექტორი და საგადასახდელო ბალანსი	17
1.6 საფინანსო ბაზრები	23
2. ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა	25
2.1 ფულად-საკრედიტო პოლიტიკა.....	25
2.2 სავალუტო პოლიტიკა და საერთაშორისო რეზერვების მართვა.....	30
2.3 ფულის მიწოდება.....	32
2.4 ფულად საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტები.....	34
3. საბანკო სექტორი	37
4. საგადახდო სისტემა	40
5. შიდა აუდიტი და საბუღალტრო აღრიცხვა	41
6. საკასო-საემისიო სამუშაოების ორგანიზაცია.....	42
7. საზოგადოებასთან ურთიერთობა და საერთაშორისო თანამშრომლობა	45
8. საქართველოს ეროვნული ბანკის პერსონალი და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზება	46
9. ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის განვითარება	47
10. სტატისტიკური ცხრილები	49
11. ფინანსური ანგარიშგება	72

შესავალი

წარმოდგენილი წლიური ანგარიში მომზადებულია „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 62-ე და 62¹-ე მუხლების შესაბამისად და ასახავს „ანგარიშს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განხორციელების შესახებ“ და „აუდიტორების მიერ დამოწმებულ საფინანსო ანგარიშგებას“. დოკუმენტში განხილულია ის პრიორიტეტული მიმართულებები, რომლითაც ხელმძღვანელობდა ქვეყნის ცენტრალური ბანკი საანგარიშო პერიოდში. აგრეთვე, მისი შეფასებები ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე პროცესებზე, რომლებიც 2008 წლის განმავლობაში არსებით გავლენას ახდენდნენ საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობასა და ეროვნული ბანკის მიერ დასახული ამოცანების შესრულებაზე.

2008 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის შემუშავებისას ხელმძღვანელობდა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული ძირითადი ამოცანებითა და ფუნქციებით, რომლის თანახმადაც, ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა. აგრეთვე, ეროვნულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს ფინანსური სისტემის სტაბილურობა და გამჭვირვალობა და ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ ზრდას, თუ ეს შესაძლებელია ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მისი ძირითადი ამოცანის შესრულებას.

საქართველოს ეროვნული ბანკი საანგარიშო წლის განმავლობაში თავის საქმიანობას „2008 წლის საქართველოს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2007 წლის 18 დეკემბრის N5634 დადგენილების შესაბამისად ახორციელებდა. საქართველოს პარლამენტის აღნიშნული დადგენილებით, 2008 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული

ბანკის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკას საფუძვლად დაედო წლიური ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი 8 პროცენტის ფარგლებში, ამავდროულად, ეგზოგენური ფაქტორების შემთხვევაში შესაძლებელი იყო საპროგნოზო მაჩვენებლიდან გადახრა. ამასთანავე, თუ გადახრის მასშტაბი იმდენად მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ ინფლაციაზე მოქმედ ისეთ ფუნდამენტურ ფაქტორზე, როგორცაა ინფლაციური მოლოდინი, მოახდენდა პოტენციურ გავლენას, ეროვნული ბანკი ასეთ შემთხვევას მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებით (ან შერბილებით) უპასუხებდა.

2008 წელი განსაკუთრებულად გამორჩეული წელი იყო საქართველოს ეკონომიკისათვის ამ პერიოდში განვითარებული მსხვილი უარყოფითი ეგზოგენური შოკებიდან გამომდინარე. რუსეთის აგრესიამ 2008 წლის აგვისტოში და შემდეგ სექტემბრის ბოლოს მსოფლიო საფინანსო კრიზისის გამწვავებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ქვეყნის ეკონომიკაზე და შესაბამისად სერიოზული გამოწვევების წინაშე დააყენა საქართველოს ეროვნული ბანკი.

ძირითადად ეგზოგენური და ნაწილობრივ მონეტარული ფაქტორების გავლენით 2008 წელს ინფლაცია საკმაოდ მაღალი მერყეობით ხასიათდებოდა. 2008 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში წლიური ინფლაციის მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რასაც ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებით უპასუხა. ეროვნული ბანკი 2008 წლის მეორე ნახევრიდან მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებას უნდა გამოეღო თავისი შედეგი და ინფლაციას კლების ტენდენცია ექნებოდა. თუმცა წლის მეორე ნახევრის დასაწყისში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ უფრო გააძლიერა დისინფლაციის ტენდენცია. ინფლაციის შემცირებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მსოფლიო სასაქონლო ბაზრებზე ფასების დაცემამ და შედეგად წლის ბოლოს ინფლაციის მაჩვენებელი მკვეთრად

– 5.5 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო საშუალო წლიური ინფლაციის მაჩვენებელმა 10 პროცენტი შეადგინა.

2008 წლის პირველ ნახევარში საქართველოს ეროვნული ბანკი სავალუტო პოლიტიკას ახორციელებდა მცურავი გაცვლითი კურსის პირობებში, რომლის განმავლობაშიც ეროვნულმა ბანკი ცდილობდა გაეზარდა გაცვლითი კურსის მოქნილობა. ამასთან, ლარის კურსის მკვეთრი კონიუნქტურული რყევის თავიდან აცილებისა და სავალუტო ბაზარზე სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებდა ორმხრივ სავალუტო ინტერვენციებს.

წლის პირველ ნახევარში, საქართველოს ეროვნული ბანკი ეტაპობრივად ცდილობდა გაცვლითი კურსის ბაზარზე მისი ჩარევის შემცირებასა და მოკლევადიანი მერყეობების დაშვებას, რაც თავის მხრივ საშუალო და გრძელვადიან პერიოდში გაცვლითი კურსის სტაბილურობას უწყობს ხელს. თუმცა რუსეთის აგრესიის ფინანსურ სტაბილურობაზე უარყოფითი გავლენის შერბილების მიზნით ეროვნული ბანკი იძულებული იყო დროებით შემოეღო ფიქსირებული გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ. ოქტომბრის მეორე ნახევარში, მსოფლიოში მიმდინარე ფინანსური კრიზისის გამწვავების ფონზე საერთაშორისო სავალუტო ბაზრებზე აღინიშნა აშშ დოლარის მკვეთრი გამყარება თითქმის ყველა ძირითადი ვალუტის მიმართ, რამაც ძალაუვნებურად გამოიწვია ლარის გამყარება ამავე ვალუტებთან მიმართებაში. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ეკონომიკურად ყველაზე მიზანშეწონილი გამოსავალი ლარის ერთჯერადი დევალვაცია იყო, რაც განხორციელდა კიდევ 2008 წლის ნოემბრის დასაწყისში. დევალვაციის შედეგად ლარის კურსი დოლართან მიმართებით 16 პროცენტით დაეცა და ამის შემდეგ სავალუტო ბაზარზე აღდგა წონასწორობა მოთხოვნა-მიწოდებას შორის. ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი დაუბრუნდა აგვისტოს დასაწყისის მაჩვენებელს. გარდა იმისა, რომ დევალვაციამ ხელი შეუწყო სავალუტო ბაზარზე სტაბილურობის აღდგენას და მიმდინარე ეტაპზე

შეამცირა წნეხი ქვეყნის საერთაშორისო სავალუტო რეზერვებზე, ეს აგრეთვე პრევენციული ზომა იყო რათა სამომავლოდ თავიდან აცილებულიყო დეფიციტური სავაჭრო ბალანსის შემდგომი მკვეთრი გაუარესება. საქართველო დევალვაციის საჭიროებამდე მიიყვანა რუსეთ-საქართველოს ომის შედეგებმა, რასაც დაემატა მსოფლიო ფინანსური კრიზისი. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ მსოფლიო ფინანსური კრიზისის გავლენა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ომის გარეშეც რეგიონის რამდენიმე ქვეყანა, სადაც მართვადი კურსის რეჟიმი არსებობდა, იძულებული გახდა ანალოგიური ნაბიჯი გადაედგა.

2008 წელს აშშ დოლარის მიმართ ლარის საშუალო წლიური გაცვლის კურსი 11 პროცენტით გამყარდა (1.6703–დან 1.4902–მდე), ხოლო წლის ბოლო მონაცემით გაცვლის კურსი 4.7 პროცენტით გაუფასურდა (ლარი/აშშ დოლარის გაცვლის კურსი 1.5916–დან 1.6670–მდე გაიზარდა).

წლის განმავლობაში მკვეთრ ცვლილებებს განიცდიდა აგრეთვე ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები. კერძოდ, საანგარიშო წლის განმავლობაში ნომინალური ეფექტური კურსი 14.4 პროცენტით, ხოლო რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი – 9.6 პროცენტით გამყარდა.

მსოფლიოს აბსოლუტურად ყველა ქვეყანა აღმოჩნდა გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის მსხვერპლი და უმრავლესობა მათგანში რეცესიური პროცესები განვითარდა. აღნიშნული კრიზისი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ყველაზე მძიმე კრიზისია. მიმდინარე კრიზისი ფართედ სინქრონიზირებულია (მოიცავს მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობას) და იგი ფინანსური კრიზისის შედეგად განვითარდა. როგორც ისტორიული გამოცდილება ადასტურებს საფინანსო სექტორის მიერ გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი უფრო მწვავეა და მისგან თავის დაღწევა უფრო დიდხანს გრძელდება. ამიტომაც, ზოგიერთი ექსპერტი პარალელს ავლებს მიმდინარე კრიზისსა და 1930-იანი წლების დიდ დეპრესიას შორის, რომელიც ყველაზე მძიმე და ხანგრძლივი რეცესია იყო მსოფლიოს ისტორიაში.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, მისი მასშტაბიდან გამომდინარე, ბუნებრივია საქართველოს გვერდს ვერ აუვლიდა და მან რამდენიმე ძირითადი არხის მეშვეობით მოახდინა მასზე გავლენა.

პირველ რიგში, ეკონომიკურმა კრიზისმა უარყოფითად იმოქმედა ზოგადად ინვესტიციების ნდობაზე, რამაც მათ უბიძგა უსაფრთხო აქტივებში გადაენაცვლებინათ სახსრები. შედეგად, შემცირდა კაპიტალური ნაკადები როგორც განვითარებად ქვეყნებში, ასევე თვით განვითარებული ქვეყნების კორპორატიულ სექტორში. 2008 წლის ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში საქართველოში აღინიშნებოდა როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების ტემპების საგრძნობი შენელება, ასევე სხვა კერძო უცხოური ინვესტიციების, მათ შორის სავალო კაპიტალის.

წლის პირველ ნახევარში გრძელდებოდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების და საფინანსო საქმიანობის ზრდის მაღალი ტემპების შენარჩუნება. შედეგად, ქვეყნის მშპ-ის რეალურმა ზრდამ წლის პირველ და მეორე კვარტალებში შეადგინა, შესაბამისად, 9.1 და 8.3 პროცენტი.

2008 წლის აგვისტოს ომისა და მსოფლიო საფინანსო კრიზისის შედეგად მესამე და მეოთხე კვარტალებში მშპ რეალურ გამოსახულებაში შესაბამისად 3.9 და 2.5 პროცენტით შემცირდა. 2008 წლის 6 თვის შემდეგ რეალური მშპ-ის ზრდის 8.7-პროცენტიანი მაჩვენებელი წლის ბოლოსათვის 2.1 პროცენტამდე შემცირდა.

კრიზისის შედეგად შემცირება დაიწყო წარმოების და ვაჭრობის მოცულობებმა მსოფლიოში, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახა საქართველოს ექსპორტზე მოთხოვნაზე. გარდა ამისა, საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ლითონების ფასების მნიშვნელოვანმა ვარდნამ ასევე უარყოფითი ასახვა ჰპოვა ქართულ ექსპორტზე. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად შეამცირა საქართველოს საექსპორტო შემოსავლები. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ნავთობზე და საკვებ პროდუქტებზე ფასების კლებამ შეამცირა დანო-

ლა ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე და ადგილობრივ ფასებზე.

მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონია რუსეთის ეკონომიკაზე, სადაც ადგილი ჰქონდა წარმოების მოცულობის კლებას და უმუშევრობის ზრდას. საბედნიეროდ, საქართველოს ეკონომიკა აღარ არის იმდენად დამოკიდებული რუსეთის ეკონომიკაზე, როგორც ეს თუნდაც რამდენიმე წლის უკან და შედეგად რუსეთის ეკონომიკის ვარდნიდან გამომდინარე საქართველოს ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენის მასშტაბი შეზღუდულია. თუმცა, ჯერჯერობით კვლავ მაღალი რჩება რუსეთის წილი ფულადი გზავნილების კუთხით და შესაბამისად რუსეთის ეკონომიკის დასუსტება უარყოფითად აისახა მათ შორის ფულად გზავნილებზე საქართველოში.

2008 წელს საქართველოს ეკონომიკაზე დიდი გავლენა იქონია ქვეყნის საბიუჯეტო პოლიტიკამ, საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრირების გაუმჯობესებამ, რამაც 2008 წელს ქვეყნის ბიუჯეტს დაგეგმილზე მეტი შემოსავალი მოუტანა. გადასახადების მშპ-თან შეფარდების მაჩვენებელმა 21.6 პროცენტიდან 24.9 პროცენტამდე მოიმატა.

შემოსავლების ზრდას ხარჯების მნიშვნელოვანი მატებაც მოჰყვა. 2008 წელს სახელმწიფო ხარჯების თანაფარდობამ მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 35 პროცენტი შეადგინა. საბიუჯეტო შემოსავლები და ხარჯები ზომიერად იყო დაბალანსებული და მონეტარული პოლიტიკის განხორციელებას არ უშლიდა ხელს.

2008 წელს საქართველოს სახელმწიფო და სახელმწიფო გარანტიით აღებული საგარეო ვალი 1.265 მილიარდი ლარით გაიზარდა და 31 დეკემბრის მდგომარეობით 3.695 მილიარდი ლარი შეადგინა. მიუხედავად აბსოლუტურ გამოხატულებაში მატებისა, საგარეო ვალის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია და მშპ-ის მიმართ 19 პროცენტს შეადგენს.

2008 წელს საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა 2850.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მშპ-ის 22 პროცენტია.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს შემცირების ტენდენცია ქონდა 2008 წლის მეორე ნახევრიდან, რაც, მოსალოდნელია რომ 2009 წელსაც გაგრძელდება. ამასთან აღსანიშნავია, რომ 2008 წლის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი არათუ სრულად დაფინანსდა, არამედ ადგილი ჰქონდა სარეზერვო აქტივების ზრდას.

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სებ-ის საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ 1 480.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2007 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 8.74 პროცენტით აღემატება. წლის განმავლობაში საერთაშორისო რეზერვების ზრდას შემდეგი ძირითადი წყაროები განაპირობებდა: პრივატიზაციიდან მიღებული სახსრები (121 მლნ აშშ დოლარი), საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან მიღებული ტრანში (240 მლნ აშშ დოლარი), აშშ-დან მიღებული ბიუჯეტის დახმარების გრანტი (250 მლნ აშშ დოლარი), აგრეთვე ფინანსთა სამინისტროსათვის დონორი ქვეყნებიდან გაცემული სხვა კრედიტები და გრანტები. ასევე საერთაშორისო რეზერვების ზრდას უზრუნველყოფდა სუვერენული ფონდებიდან თანხების რეპატრიაცია.

ავისტოში რუსეთთან ომის ფონზე შეინიშნებოდა კომერციული ბანკებიდან დეპოზიტების გადინება, რომელთა ნაწილი მალევე დაუბრუნდა საბანკო სექტორს თუმცა ფიზიკური პირების მიერ დროის მოკლე პერიოდში მნიშვნელოვანი მოცულობის დეპოზიტების გადინებამ შექმნა დიდი მოთხოვნა ნაღდ უცხოურ ვალუტაზე. მართალია უცხოური ვალუტის ფულის ნიშნებით ეკონომიკის უზრუნველყოფა არ შედის ეროვნული ბანკის ძირითად ფუნქციებში, თუმცა ფინანსური სტაბილურობის მიზნებიდან გამომდინარე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ამოცანა იყო ქვეყანაში შეგვენარჩუნებინა საბანკო სისტემის მიმართ ნდობა. ამ ამოცანის შესასრულებლად სებ-მა მაქსიმალურად მჭიდრო ვადებში მოახერხა როგორც ნაღდი უცხოური ვალუტით (როგორც აშშ დოლარი, ასევე ევრო) საბანკო სისტემის მომარაგება, ასევე უზრუნველყო შეუფერხებელი მომსახურების განევა კომერციული

ბანკებისა და მთავრობისთვის, რითაც შეძლო თავიდან აეცილებინა მსგავსი კრიზისული სიტუაციის თანმდევი პრობლემები.

2008 წელს, ტრადიციულად, ფულის მოთხოვნას ეკონომიკის ზრდა და სეზონური ფაქტორები განსაზღვრავდა. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, წლის ბოლო მონაცემის მიხედვით, ფართო ფული (M3) 7-პროცენტით გაიზარდა, ხოლო ფართო ფული უცხოური დეპოზიტების გარეშე (M2) 13 პროცენტით შემცირდა.

საბანკო სისტემის არასაბანკო სადეპოზიტო ვალდებულებები 2008 წელს 12,1 პროცენტით გაიზარდა და 3222,6 მლნ ლარი შეადგინა. დეპოზიტების ზრდა მთლიანად უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების ხარჯზე მოხდა.

2008 წლის იანვარ-ივლისში საქართველოს საბანკო სისტემა ჭარბი ლიკვიდობის პირობებში ოპერირებდა, მაღალი იყო სესხების ზრდის ტემპი, რაც ფინანსური სისტემის სტაბილურობისა და ინფლაციის რისკებს წარმოქმნიდა. შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკი მიმართავდა მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების გზას. რისთვისაც იყენებდა ღია ბაზრის ოპერაციებს ძირითადად ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატების მეშვეობით. წლის მეორე ნახევარში, ავისტოში რუსეთის აგრესიის და მოგვიანებით მსოფლიო საფინანსო კრიზისის გავლენით ეკონომიკა გადავიდა ლიკვიდობის დეფიციტის მდგომარეობაში. შესაბამისად, სებ-მა მყისიერად შემოაბრუნა მონეტარული პოლიტიკის ვექტორი და საგრძნობლად შეამსუბუქა პოლიტიკა. ავისტოში გაუქმდა ეროვნული ბანკის ერთკვირიანი სადეპოზიტო სერტიფიკატები და მათ ნაცვლად შემოღებულ იქნა მონეტარული პოლიტიკის ახალი ინსტრუმენტი - რეფინანსირების სესხები.

კომერციული ბანკებისათვის საკმარისი ლიკვიდობის უზრუნველყოფის მიზნით ეროვნულმა ბანკმა ავისტოში კომერციული ბანკები დროებით ჯერ სრულად გაანთავისუფლა სარეზერვო მოთხოვნების დაცვისაგან, ხოლო შემდგომ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნის დასარეზერვებელი თანხა განსაზღვრა დადგენილი დასარე-

ზერვებელი თანხის 25 პროცენტის ოდენობით. 2008 წლის 2 ოქტომბრიდან კი შემცირდა თავად მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმა 13-დან 5 პროცენტამდე.

აგვისტოს და სექტემბერის თვეებში განვითარებული მასიური ეგზოგენური შოკების და შედეგად ფინანსურ სექტორზე არსებული წნეხის ფონზე განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო ქვეყანაში საგადახდო სისტემების გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირება. ეროვნულმა ბანკმა უზრუნველყო ქვეყნის საკმარისი ოდენობით ნაღდი ფულადი ნიშნებით მომარაგება, როგორც ეროვნული, ასევე უცხოური ვალუტით.

საქართველოს საფინანსო სისტემა, 2008 წლის აგვისტოში სერიოზული გამოცდის წინაშე დადგა. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით მოახერხა საბანკო სისტემისათვის თავიდან აცილებინა გართულებები. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ის მკაცრი და კონსერვატიული მონეტარული და საზედამხედველო პოლიტიკა რომელიც ხორციელდებოდა აგვისტომდე, დაეხმარა საბანკო სისტემას კარგად მომზადებული ყოფილიყო შესაძლო შოკების მიმართ.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებისა და საბანკო სისტემის მოკლევადიანი ლიკვიდური სახსრებით უზრუნველყოფის მიზნით, აგვისტოში აამოქმედა ბოლო ინსტანციის დაკრედიტებაც. სესხები გაიცა უზრუნველყოფის გარეშე ერთი თვის ვადიანობით. აღნიშნული ინსტრუმენტით მხოლოდ სამმა კომერციულმა ბანკმა – სულ 38.1 მლნ ლარის ოდენობის სესხით ისარგებლა. სესხების დაფარვა ვადაზე ადრე განხორციელდა.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საგრძნობლად შეარბილა მონეტარული პოლიტიკა, შეამცირა საპროცენტო განაკვეთები, ჯერ დროებით შეაჩერა სავალდებულო სარეზერვო მოთხოვნები და შემდეგ 13-დან 5 პროცენტამდე შეამცირა სავალდებულო სარეზერვო ნორმები, შემოიღო რეფინანსირების

ინსტრუმენტი, ნება დართო კომერციულ ბანკებს მოეხდინათ მათ ხელთ არსებული ფასიანი ქაღალდების ადრეული გამოსყიდვა და გააფართოვა გიროდ გამოყენებადი აქტივების ჩამონათვალი. ამას გარდა, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სექტემბრის ბოლოს აამოქმედა სპეციალური სასესხო ინსტრუმენტი, რომლის ფარგლებში სექტემბერში 135.9 მლნ ლარის ოდენობის ექვსი თვის ვადიანობის სესხები გაიცა.

საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებებმა, ფინანსური ზედამხედველობის სააგენტოს ანალოგიური ტიპის ქმედებებთან ერთად, შესაძლებელი გახადა, თავიდან აგვეცილებინა საფინანსო სექტორში მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება. აგვისტოს ომის პერიოდში კომერციული ბანკები კლიენტებს ფაქტიურად შეფერხებების გარეშე ემსახურებოდნენ. მხოლოდ მოკლევადიანი შეზღუდვები იყო დანესებული სესხების გაცემისა და ინტერნეტბანკის გამოყენების კუთხით. სექტემბრის თვეში საბანკო სექტორი მეტ-ნაკლებად დასტაბილურდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად და საბანკო სისტემაში მიმდინარე პროცესების საზოგადოებისათვის ოპერატიულად მიწოდების მიზნით, ეროვნული ბანკი ოპერატიულად ავრცელებდა პრესრელიზებსა და სტატისტიკურ მონაცემებს, რეგულარულად მართავდა შესაბამის თემებზე პრესკონფერენციებს, კონფერენციებს, ბრიფინგებს, სემინარებს, პრეზენტაციებსა და შეხვედრებს. საქართველოს ეროვნული ბანკის გამოცემების ელექტრონული ვერსიები ხელმისაწვდომია საქართველოს ეროვნული ბანკის ინტერნეტ-გვერდზე.

2008 წელსაც ფასების სტაბილურობაზე ორიენტირებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას, მოსახლეობის შემოსავლების გაუფასურებისაგან დაცვასა და მთლიანი შიდა პროდუქტის გრძელვადიანი ზრდის პოტენციალის ამაღლებას ემსახურებოდა.

1. მ ა კ რ ო ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ ი ბ ა რ ა ე მ ო

1.1 მ ს ო ფ ლ ი ო ე კ ო ნ ო მ ი კ ა

2008 წელი განსაკუთრებულად მძიმე აღმოჩნდა მსოფლიო ეკონომიკისათვის. სწორედ საანგარიშგებო წელს მსოფლიოში გამწვავდა გლობალური ფინანსური კრიზისი და ეკონომიკური რეცესია, რომელსაც სულ უფრო მეტად XX საუკუნის 30-იანი წლების დიდ დეპრესიას ადარებენ.

ეკონომიკურმა კრიზისმა განსაკუთრებით 2008 წლის მეორე ნახევარში იჩინა თავი და მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში ეკონომიკის ზრდის ტემპები წლის მე-3 და მე-4 კვარტალებში არსებითად ჩამორჩებოდა წლის პირველ ნახევარში ნაჩვენებ ანალოგიურ მაჩვენებლებს.

მისი მასშტაბიდან გამომდინარე, მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგების გავლენა საქართველოზე მნიშვნელოვანი იყო. ეს უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო ფინანსური ბაზრებიდან კაპიტალის მოზიდვის გართულებაში გამოიხატებოდა, რადგან გლობალურმა საფინანსო კრიზისმა მკვეთრად შეზღუდა ლიკვიდური სახსრების არსებობა. 2008 წელს მსოფლიო ეკონომიკის მეორე მნიშვნელოვანი ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკაზე მსოფლიო სასაქონლო ბაზრებზე მოთხოვნისა და ფასების კლებაში მდგომარეობდა. აღნიშნულმა მნიშვნელოვნად შეამცირა საქართველოს საექსპორტო შემოსავლები. თუმცა მეორე მხრივ, მსოფლიო ფასების დაცემამ ნავთობზე და სურსათზე შეამცირა ზეწოლა ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე.

მსოფლიოს უდიდეს ეკონომიკაში, აშშ-ში, რეალური მშპ-ის წლიურმა ზრდამ 1.1 პროცენტი შეადგინა. ამასთან, წლის განმავლობაში ეკონომიკური ზრდის ტემპები კარდინალურად განსხვავდებოდა – წინა კვარტალთან შედარებით, 2008 წლის პირველ და მეორე კვარტალში

მშპ-ის ზრდა, შესაბამისად, 0.9 და 2.8 პროცენტს უდრიდა, მაგრამ წლის ბოლო ორ კვარტალში ანალოგიური მაჩვენებლები, შესაბამისად, -0.5 და -6.2 პროცენტს გაუტოლდა.

აშშ-ის ეკონომიკის კლება უარყოფითად აისახა მსოფლიოს სხვა ქვეყნების ეკონომიკაზე. 2008 წელს ეკონომიკური ზრდა ევროზონის ქვეყნებში 1.0 პროცენტამდე შემცირდა (2007 წლის შესაბამისი პარამეტრი 2.6 პროცენტს უდრიდა).

მსოფლიოში სიდიდით მეორე ეკონომიკაში, იაპონიაში, 2008 წლის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელმა -0.7 პროცენტი შეადგინა. მშპ-ის კლებას ზედიზედ 3 კვარტალის განმავლობაში ჰქონდა ადგილი. განსაკუთრებით მძიმე მე-4 კვარტალი აღმოჩნდა, როდესაც იაპონიის ეკონომიკის ზრდის ტემპები წინა კვარტალთან შედარებით -12.7 პროცენტს გაუტოლდა. იაპონიის ეკონომიკის ზრდის მამოძრავებელმა საექსპორტო სექტორმა წლის მეორე ნახევარში ათწლეულების მანძილზე არნახული მასშტაბებით იკლო, რაც განპირობებული იყო მსოფლიო მოთხოვნის დაცემით და იენის გამყარებით ძირითადი ვალუტების (პირველ რიგში, აშშ-ის დოლარის) მიმართ.

2008 წელს ჩინეთის ეკონომიკის ზრდის ტემპები შედარებით შემცირდა. 2007 წელს ნაჩვენები 12-პროცენტის ზრდის შემდეგ ჩინეთის მშპ საანგარიშო წელს 9.0 პროცენტით გაიზარდა. ეკონომიკური ზრდის შენელება აქაც მეორე ნახევარში მოხდა – უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ჩინეთის მთავრობას პირველად მოუწია, რამდენიმე თვის განმავლობაში გადართულიყო მაღალ ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებული სირთულეებიდან (ეკონომიკის გადახურება) ეკონომიკური რეცესიის პრობლემებზე. ეკონომიკური ზრდის შენელება აქაც, პირველ რიგში, ჩინურ ექსპორტზე მსოფლიო მოთხოვნის შემცირებით იყო გამოწვეული.

მსოფლიო საფინანსო კრიზისი მტკივნეული აღმოჩნდა აღმოსავლეთ ევროპისა და ზოგიერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბალტიისპირეთის ქვეყნებში შექმნილი ურთულესი მდგომარეობა. უცხოეთიდან ფინანსური სახსრების მოზიდვის გართულებამ დიდი დარტყმა მიაყენა სამივე ქვეყანას, რომლებიც უკანასკნელი წლების განმავლობაში იაფი მოზიდული სახსრების, ოპტიმისტური მოლოდინებისა და ხელშემწყობი ფისკალური პოლიტიკის ფონზე ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს აღწევდნენ. შედეგად, 2008 წლის ბოლო კვარტალში ბალტიისპირეთის სამივე ქვეყანამ მშპ-ის ზრდის უარყოფითი ტემპები აჩვენა, ხოლო წლიური გამოხატულებით მხოლოდ ლიტვამ შეძლო დადებითი ზრდის ტემპების მიღწევა (3.1 პროცენტი). ბალტიისპირეთის ქვეყნებმა არჩიეს შეენარჩუნებინათ ფიქსირებული გაცვლითი კურსი უცვლელ დონეზე, რამაც სექტემბერ-ნოემბერში საგრძნობლად შეამცირა მათი რეზერვები. კერძოდ, აღნიშნულ პერიოდში ლატვიის რეზერვები დაახლოებით 1.8 მლრდ დოლარით (30 პროცენტით), ხოლო ლიტვის – 1 მლრდ დოლარით (20 პროცენტით) შემცირდა. მათ კრიზისის დასაძლევად გაცვლითი კურსის მოქნილობის გამოყენების ნაცვლად სხვა ზომებს მიმართეს (სახელმწიფო ხარჯების შემცირება, საჯარო სექტორში მომუშავეთა ხელფასების შეკვეცა და სხვ.). არსებით ეკონომიკურ პრობლემებს ასევე წააწყდნენ უნგრეთი, უკრაინა, სომხეთი.


2008 წლის მეორე ნახევარი განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა რუსეთის ეკონომიკისათვის. ენერგომატარებლებზე და ლითონებზე მსოფლიო ფასების დაცემამ, ისევე როგორც საქართველოსთან აგვისტოს ომმა, რუსეთის საფონდო ბირჟის თითქმის 4-ჯერადი დაცემა განაპირობა და ქვეყნიდან კაპიტალის გადინება და რეზერვების მკვეთრი შემცირება გამოიწვია. შედეგად, ბოლო წლებში დაახლოებით 8 პროცენტის დონეზე მიღწეული მშპ-ის რეალური ზრდის ტემპები 5.6 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო ინფლაციის წლიურმა ტემპმა 13 პროცენტს გადააჭარბა. რუსეთის რეზერვების მოცულობა, რომელმაც თითქმის 600 მლრდ დოლარს მიაღწია 2008 წლის ივლისში, სწრაფი ტემპით მცირდებოდა 8 აგვისტოს შემდეგ და დეკემბრის ბოლოსათვის დაახლოებით 430 მლრდ დოლარი შეადგინა.

რაც შეეხება მსოფლიო სასაქონლო ბაზრებს, 2007 წლის შუა პერიოდამდე ინფლაციური ზენონა მომდინარეობდა ნავთობისა და მეტალების მხრიდან, რასაც შემდგომში სურსათის გავლენა მიემატა (პირველ რიგში, ხორბალი, სიმინდი და სოია).

ფასების აღნიშნული ზრდა შესაძლებელია აიხსნას მიწოდება-მოთხოვნის ურთიერთმოქმედებით. მიწოდების ფაქტორებიდან აღსანიშნავია წარმოების ხარჯების ზრდა და არახელსაყრელი ამინდი. მოთხოვნის მხრიდან შეგვიძლია გამოვყოთ მსოფლიო ეკონომიკის ზრდა, ფულის მიწოდების ზრდის მაღალი ტემპები, სანვავის ალტერნატიული წყაროების ძებნა (სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გამოყენებით).

ამასთან, 2008 წლის მეორე ნახევრიდან, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დაწყებასთან ერთად, სურსათის, ლითონებისა და ნავთობის ფასების კლების ტენდენცია აღინიშნებოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნავთობზე ფასების დაცემა, რომლის დონე 2008 წლის ბოლოსათვის ივლისთან შედარებით დაახლოებით სამჯერ და უფრო მეტჯერ შემცირდა.

დიაგრამა 1.1
მშპ-ის რეალური ზრდის ტემპები



1.2 ეკონომიკის ზრდა

მსოფლიოში განვითარებული ტენდენციების მსგავსად, საქართველოს ეკონომიკის განვითარება 2008 წელს ორი განსხვავებული პერიოდისაგან შედგებოდა.

წლის პირველ ნახევარში გრძელდებოდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების და საფინანსო საქმიანობის ზრდის მაღალი ტემპების შენარჩუნება. შედეგად, ქვეყნის მშპ-ის რეალურმა ზრდამ წლის პირველ და მეორე კვარტალებში შეადგინა, შესაბამისად, 9.1 და 8.3 პროცენტი.

ამასთან, 2008 წლის აგვისტოს ომისა და მსოფლიო საფინანსო კრიზისის შედეგად საქართველოს ეკონომიკის განვითარება არსებითად შეფერხდა წლის მეორე ნახევარში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები პირველ კვარტალთან შედარებით დაახლოებით 3-ჯერ შემცირდა, ხოლო საბანკო სექტორში შექმნილი დამატებითი ღირებულების ორნიშნა ზრდის ტემპები 20-პროცენტიანი დაცემით შეიცვალა. ამ და სხვა ფაქტორების შედეგად, მესამე და მეოთხე კვარტალში მშპ რეალურ გამოსახულებაში შესაბამისად 3.9 და 2.5 პროცენტით შემცირდა. 2008 წლის 6 თვის შემდეგ რეალური მშპ-ის ზრდის 8.7-პროცენტიანი მაჩვენებელი წლის ბოლოსათვის 2.1 პროცენტამდე შემცირდა.

2008 წელს საქართველოს ეკონომიკის დადებითი ზრდის ტემპების შენარჩუნებაში მნიშვნელოვანი იყო საბიუჯეტო დაფინანსებასთან დაკავშირებული სექტორების განვითარება. სახელმწიფო მმართველობისა და განათლების სექტორებში აგრეთვე ორნიშნა რეალური ზრდა დაფიქსირდა. ამ ორი სექტორის ზეგავლენამ მთლიან ეკონომიკურ ზრდაში 1.7 პროცენტული პუნქტი შეადგინა.

2008 წლის მეორე ნახევრიდან საქართველოს ეკონომიკისათვის მნიშვნელოვან სექტორებში ზრდის ტემპების არსებითი შენელებას ქონდა ადგილი. ხშირ შემთხვევაში ამ სექტორებში უარყოფითი ზრდის ტემპებიც კი დაფიქსირდა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოსაყოფია მშენებლობის, ტრანსპორტის და გადამამუშავებელი მრეწველობის სექტორები. უკანასკნელ წლებში

მაჩვენებები მაღალი ზრდის ტემპების შემდეგ, 2008 წლის რეალურმა ზრდამ ამ სექტორებში შესაბამისად -11.0, -10.4 და -1.0 პროცენტი შეადგინა.

ზემოაღნიშნული სექტორების გარდა, მნიშვნელოვანი იყო წარმოებული დამატებითი ღირებულების კლება სოფლის მეურნეობაში (-2.1 პროცენტი) და ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირისა და წყლის წარმოება-განაწილებაში (-2.7 პროცენტი).

ცხრილი 1.1

	2007		2008	
	ზრდა	ზეგავლენა	ზრდა	ზეგავლენა
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და თევზჭერა	8.8%	1.0%	-2.1%	-0.2%
სამთომშობვეთი მრეწველობა	20.2%	0.2%	17.0%	0.2%
გადამამუშავებელი მრეწველობა	13.7%	1.2%	-1.0%	-0.1%
ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	5.5%	0.2%	-2.7%	-0.1%
პროდუქციის გადამამუშავება შინამეურნეობის მიერ	15.6%	0.4%	-4.6%	-0.1%
მშენებლობა	14.3%	1.0%	-11.0%	-0.7%
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი სარგებლობის საგნების რემონტი	11.8%	1.6%	10.4%	1.4%
სასტუმროები და რესტორნები	13.5%	0.3%	5.0%	0.1%
ტრანსპორტი, დამზარე და დამატებითი სატრანსპორტო საქმიანობა	14.4%	1.1%	-10.1%	-0.8%
კაუშირგაბმულობა და ფოსტა	9.3%	0.3%	14.5%	0.5%
საფინანსო საქმიანობა	14.7%	0.3%	3.3%	0.1%
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული მომსახურება	14.8%	0.5%	1.5%	0.0%
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა	5.6%	0.1%	3.1%	0.1%
სახელმწიფო მმართველობა	14.4%	1.2%	10.3%	1.3%
განათლება	7.6%	0.3%	13.7%	0.4%
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	11.1%	0.5%	5.9%	0.2%
სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება	5.4%	0.2%	-0.2%	0.0%
შინამეურნეობებში დაქირავებული მომსახურება	6.8%	0.0%	5.4%	0.0%
საქმიან აქტივობაში ფინანსური შუამავლობის მომსახურების გამოყენების არაპირდაპირი შეფასება	44.7%	-0.3%	26.3%	-0.3%
მშპ საბაზისო ფასებში	11.6%	10.1%	2.3%	2.0%
გადასახადები პროდუქციაზე	17.7%	2.3%	0.6%	0.1%
სუბსიდიები პროდუქციაზე	6.5%	0.0%	8.2%	0.0%
მშპ საბაზრო ფასებში	12.4%	12.4%	2.1%	2.1%

მშპ-ის მოთხოვნა

მშპ-ის ხარჯების სტრუქტურის ანალიზიდან ჩანს, რომ 2008 წელს მშპ-ის ზრდა საბოლოო მოხმარების ხარჯზე მოხდა. ხარჯებმა მთლიან მოხმარებაზე მშპ-ის თითქმის 100 პროცენტი შეადგინა, ხოლო წინა წელთან შედარებით მთლიანი მოხმარების ზრდამ 20.2 პროცენტს უდრიდა. მთლიან მოხმარებაში ძირითადი ნაწილი შინამეურნეობებზე მოდის, რომელთა მოხმარება დაახლოებით 16 პროცენტით გაიზარდა. სახელმწიფო მოხმარებაში ორჯერ უფრო მაღალი ზრდა დაფიქსირდა – მან დაახლოებით 32 პროცენტით მოიმატა 2007 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

როგორც უკვე აღინიშნა, 2008 წლის მეორე ნახევარში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მკვეთრ კლებას ქონდა ადგილი, რამაც არსებითი გავლენა მოახდინა მთლიანი კაპიტალის ფორმირების კომპონენტზე. 2008 წელს აღნიშნულმა კომპონენტმა 5148.8 მლნ ლარი შეადგინა, რაც 5.5 პროცენტით ნაკლებია წინა წელთან შედარებით. შედეგად, მთლიანი კაპიტალის ფორმირების ხვედრითი წილი ერთ წელში 32 პროცენტისგან 27 პროცენტამდე შემცირდა.

2008 წლის სავაჭრო დეფიციტი მნიშვნელოვნად გაიზარდა. წლის მეორე ნახევრიდან სავაჭრო ბრუნვის შემცირებას ქონდა ადგილი, მაგრამ საბოლოოდ წლიური სავაჭრო დეფიციტი დაახლოებით 1 მლრდ ლარით (21 პროცენტით) გაიზარდა. ექსპორტის ზრდა მინიმალური აღმოჩნდა – ის მხოლოდ 166 მლნ ლარით (გაიზარდა და 5 469.1 მლნ ლარი შეადგინა. იმპორტის ზრდა გაცილებით უფრო შთამბეჭდავი იყო – წლის მეორე ნახევარში 212 მლნ ლარით შემცირების მიუხედავად, წლიურმა ზრდამ 1 160 მლნ ლარი შეადგინა და დაახლოებით 11 მლრდ ლარს გაუტოლდა. ამგვარად, წლის პირველ ნახევარში განსაკუთრებით დიდი სავაჭრო დეფიციტის შედეგად, მისი ხვედრითი წილი მშპ-ში წინა წელთან შედარებით მაინც გაიზარდა 28.2 პროცენტიდან 29.0 პროცენტამდე.

1.3 სამომხმარებლო ფასების სვლილება

ისევე როგორც წინა წლებში 2008 წელსაც საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანა იყო ქვეყანაში ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა. მიუხედავად იმისა, რომ წლის პირველი ნახევრის განმავლობაში წლიური ინფლაციის მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდებოდა, 2008 წლის მეორე ნახევრიდან ინფლაციის მაჩვენებელმა კლება დაიწყო და წლის ბოლოს 5.5 პროცენტზე ჩამოვიდა. საშუალო წლიური ინფლაცია 2008 წელს 10 პროცენტს შეადგენს.

2008 წლის განმავლობაში ინფლაციას საკმაოდ დიდი მერყეობა ახასიათებდა. ყველაზე მაღალ ნიშნულს ინფლაციამ აგვისტოს თვეში მიაღწია – წლიური 12.8%, ხოლო შემდგომ პერიოდში თანდათანობით შემცირდა წლის ბოლოს 5.5 პროცენტამდე. წლის განმავლობაში ფასების დინამიკაზე ძლიერი იყო ეგზოგენური ფაქტორების გავლენა. წლის პირველ ნახევარში მაღალი ინფლაცია ძირითადად საბაზისო ეფექტის შედეგი იყო, კერძოდ, 2007 წლის განმავლობაში საქართველოს სამომხმარებლო კალათის ზოგიერთ მნიშვნელოვან კომპონენტზე (გაზი ბუნებრივი, ხორბლის თეთრი პური, მზესუმზირის ზეთი, ცივი წყლის გადასახადი, ქალაქის შიგნით მგზავრობა) მოხდა ფასების ერთჯერადი მატება, რის შედეგადაც მომდევნო 12 თვის განმავლობაში წლიური ინფლაციის მაჩვენებელი გაიზარდა. 12 თვის გასვლის შემდეგ კი მათი გაძვირების შედეგად მიღებული ეფექტი აღარ აისახება წლიურ ინფლაციაზე, შესაბამისად, 2008 წლის მეორე ნახევრიდან ინფლაციის წლიური ინდექსი შემცირდა. ამას თან დაერთო წლის მეორე ნახევრიდან მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე საერთაშორისო ბაზრებზე ფასების ვარდნა, რაც ასევე აისახა საქართველოს სამომხმარებლო კალათაზე და წლიური ინფლაციის მაჩვენებელი კიდევ უფრო შემცირდა. კერძოდ, ფასების მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა ბენზინზე, მზესუმზირის ზეთზე. 2008 წლის სამომხმარებლო ფასების ცვლილებაზე ასევე მნიშვნელოვანი იყო აგვისტოს საომარი მოქმედებების გავლენა. ქვეყანაში შექმნილი საომარი მდგომარეობა

რეობის შედეგად პროდუქციის ერთი რეგიონიდან მეორეში ტრანსპორტირების გართულებამ და ბაზარზე აღნიშნული საქონლის მიწოდების სიმცირემ ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო საქონელზე ფასების მკვეთრი ზრდა გამოიწვია, თუმცა მდგომარეობის სტაბილიზაციასთან ერთად ფასები თანდათანობით დაუბრუნდნენ ადრინდელ ნიშნულს. ყველაფერი ზემოთაღნიშნულის შედეგად წლის ბოლოსთვის წლიური ინფლაცია ეროვნული ბანკის მიერ პროგნოზირებულზე (8 პროცენტი) ნაკლები იყო – 5.5 პროცენტი.

2008 წლის განმავლობაში შედარებით მაღალი ინფლაცია ფიქსირდებოდა საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში. წლის განმავლობაში მთლიანი იმპორტის 40 პროცენტზე მეტი თურქეთზე, რუსეთზე, უკრაინაზე და აზერბაიჯანზე მოდიოდა. აღნიშნულ ქვეყნებში ფასების დინამიკაზე საკმაოდ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგად საერთაშორისო ბაზრებზე ფასების ვარდნამ კლების მიმართულებით, თუმცა წლის ბოლოსთვის საქართველოსთან შედარებით მაღალი ინფლაციის მაჩვენებელი დაფიქსირდა. კერძოდ, ინფლაცია თურქეთში 10.1 პროცენტს, რუსეთში – 13.3 პროცენტს, უკრაინაში – 22.3 პროცენტს, ხოლო აზერბაიჯანში – 15.3 პროცენტს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ საქართველოში სამომხმარებლო კალათის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი იმპორტირებული პროდუქციისგან შედგება. აქედან გამომდინარე პარტნიორ ქვეყნებში ფასების დინამიკა საქართველოში ინფლაციის ანგარიშგასანევი ფაქტორია.

საინტერესოა აგრეთვე სავაჭრო¹ და არასავაჭრო საქონლის ფასების დინამიკაზე დაკვირვება. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ფასები არასავაჭრო საქონელზე უფრო სწრაფი ტემპებით იზრდებოდა, ვიდრე სავაჭრო საქონელზე, რაც დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნებისათვის. ბოლო რამდენიმე წლის

განმავლობაში კაპიტალის მნიშვნელოვანი მოცულობებით შემოდინების შედეგად გაიზარდა მოსახლეობის განკარგავდი შემოსავალი და შედეგად ერთობლივი მოთხოვნა, რაც სხვა თანაბარ პირობებში იწვევს არასავაჭრო საქონელზე ფასების უფრო სწრაფ ზრდას ვიდრე სავაჭრო საქონელზე, რადგანაც სავაჭრო საქონლის ფასებს ძირითადად მსოფლიო ბაზრებზე არსებული ტენდენციები განსაზღვრავს, ხოლო ისეთი მცირე ეკონომიკის გაზრდილ მოთხოვნას, როგორც საქართველოა, მსოფლიო ფასებზე ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლია, არასავაჭრო საქონლის ფასებზე კი ზენოლა უფრო ძლიერია.

2008 წლის განმავლობაში კლების ტენდენცია ახასიათებდა წლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებლებს. წლის ბოლოსათვის ორი და ერთი სტანდარტული გადახრის ფარგლებში მყოფი პროდუქტებისათვის საბაზო ინფლაციის მაჩვენებლებმა შესაბამისად 4.4 და 3.4 პროცენტი შეადგინეს. საბაზო ინფლაციის დინამიკა უკეთესად აღწერს ინფლაციის ზოგად ტენდენციას და ნაწილობრივ გამორიცხავს ერთჯერად და სეზონურ ფაქტორებს.

ცალკეული სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ფასების ცვლილების განხილვა გვიჩვენებს, რომ 2008 წლის განმავლობაში ფასის 2.6-პროცენტის შემცირებაა დაფიქსირებული სასაქონლო ჯგუფზე „ტანსაცმელი და ფეხსაცმელი“, ხოლო „ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე“ ფასები 0.5 პროცენტით შემცირდა. „კაემირგაბმულობის“ სექტორზე ფასები 4.4 პროცენტით გაიზარდა, სასაქონლო ჯგუფზე „საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები“ ფასებმა 3.9 პროცენტით მოიმატა, „საოჯახო ნივთებზე“ ფასები 7.4 პროცენტით გაიზარდა, სასაქონლო ჯგუფზე „სურსათი და უალკოჰოლო სასმელები“ ფასებმა 5.5 პროცენტით მოიმატა, ტრანსპორტზე² ფასებმა 0.5

1 საქონელი და მომსახურება, რომლის რელიზაციაც შესაძლებელია წარმოების ადგილიდან მოშორებით.
2 ივლისისებზე არა მარტო საქალაქო ავტობუსებითა და მეტროპოლიტენით მგზავრობის ფასები, არამედ ტრანსპორტზე ფასების საშუალო ცვლილება. მათ შორის, სხვა ტიპის ტრანსპორტზეც, მაგ., ქალაქის შიგნით ტაქსი, მიკროავტობუსი, საგარეუბნო და საქალაქთაშორისო ტრანსპორტი და ა. შ.

ცხრილი 1.3.1


ინფლაციის (სფი) მაჩვენებლები ცალკეული კომპონენტების მიხედვით (პროცენტი), მათი წონა სამომხმარებლო კალათაში (პროცენტი) და ზეგავლენა სფი-ზე (პროცენტული პუნქტი).

	2006 წლის დეკემბრის წონები	დეკ-08/დეკ-07		იან08-დეკ08/იან07-დეკ07	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	5.5%	5.5%	10.0%	10.0%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	44.3%	5.5%	2.5%	12.2%	5.4%
სურსათი	43.0%	5.4%	2.4%	12.4%	5.4%
პური და პურპროდუქტები	12.2%	4.6%	0.7%	21.3%	2.7%
ხორცი და ხორცის პროდუქტები	6.6%	11.3%	0.7%	10.3%	0.7%
თევზი	1.1%	9.9%	0.1%	0.9%	0.0%
რძე, ყველი და კვერცხი	5.2%	-2.5%	-0.1%	10.0%	0.5%
ზეთი და ცხიმი	3.5%	3.0%	0.1%	27.8%	1.0%
ხილი, ყურძენი	2.3%	38.4%	1.4%	27.4%	1.1%
ბოსტნეული, ბაჭყალი, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	8.8%	-5.9%	-0.4%	-6.8%	-0.6%
შაქარი, ჯემი, თაფლი, ვაჟინები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.7%	7.5%	0.2%	-1.0%	0.0%
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	7.7%	0.0%	5.4%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	1.3%	8.5%	0.1%	4.6%	0.1%
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	3.7%	-0.5%	0.0%	0.0%	0.0%
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	5.0%	-2.6%	-0.1%	-4.1%	-0.2%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	10.3%	3.9%	0.4%	9.5%	1.1%
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მოწყობილობა, სახლის მოვლა-შეკეთება	3.7%	7.4%	0.3%	12.6%	0.5%
ჯანმრთელობის დაცვა	8.0%	21.5%	1.7%	14.9%	1.2%
ტრანსპორტი	9.0%	0.5%	0.0%	15.4%	1.4%
კაეშირგაბმულობა	4.4%	4.4%	0.2%	3.9%	0.2%
დასვენება, გართობა და კულტურა	2.7%	2.0%	0.1%	4.8%	0.1%
განათლება	3.5%	-0.4%	0.0%	0.7%	0.0%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	2.4%	8.4%	0.2%	4.9%	0.1%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	3.2%	8.9%	0.3%	6.8%	0.2%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	68.0%	5.4%	3.7%	11.0%	7.5%
საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელი	6.5%	-1.6%	-0.1%	-1.4%	-0.1%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	1.9%	0.7%	0.0%	-0.3%	0.0%
მომსახურება	23.6%	7.7%	1.9%	10.6%	2.6%

წყარო: სტატისტიკის დეპარტამენტი

ღიაბრამა 1.3.1

წლიური სფი და საბაზო ინფლაცია (2006 წლის დეკემბრიდან მოქმედი სამომხმარებლო კალათის 282 კომპონენტის მიხედვით)³



წყარო: სტატისტიკის დეპარტამენტი და ეროვნული ბანკის გათვლები

³ * ერთი სტანდარტული გადახრის ფარგლებში მოხვედრილი პროდუქტების მიხედვით.
 ** ორი სტანდარტული გადახრის ფარგლებში მოხვედრილი პროდუქტების მიხედვით.

პროცენტით მოიმატა. ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა სასაქონლო ჯგუფზე „ჯანმრთელობის დაცვა“ (21.5 პროცენტი), უკანასკნელ შემთხვევაში უმთავრესი წვლილი ნომბრის თვეში მედიკამენტების გაძვირებამ შეიტანა.

საქონლის მოხმარების ხანგრძლივობის მიხედვით ფასების ცვლილების განხილვა გვიჩვენებს, რომ 2008 წლის განმავლობაში ყველაზე მეტად წლიური ინფლაციის მაჩვენებელი მაღალია მომსახურებაზე – 7.7 პროცენტი, ხანმოკლე მოხმარების საქონლისათვის წლიური ინფლაციის მაჩვენებელი 5.4 პროცენტს შეადგენს. ხანგრძლივი მოხმარების საქონელზე 2008

წლის განმავლობაში ფასები 0.7 პროცენტით გაიზარდა, ხოლო საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელზე ფასების 1.6 პროცენტითიანი კლება დაფიქსირდა.

1.4 სახელმწიფო ფინანსები

2008 წელს საქართველოს ეკონომიკაზე დიდი გავლენა იქონია ქვეყნის საბიუჯეტო პოლიტიკამ, საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრირების გაუმჯობესებამ, რამაც 2008 წელს ქვეყნის ბიუჯეტს დაგეგმილზე მეტი შემოსავალი მოუტანა. შესაბამისად, გაიზარდა ხარჯებიც, რაც მთელი რიგი პრიორიტეტული მიმართულებების დასაფინანსებლად წარიმართა.

2008 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა გადასახადების მშპ-თან შეფარდების მაჩვენებელი, რომელმაც 21.6 პროცენტიდან 24.9 პროცენტამდე მოიმატა.


2008 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებმა და გრანტებმა ოპერატიული ინფორმაციის თანახმად 6.6 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც 0.7 მილიარდი ლარით მეტია ვიდრე 2007 წელს. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა და გრანტებმა 5.5 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც 1.2 მილიარდი ლარით მეტია 2007 წლის ფაქტობრივ მაჩვენებელზე.

საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურაში არაპირდაპირ გადასახადებს უფრო დიდი წილი 57 პროცენტი უკავია, ვიდრე პირდაპირ გადასახადებს, თუმცა 2008 წელს პირდაპირი გადასახადების ზრდის ტემპი (70 პროცენტი) აჭარბებდა არაპირდაპირი გადასახადების ზრდის ტემპს (10 პროცენტი), რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ გადასახადების სიმძიმე უფრო მეტად არა მომხმარებლებზე, არამედ მწარმოებლებზე გადავიდა.

შემოსავლების ზრდას ხარჯების მნიშვნელოვანი მატებაც მოყვა. კერძოდ, ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები ოპერატიული ინფორმაციით 1.2 მილიარდი ლარით გაიზარდა და 7.2 მილიარ-


ღიაბრამა 1.3.2

ინფლაცია სავაჭრო და არასავაჭრო საქონელზე⁴
სავაჭრო და არასავაჭრო საქონლის ფასების ინდექსის დინამიკა 2006=100




ღიაბრამა 1.3.3

წლიური ინფლაციის მაჩვენებლების ცვლილება სხვადასხვა ხანგრძლივობის მოხმარების საქონლისა და მომსახურებისათვის



ღიაბრამა 1.3.4


წლიური ინფლაციის დინამიკა 1996-2008 წწ.



4 იმპორტული და ადგილობრივი საქონლის ინფლაცია ითვლება ეროვნული ბანკის მიერ სტატისტიკის დეპარტამენტიდან მიღებული სამომხმარებლო კალათის ცალკეული კომპონენტების ინდექსების მიხედვით.


ღიბრამა 1.4.1

ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შეფარდება მშპ-სთან 2000-2008 წწ.




ღიბრამა 1.4.2

ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები სახეების მიხედვით



ღიბრამა 1.4.3

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები და მათი თანაფარდობა მშპ-სთან



დი ლარი შეადგინა. წინა წელთან შედარებით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებიც 1.7 მილიარდი ლარით და მთლიანობაში 6.7 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც წლის საბოლოო გეგმის 96 პროცენტია. 2008 წელს სახელმწიფო ხარჯების თანაფარდობამ მთლიან შიდა პროდუქტთან 35 პროცენტი შეადგინა. უკანასკნელ პერიოდში აღნიშნული მაჩვენებლის მზარდი ტემპი გავლენას ახდენდა შიდა მოთხოვნის ფორმირებაზე და ფასების ზრდის გამომწვევ დამატებით ფაქტორად გვევლინებოდა.

2008 წლის ნაერთი ბიუჯეტის პრიორიტეტად შეიძლება დასახელდეს თავდაცვა და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების განვითარება.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროფიციტის ზღვრული მოცულობა თავდაპირველად 16 მილიონი ლარით განისაზღვრა, ხოლო შემდეგ შეიცვალა 506 მილიონი ლარი დეფიციტით, მაგრამ ფაქტობრივად დეფიციტმა 358 მილიონი ლარი შეადგინა, რაც შემოსავლების უმნიშვნელო ზრდითა და დაგეგმილთან შედარებით გაზრდილი ხარჯებით აიხსნება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პრივატიზაციიდან მიღებული თანხები აღირიცხება შემოსავალში, რაც თავისი შინაარსით, მონეტარული პოლიტიკის მიზნებიდან გამომდინარე, ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების წყაროა. პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლების გამოკლებით 2008 წელს ბიუჯეტის დეფიციტმა 927 მილიონ ლარს მიაღწია, რაც მშპ-სთან მიმართებაში 5 პროცენტს შეადგენს.

2008 წლის განმავლობაში მთავრობის დეპოზიტებზე რიცხული ნაშთი 433 მილიონი ლარით გაიზარდა. 2008 წელს საგარეო წყაროებიდან, კერძოდ, მსოფლიო ბანკისა და შეღავათიანი საინვესტიციო კრედიტების სახით მიღებული იქნა 350 მილიონი ლარი, ხოლო სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების (ევრო ბონდები) რეალიზაციიდან მიღებულმა თანხებმა 720 მლნ ლარი შეადგინა.

2008 წელს საქართველოს სახელმწიფო და სა-

ხელმწიფო გარანტიით აღებული საგარეო ვალი 1.265 მილიარდი ლარით გაიზარდა და 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 3.695 მილიარდი ლარი. მნიშვნელოვნად შემცირდა ვალი თურქეთთან და ევროკავშირსა და ამერიკასთან, მაგრამ გაიზარდა სავალუტო ფონდთან, მსოფლიო ბანკსა და აზიის განვითარების ბანკთან, ხოლო ქვეყნებიდან იაპონიასა და ჩინეთთან. 2008 წელს საგარეო ვალმა საქართველოს მშპ-ის მიმართ 19 პროცენტი შეადგინა, ნაცვლად 2007 წლის 17 პროცენტისა, რაც უფრო მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ვიდრე საგარეო ვალის აბსოლუტური მონაცემები. როგორც გრაფიკიდან ჩანს საგარეო ვალის წილი მშპ-ში წლების განმავლობაში მცირდება, გარდა 2008 წლისა და ბოლო 10 წლის განმავლობაში 39 პროცენტული პუნქტით შემცირდა. ძირითადად ამ მაჩვენებლის შემცირება საგარეო ვალის მაჩვენებელთან შედარებით მშპ-ს ზრდის ტემპის უფრო მაღალმა დონემ გამოიწვია.


1.5 ეკონომიკის საბარეო სექტორი და საბადასახდელო ბალანსი

2008 წელს საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა 2850.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მშპ-ს 22 პროცენტია და 42 პროცენტით აჭარბებს გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ამასთან აღსანიშნავია, რომ 2008 წლის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი არათუ სრულად დაფინანსდა, არამედ ადგილი ქონდა სარეზერვო აქტივების ზრდას.


2008 წლის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს, კვლავ, მნიშვნელოვან წილად, საქონლით საგარეო ვაჭრობა განსაზღვრავდა. საქონლის ექსპორტმა 2008 წელს 2428,0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 16,3 პროცენტით მეტია 2007 წლის ექსპორტის მაჩვენებელზე. ხოლო იმპორტმა -6261,2 მლნ აშშ დოლარი, ანუ 25,6 პროცენტით მეტი გასული წლის შესაბამის მაჩვენებელზე.

იმპორტირებული საქონლის 39 პროცენტი სამომხმარებლო საქონელია, 16 პროცენტი - საინვესტიციო და 45 პროცენტი შუალედუ-


ღიზბრაბა 1.4.4
ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელები სახეების მიხედვით 2008 წ.



ღიზბრაბა 1.4.5
სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი და მშპ-სთან თანაფარდობა




ღიზბრაბა 1.4.6
საგარეო ვალის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 1998-2008 წწ.



ღიზარაბა 1.5.1

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი და უცხოური კაპიტალის შემოდინება (% მშპ-სთან), 2004-2008




ცხრილი 1.5.1

ნლიური ზრდის ტემპები

	I 2008	II 2008	III 2008	IV 2008	2008
ექსპორტი	47.3%	45.8%	37.6%	-29.8%	21.5%
იმპორტი	34.4%	49.5%	13.6%	-16.8%	16.2%
სავაჭრო დეფიციტი	31%	51%	6%	-13%	14.5%

ღიზარაბა 1.5.2

ძირითადი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფები 2006-2008 წწ. მლნ აშშ დოლარი



რი მოხმარების საქონელი. საქონლის იმპორტის აღნიშნული განაწილება საკმაოდ სტაბილურია ბოლო წლების განმავლობაში. შუალედური მოხმარების საქონელში წამყვანი ადგილი უჭირავს ნავთობპროდუქტებსა და ბუნებრივ აირს. აგრეთვე, მნიშვნელოვანი წილი აქვს სამშენებლო მასალებს, ხორბალსა და ფქვილს. საქართველოს ექსპორტის 50 პროცენტი სამრეწველო საქონლისგან შედგება, რაშიც წამყვანი ადგილი ფეროშენადნობებს, აზოტოვან სასუქებსა და ავტომობილების რეექსპორტს უჭირავს.

2008 წლის პირველი და მეორე ნახევრის შედეგები მკვეთრად განსხვავებულ სურათს აჩვენებს. საგარეო ვაჭრობაში განსაკუთრებით მაღალი ზრდის ტემპი 2008 წლის პირველ ნახევარში დაფიქსირდა. I და II კვარტალებში სავაჭრო ბრუნვა წინა წლის შესაბამის პერიოდებთან შედარებით, შესაბამისად, 37 და 49 პროცენტით იყო გაზრდილი. 2008 წლის III კვარტალში, აგვისტოს ომის შედეგად, აღნიშნული მაჩვენებელი 18 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო წინა კვარტალთან შედარებით 13 პროცენტიანი კლება დაფიქსირდა. IV კვარტალში მსოფლიოში განვითარებული ფინანსური კრიზისის შედეგები აისახა საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე, რის გამოც სავაჭრო ბრუნვა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 19 პროცენტით, ხოლო წინა კვარტალთან შედარებით 15 პროცენტით შემცირდა.


2008 წლის IV კვარტალში საქონლის იმპორტი, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 17 პროცენტით, ხოლო წინა კვარტალთან შედარებით 7 პროცენტით შემცირდა. იმპორტის შემცირებაში წამყვანი გახდა ნავთობპროდუქტებზე ფასების კლება. ამავდროულად, საქონლის ექსპორტზე კლების გაცილებით მაღალი ტემპი დაფიქსირდა ვიდრე იმპორტზე – 30 პროცენტი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. ექსპორტის კლება განპირობებული იყო ძირითად საექსპორტო საქონელზე – შავ და ფერად ლითონებზე ფასების ვარდნით საერთაშორისო ბაზარზე, რის გამოც აღნიშნული პროდუქციის

ექსპორტი შემცირდა, როგორც ღირებულებით, ასევე მოცულობით გამოხატულებაში.

ძირითადი საექსპორტო პროდუქციის სტრუქტურაში 2007-2008 წლიური მონაცემების მიხედვით მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა. 2008 წელს საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები ექსპორტის მიხედვით იყვნენ: თურქეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, კანადა, სომხეთი, ბულგარეთი, აშშ, მექსიკა, გაერთიანებული სამეფო და საფრანგეთი. აღნიშნულ ქვეყნებზე მთლიანი ექსპორტის 80 პროცენტი მოდიოდა. რუსეთის ფედერაციამ საქართველოდან ექსპორტირებული საქონლის მიხედვით 2008 წელს მეთორმეტე ადგილზე გადაინაცვლა.

ღიბრამა 1.5.3

საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები ექსპორტის მიხედვით. მლნ აშშ დოლარი




ცხრილი 1.5.2

უმსხვილესი საექსპორტო საქონლის განაწილება იმპორტიორი ქვეყნების მიხედვით (%)

	ფეროუმენადნობები	შავი ლითონების ჯართი	სპილენძის მადნები	მსუბუქი ავტომობილები	მინერალური სასუქები	ოქრო	პორტლანდცემენტი	ეთილის სპირტი	ღვინო	თხილი და კაკალი	რკინიგზის ლოკომოტივები	მინერალური წყლები
ხვედრითი წილი ექსპორტში	17.8	8.6	7.9	7.6	7.0	6.7	5.3	3.9	2.5	2.1	2.1	2.1
აშშ	26.8	0.3	-	0.0	14.4	-	-	0.0	4.0	0.0	-	3.1
თურქეთი	25.9	88.5	-	8.2	6.2	-	0.0	-	0.4	0.6	-	-
მექსიკა	19.8	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
კანადა	11.7	-	-	-	-	99.9	-	-	0.3	-	-	0.3
უკრაინა	9.5	-	-	3.1	-	-	-	-	51.6	8.9	70.4	48.1
საფრანგეთი	3.1	-	-	0.0	27.9	-	-	0.0	0.4	3.0	-	0.0
არაბთა გაერთიანებული საამიროები	1.3	1.0	-	1.5	-	-	-	-	0.1	0.8	-	0.2
რუსეთის ფედერაცია	0.9	-	-	0.2	-	-	-	0.7	0.4	2.3	6.7	-
ავსტრია	0.6	-	-	-	-	-	-	-	-	0.8	-	-
ბელარუსი	0.2	-	-	0.0	-	-	-	6.8	9.0	0.5	-	1.8
აზერბაიჯანი	0.1	-	-	47.2	0.9	-	99.3	10.8	2.0	3.6	-	8.6
ყაზახეთი	0.1	-	-	0.5	-	-	0.7	9.8	10.0	0.5	-	14.5
ესპანეთი	0.0	1.2	7.6	-	6.3	-	-	-	0.0	4.6	-	-
სომხეთი	0.0	-	-	30.7	5.3	0.1	-	7.5	0.4	1.6	22.9	0.5
სამხრეთ აფრიკა	0.0	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ალბანეთი	-	1.0	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ბელგია	-	-	-	5.1	-	-	-	0.0	0.2	1.9	-	0.0
ბელიზი	-	0.3	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ბრაზილია	-	-	-	-	8.4	-	-	-	-	-	-	-
ბულგარეთი	-	-	76.2	0.2	3.8	-	-	0.4	0.0	3.3	-	0.0
დანარჩენი ქვეყნები	-	7.6	16.2	3.3	26.7	-	0.0	7.8	21.3	67.6	-	22.9
სულ	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100


დიაგრამა 1.5.4

უმსხვილესი საიმპორტო საქონლის მოცულობის დინამიკა




დიაგრამა 1.5.5

საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები იმპორტის მიხედვით.



დიაგრამა 1.5.6

ფულადი გზავნილების დინამიკა



2008 წლის განმავლობაში მთლიანმა რეგისტრირებულმა იმპორტმა 6058.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2008 წელს ადგილი ჰქონდა ბუნებრივი აირის იმპორტის შემცირებას, როგორც მოცულობით, ასევე რაოდენობრივ გამოხატულებაში. სხვა მხრივ, საქართველოში იმპორტირებული პროდუქციის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ დაფიქსირდა. იმპორტირებულ საქონელში წამყვან პოზიციებს კვლავ ენერგომატარებლები და მსუბუქი ავტომობილები იკავებს. იმპორტის მატება პირველი სამი კვარტალის ხარჯზე მოხდა, ხოლო IV კვარტალში კლება დაფიქსირდა.

2008 წელს საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები იმპორტის მიხედვით იყვნენ: თურქეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, გერმანია, რუსეთის ფედერაცია, ჩინეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, აშშ, იტალია, თურქმენეთი. აღნიშნულ ქვეყნებზე მთლიანი იმპორტის 78 პროცენტი მოდის. 2008 წელს რუსეთის ფედერაციიდან იმპორტი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 26 პროცენტით შემცირდა.

ფულადი გზავნილების დინამიკა 2000–2008 წწ

მიმდინარე ტრანსფერტები, კერძოდ კი მისი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი – ფულადი გზავნილები, კვლავ რჩება არა მარტო საგადასახდლო ბალანსის, არამედ ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრის კონიუნქტურის განმსაზღვრელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად. 2008 წლის განმავლობაში სწრაფი ფულადი გზავნილებით გადმორიცხვები 2007 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 16 პროცენტით გაიზარდა.

2008 წელს კაპიტალისა და ფინანსური ანგარიშის დადებითმა სალდომ 2879,0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 41,5 პროცენტით მეტია 2007 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. აქედან, მატება ფინანსურ ანგარიშზე მოდის 867,4 მლნ აშშ დოლარი, ხოლო კაპიტალის ანგარიშში ადგილი ქონდა კლებას 22,8 მლნ აშშ დოლარით. ფინანსური ანგარიში 2008 წელს 45,5 პროცენტით გაიზარდა და 2774,2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც უცხოური ინვესტიციების, განსაკუთრებით პორ-

ცხრილი 1.5.3

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფების განაწილება ექსპორტიორი ქვეყნების მიხედვით

	ნავთობპროდუქტები	მსუბუქი ავტომობილები	ნავთობის აირები	სამკურნალო საშუალებები	გადამცემი აპარატურა	წნელები ნაპმობილანი ფოლადისგან	ხორბალი და მესლინი	გამომთვლელი მანქანები	ფქვილი	მანგანუმი	შაქარი	თამბაქოს ნაწარმი
ხვედრითი წილი მთლიან იმპორტში	12.6	7.6	3.4	3.1	2.4	1.8	1.8	1.5	1.2	1.2	1.1	1.0
აზერბაიჯანი	45.9	0.1	61.8	0.2	0.1	-	0.4	0.0	16.6	-	14.8	-
თურქმენეთი	17.3	-	0.5	-	-	-	-	-	-	-	-	-
რუმინეთი	10.0	0.0	-	0.5	0.3	-	1.9	0.0	-	-	-	1.3
ბულგარეთი	9.7	0.2	-	4.7	0.1	-	-	0.0	-	-	-	4.5
საბერძნეთი	5.3	0.0	-	0.5	0.0	-	-	0.0	-	-	-	0.3
იტალია	4.4	1.0	-	0.6	0.2	-	-	0.3	1.1	-	0.2	-
თურქეთი	3.3	0.6	0.4	14.3	0.4	12.8	3.3	1.5	11.3	5.3	0.5	-
რუსეთის ფედერაცია	1.2	1.3	37.2	2.0	0.1	0.2	51.1	0.1	24.6	-	1.4	0.0
გერმანია	0.6	21.9	0.0	9.8	1.8	0.3	-	12.3	0.0	-	0.1	1.9
გაერთიანებული სამეფო	0.6	1.7	0.0	1.5	0.6	0.4	-	1.2	-	-	-	-
შვეიცარია	0.4	0.3	-	6.8	0.0	-	0.7	0.7	-	-	-	-
უკრაინა	0.3	0.0	0.0	6.6	0.2	80.3	9.3	0.4	43.1	-	0.0	87.7
ირანი	0.2	0.1	0.1	0.0	0.0	-	-	0.1	-	-	-	-
ფინეთი	0.1	0.0	-	0.7	8.0	-	-	2.4	0.0	-	-	-
ბელგია	0.1	1.5	-	3.6	2.8	-	-	0.5	-	-	0.1	0.0
აშშ	0.1	26.0	-	5.9	2.9	-	-	2.9	0.0	-	0.0	0.0
ლიტვა	0.1	0.0	-	0.7	0.2	-	-	2.4	0.0	-	0.0	-
ომანი	0.1	0.6	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
უზბეკეთი	0.0	0.0	-	0.0	-	-	-	-	-	-	-	-
არაბთა გაერთიანებული საამიროები	0.0	14.1	0.0	0.0	47.7	-	-	9.8	-	-	1.5	0.0
სხვა ქვეყნები	0.1	30.4	-	41.5	34.6	6.0	33.3	65.3	3.2	94.7	81.3	4.3
სულ	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100


ტფელისა და სხვა ინვესტიციების სერიოზული ზრდით არის განპირობებული. ასევე, საანგარიშო პერიოდში საგადასახდელი ბალანსის მხარდასაჭერად საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან მიღებული იქნა 256,8 მლნ აშშ დოლარი.

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2008 წლის პირველ ნახევარში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 35,5 პროცენტით გაიზარდა და 942.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. წლის მეორე ნახევარში პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა მკვეთრად შემცირდა (67,9 პროცენტით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით)) და 338.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2008 წელს ქვეყანაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1280.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის მონაცემზე 26,9 პროცენტით ნაკლებია.

მიუხედავად იმისა, რომ 2008 წელი ფინანსური თვალსაზრისით რთული წელი იყო, საანგარიშო პე-

დიაგრამა 1.5.7

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი და პორტფელის ინვესტიციები. (მლნ აშშ დოლარი)



რიოდში ადგილი ქონდა საერთაშორისო რეზერვების ზრდას, იგი წლის განმავლობაში 119,0 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 1480,2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, საერთაშორისო რეზერვები შემცირდა მხოლოდ მესამე კვარტალში, სულ წლის გამავლო-

ბაში საერთაშორისო რეზერვების ოპერაციებით გამოწვეული ზრდა 130,8 მლნ აშშ დოლარია.

2008 წლის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 2000–2008 წლების ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მაღალი იყო 2008 წლის პირველ ნახევარში – 1732,4 მლნ აშშ დოლარი, 2-ჯერ მეტი გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე, ხოლო 2008 წლის მეორე ნახევარში დეფიციტი 1118,1 მლნ აშშ დოლარამდე შემცირდა და წინა წლის ანალოგიური პერიოდის შესაბამისი მაჩვენებელის 93 პროცენტი შეადგინა. 2008 წლის მეორე ნახევარში საქონლის ბალანსში შემცირდა როგორც ექსპორტი, ასევე იმპორტი, მაგრამ ექსპორტის წინმსწრები ტემპით შემცირების გამო საქონლის უარყოფითი სალდო

გაიზარდა. მომსახურების ბალანსი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქონლის ბალანსით გამოწვეული დეფიციტის დაფინანსებაში 2008 წლის მეორე ნახევარში უარყოფითი გახდა, რაც ძირითადად განაპირობა სატრანსპორტო, სადაზღვევო, სამშენებლო და სხვა საქმიანი მომსახურების ბალანსმა.

2008 წელს უარყოფითმა საინვესტიციო შემოსავლებმა (დებეტი) გადააჭარბა შემოსავლების კრედიტს, რომელიც ძირითადად შრომითი შემოსავლებისაგან შედგება. შედეგად 2008 წელს შემოსავლების ბალანსი უარყოფითი გახდა.

მიმდინარე ტრანსფერების მოცულობა 2008 წელს, წინა წელთან შედარებით 1,5-ჯერ გაიზარდა. ტრანსფერების შემოღინება მაღალი იყო

ცხრილი 1.5.4

საქართველოს საგადასახდელო ბალანსი (2004-2008 წწ.)
(მლნ აშშ დოლარი)

	2004	2005	2006	2007	2008
მიმდინარე ანგარიში	-353.6	-709.5	-1 174.6	-2 008.7	-2 850.5
ა. საქონელი	-915.5	-1 214.2	-2 019.4	-2 895.8	-3 833.2
კრედიტი	1 092.1	1 472.4	1 666.5	2 088.3	2 428.0
დებეტი	-2 007.7	-2 686.6	-3 685.9	-4 984.1	-6 261.2
ბ. მომსახურება	69.6	83.5	158.0	161.3	27.5
კრედიტი	554.8	715.0	885.0	1 094.1	1 263.3
დებეტი	-485.1	-631.5	-727.0	-932.8	-1 235.8
გ. შემოსავალი	78.5	62.1	162.8	37.4	-106.0
კრედიტი	251.7	263.3	341.1	481.6	488.6
დებეტი	-173.3	-201.2	-178.3	-444.2	-594.5
დ. მიმდინარე ტრანსფერტები	413.9	359.0	523.9	688.5	1 061.2
კრედიტი	465.4	413.4	587.0	768.5	1 142.8
დებეტი	-51.5	-54.4	-63.0	-80.0	-81.7
კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში	342.4	682.8	1 239.3	2 034.3	2 879.0
კაპიტალის ანგარიში	40.7	58.6	171.2	127.6	104.8
კრედიტი	44.1	61.6	172.2	127.9	104.9
დებეტი	-3.4	-2.9	-1.0	-0.3	-0.1
ფინანსური ანგარიში	301.7	624.2	1 068.1	1 906.8	2 774.2
ა. პირდაპირი ინვესტიციები	482.8	542.2	1 185.9	1 674.9	1 238.7
საზღვარგარეთ	-9.6	89.5	15.8	-75.3	-41.6
საქართველოში	492.3	452.8	1 170.1	1 750.2	1 280.3
ბ. პორტფელის ინვესტიციები	-13.0	15.5	140.3	21.1	692.4
აქტივები	-13.1	13.1	-2.2	-12.5	-2.3
პასივები	0.1	2.4	142.5	33.6	694.8
გ. ფინანსური წარმოებულები	0.0	0.0	0.0	1.1	7.8
აქტივები	0.0	0.0	0.0	1.2	11.1
პასივები	0.0	0.0	0.0	-0.2	-3.3
დ. სხვა ინვესტიციები	9.8	177.1	180.5	586.7	966.1
აქტივები	-27.4	-16.2	-51.8	-202.3	-270.8
პასივები	37.3	193.3	232.4	789.0	1 236.9
ე. სარეზერვო აქტივები	-177.9	-110.6	-438.6	-377.0	-130.8
წმინდა შეცდომები და გამოტოვებები	11.1	26.7	-64.7	-25.6	-28.5
განსაკუთრებული დაფინანსება – სულ	144.1	142.5	116.2	178.7	1015.0

წლის მეორე ნახევარში როგორც სამთავრობო, ისე კერძო სექტორში. მიმდინარე ტრანსფერების ასეთი ზრდა ძირითადად დონორი ქვეყნების დახმარების შედეგია.

1.6 საფინანსო ბაზრები

კაპიტალის ბაზარი

2008 წელს საქართველოს საფონდო ბირჟაზე 256.6 მილიონი ლარის ღირებულების გარიგება განხორციელდა, საიდანაც 246 მილიონი ლარი ფიქსინგის⁵ საშუალებით დადებულ გარიგებებზე მოდის. საფონდო ბირჟის სავაჭრო სესიის დროს დადებული გარიგებების მთლიანი ღირებულების 93 პროცენტი შემდეგი სამი კომპანიის აქციებზე მოდის: „საქართველოს ბანკი“, „თელიანი ველი“ და „ვითიბი ბანკი ჯორჯია“. ფიქსინგის საშუალებით დადებულ გარიგებათა მთლიანი ღირებულების 90 პროცენტი კი შემდეგი კომპანიის აქციებზე მოდის „საქართველოს ბანკი“, „კაუკაზუს ენერჯი ენდ ინფრასტრუქჩა“ და „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაშვებული იყო 158 ემიტენტის ფასიანი ქაღალდი, რომელთა კაპიტალიზაცია⁶ 545.6 მილიონ ლარს შეადგენდა რაც მშპ-ის მხოლოდ 2.9 პროცენტს შეადგენს. საქართველო აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით წინ უსწრებს ისეთ ქვეყნებს როგორცა სომხეთი და უკრაინა 1,5 და 0,2 პროცენტი, შესაბამისად, თუმცა მნიშვნელოვნად ჩამორჩება სხვა განვითარებადი ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს (აღნიშნული მაჩვენებელი ევროპის განვითარებადი ქვეყნებისთვის საშუალოდ 68 პროცენტს შეადგენს, ხოლო აზიის განვითარებადი ქვეყნებისთვის 184 პროცენტია⁷).

აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლოა ითქვას, რომ საფონდო ბაზარი ქვეყანაში ჯერ კიდევ განუვითარებელია და იგი არ წარმოადგენს ქვეყანაში მოქმედი კომპანიებისთვის ფინანსური რესურსების მოძიების წყაროს.

ცხრილი 1.6.1
საქართველოს საფონდო ბირჟის კაპიტალიზაცია
2000–2008 წწ.

წელი	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008
წილი მშპ-ში	0.8	2.8	3.1	5.1	4	5.5	4.2	13.6	2.9

შიდასავალუტო ბაზარი


როგორც საფინანსო ბაზრის ყველაზე მგრძობიარე სექტორი, საქართველოს შიდა სავალუტო ბაზარი 2008 წლის განმავლობაში ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების ანარეკლს წარმოადგენდა. საანგარიშგებო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა ბრუნვა სავალუტო ბაზარზე, რომელიც, თავის მხრივ, თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის, პირდაპირი ბანკთაშორისი სავალუტო ბაზრის, კომერციული ბანკების მიერ კლიენტების მომსახურებისა და ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისაგან შედგება.

2008 წელს თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ბრუნვის მოცულობა 2007 წელთან შედარებით თითქმის 70 პროცენტით გაიზარდა და 2,246 მლნ ლარი შეადგინა. ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულმა ინტერვენციებმა ბირჟის ჯამური ბრუნვის 90.5 პროცენტი შეადგინა. შედარებისთვის 2007 წლის ანალოგიური მაჩვენებელი 86.6 პროცენტი იყო. წლის პირველ ნახევარში ეროვნული ბანკი ინტერვენციებს ძირითადად უცხოური ვალუტის შესყიდვის მიმართულებით ახორციელებდა და ჯამურად საანგარიშო წლის პირველ 7 თვეში 356 მლნ აშშ დოლარი შეისყიდა. ასეთი ჩარევით სებ-ი ეროვნული ვალუტის გამყარების ბუნებრივ პროცესს შედარებით მდორეს ხდიდა. ლარის გამყარების ტენდენცია, რომელსაც ბოლო წლების განმავლობაში ქვეყანაში უცხოური ვალუტის ქარბი შემოდინება განაპირობებდა, კარდინალურად შეიცვალა აგვისტოს ომის შემდეგ, როდესაც მკვეთრად შემცირდა ქვეყანაში უცხოური ვა-

⁵ გარიგების სავაჭრო სისტემის მეშვეობით დაფიქსირება (სავაჭრო სესიის გვერდის ავლით).
⁶ მიმოქცევაში არსებული ფასიანი ქაღალდების საბაზრო ღირებულება, გარდა იმ ფასიანი ქაღალდებისა, რომლებიც გამოშვები კომპანიის საკუთრებაშია.
⁷ 2007 წლის მონაცემები, საერთაშორისო სავალუტო ფონდი.


ღიბრამა 1.6.1

დინამიკა თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე (2004-2008 წწ. მლნ ლარი)




ღიბრამა 1.6.2

ლარის რეალური გაცვლითი კურსის დინამიკა უცხოური ვალუტის მიმართ. (2002 დეკ = 100)



ღიბრამა 1.6.3

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსების თვიური ინდექსი (2002 დეკ = 100)



ლუტის შემოდინება. ამ მომენტიდან ეროვნული ბანკის ინტერვენციების უმეტესობა უცხოურ ვალუტაზე ჭარბი მოთხოვნის დაკმაყოფილებას ემსახურებოდა.

8 აგვისტოდან ნოემბრის დასაწყისამდე პერიოდში, ეროვნული ბანკი ცდილობდა მკვეთრად არ შეცვლილიყო ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან. ეს იმით იყო განპირობებული, რომ ლარის კურსის ცვლილება შესაძლებელი იყო ასოცირებულიყო ომსა ან საფინანსო კრიზისთან, რაც გაუმართლებელ, არაჯანსაღ აჟიოტაჟს გამოიწვევდა საბანკო სექტორში. ასეთი აჟიოტაჟის ეკონომიკურ-ფინანსური შედეგები სავალალო იქნებოდა. შესაბამისად, ეროვნულმა ბანკმა, ფაქტობრივად, დააფიქსირა ლარის დოლართან გაცვლითი კურსი. ოქტომბრის მეორე ნახევარში მსოფლიო ფინანსური კრიზისის გაღრმავების გამო, მოხდა აშშ დოლარის მკვეთრი გამყარება სხვა ძირითადი ვალუტების მიმართ. აშშ დოლარის მიმართ კურსის დაფიქსირებასა და თვით აშშ დოლარის გამყარების შედეგად მოხდა ლარის არაბუნებრივი გამყარება. ამის გამო, ეროვნული ბანკი იძულებული იყო ნოემბრის თვეში დაეშვა ლარის აშშ დოლართან მიმართებაში ერთჯერადი გაუფასურება.

ნოემბერში, ეროვნული ვალუტის გაუფასურების მიუხედავად, საანგარიშო პერიოდში ლარის რეალური გაცვლითი კურსი გამყარდა თითქმის ყველა უცხოური ვალუტის მიმართ: ევროს მიმართ გამყარებამ 5.48 პროცენტი, რუსული რუბლის მიმართ 2.62 პროცენტი, ხოლო თურქული ლირის მიმართ 19.59 პროცენტი შეადგინა. აშშ დოლარის მიმართ ლარის რეალური გაცვლითი კურსი უმნიშვნელოდ (0.55 პროცენტით) გაუფასურდა.

ეროვნული ვალუტის გამყარებამ სხვადასხვა ვალუტების მიმართ ცალსახად იმოქმედა ლარის როგორც ნომინალურ, ასევე რეალურ ეფექტურ გაცვლით კურსებზე. საანგარიშგებო პერიოდში ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი 14.4 პროცენტით, ხოლო რეალური – 9.6 პროცენტით გამყარდა.

2. ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა

2.1 ფულად-საკრედიტო პოლიტიკა

2008 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის შემუშავებისას ხელმძღვანელობდა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული ძირითადი ამოცანებითა და ფუნქციებით, რომლის მიხედვითაც, „ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა“. ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანის ფოკუსირება ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფაზე ეყრდნობა საყოველთაოდ აღიარებულ მოსაზრებას, რომ დაბალი და პროგნოზირებადი ინფლაცია გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის აუცილებელი წინაპირობაა. აღსანიშნავია, რომ 2008 წლის მარტის თვეში „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონში შევიდა ცვლილებები და დამატებები, რომლის მიხედვითაც ცხადად განისაზღვრა საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანა, ხოლო სხვა ფუნქციები, როგორც არის უზრუნველყოს ფინანსური სისტემის სტაბილურობა და გამჭვირვალობა და ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ ზრდას უნდა შესრულდეს მაშინ, თუ ეს შესაძლებელია ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მისი ძირითადი ამოცანის შესრულებას“. ამდენად, 2008 წელსაც ფასების სტაბილურობაზე ორიენტირებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას, მოსახლეობის შემოსავლების გაუმჯობესებასა და ცვლასა და მთლიანი შიდა პროდუქტის გრძელვადიანი ზრდის პოტენციალის ამაღლებას ემსახურებოდა.

2008 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას ახორციელებდა „საქართველოს 2008 წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების

შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესაბამისად, რომელიც მიზნად ისახავდა წლის ბოლოსათვის ფასების საპროგნოზო ზრდას 8 პროცენტის ფარგლებში. იმის გათვალისწინებით, რომ ეგზოგენური ფაქტორების ზემოქმედების შემთხვევაში, რომელიც მრავლად იყო 2008 წლის განმავლობაში, შესაძლებელი იყო ინფლაციის დონის საპროგნოზო მაჩვენებლიდან გადახრა. ამასთან, თუ გადახრის მასშტაბი იმდენად მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ ინფლაციაზე მოქმედ ისეთ ფუნდამენტურ ფაქტორზე, როგორცაა ინფლაციური მოლოდინი, მოახდენდა პოტენციურ გავლენას, ეროვნული ბანკი ასეთ შემთხვევას მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებით (ან შერბილებით) უპასუხებდა.

წლის პირველი ნახევრის განმავლობაში საკმაოდ მაღალი წლიური ინფლაციის მაჩვენებელი ფიქსირდებოდა, რაც ძირითადად 2007 წელს სამომხმარებლო კალათისათვის ზოგიერთ მნიშვნელოვან კომპონენტზე ფასების და ადმინისტრირებადი ფასების ერთჯერადი ზრდით იყო გამოწვეული. შედეგად გაზაფხულზე წლიური ინფლაცია 12 პროცენტს აჭარბებდა. ეროვნული ბანკი პროგნოზირებდა, რომ ზემოაღნიშნული ეგზოგენური ფაქტორებით გამოწვეული ეფექტი წლის მეორე ნახევრიდან წლიური ინფლაციის მაჩვენებელზე ზემოქმედებას აღარ მოახდენდა და შედეგად ინფლაციის კლების ტენდენცია ექნებოდა. მართლაც, ივლისის თვეში ინფლაციის მაჩვენებელი შემცირდა ერთიანი რიცხვამდე. თუმცა აგვისტოს თვეში ქვეყანაში განვითარებული საომარი მოქმედებების შედეგად პროდუქციის ერთი რეგიონიდან მეორეში ტრანსპორტირების გართულებამ და შედეგად ბაზარზე აღნიშნული საქონლის მიწოდების სიმცირემ გამოიწვია ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო საქონელზე ფასების მკვეთრი ზრდა და ინფლაციის მაჩვენებელმა

წლის განმავლობაში მაქსიმალურ ნიშნულს, 12.8 პროცენტს მიაღწია. მდგომარეობის სტაბილიზაციასთან ერთად ფასები თანდათანობით დაუბრუნდა ადრინდელ ნიშნულს. ამას თან დაერთო წლის მეორე ნახევარში საერთაშორისო ბაზრებზე ენერგომატარებლებზე, ხორბალზე და სხვა საქონელზე ფასების საგრძნობი დაცემა. წლის ბოლოსათვის წლიური ინფლაციის მაჩვენებლის მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებშიც, რამაც ასევე იქონია გავლენა საქართველოში ფასების დინამიკაზე. შედეგად ინფლაციის მაჩვენებელი მკვეთრად შემცირდა წლის ბოლოს 5.5 პროცენტამდე. საშუალო წლიური ინფლაცია 2008 წლის განმავლობაში 10 პროცენტს შეადგენს.

2008 წელს, წინა წლების მსგავსად, ეროვნული ბანკის საშუალოვადიან პერსპექტივაში ფასების საერთო დონის სტაბილურობასა და ეკონომიკის რყევების შექცევისდაგვარად მინიმუმაციაზე ორიენტირებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა კვლავ სერიოზული გამოწვევების წინაშე იდგა. ძირითადად ეგზოგენური და ნაწილობრივ მონეტარული ფაქტორების გავლენით 2008 წელს ინფლაციას საკმაოდ მაღალი მერყეობა ჰქონდა.

საქართველოს ეროვნული ბანკი ფულის მასის მიწოდების რეგულირებას მასზე მოთხოვნის შესაბამისად ახდენდა. ეკონომიკური ზრდის, მონეტიზაციის, დედოლარიზაციის და სხვა ფაქტორების მოსალოდნელ დინამიკაზე დაყრდნობით, ფასების სტაბილურობის პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, სარეზერვო ფულის მასის ზრდა თავდაპირველად დაიგეგმა 10 პროცენტის ფარგლებში. პირველი კვარტლის განმავლობაში დიდი ოდენობით უცხოური კაპიტალის შემოდინების ფონზე ეროვნულმა ბანკმა ლარის გაცვლითი კურსის ძლიერი მერყეობის თავის არიდების მიზნით გაზარდა სავალუტო ბაზარზე ინტერვენციები, აშშ დოლარის შესყიდვები. აღნიშნული ოპერაციები ხელს უწყობდა სარეზერვო ფულისა და შედეგად ეკონომიკისთვის ფულის მიწოდების ზრდას. თუმცა, სავალუტო ინტერვენციების სტერილიზაციის მიზნით ერო-

ვნული ბანკი აქტიურად მიმართავდა სადეპოზიტო სერტიფიკატებით სისტემიდან ჭარბი ფულის ამოღებას. მარტის ბოლოსათვის სადეპოზიტო სერტიფიკატებით სისტემიდან ფულის ამოღებამ 467 მლნ ლარს მიაღწია. მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი სულ უფრო აქტიურად იყენებდა „მონეტარული პოლიტიკის ძირითად საპროცენტო განაკვეთს“ რომელიც წლის პირველ ნახევარში სამი პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 12 პროცენტს მიაღწია.

მომდევნო თვეების განმავლობაში დასავლეთის განვითარებულ ბაზრებზე გამოჩნდა ფინანსური კრიზისის დასაწყისის პირველი ნიშნები, რის შედეგადაც საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს გაუძნელდათ საერთაშორისო ბაზრებიდან საკრედიტო რესურსის მოძიება ადრინდელი მოცულობებით და პირობებით. თუმცა პირველ ხანებში ამას ხელი არ შეუშლია ფულადი აგრეგატების ზრდისათვის, რადგან ამ დროისათვის კომერციულ ბანკებს საკმაოდ მნიშვნელოვანი რესურსი ჰქონდათ ინვესტირებული ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატებში და შედეგად საერთაშორისო ბაზრებზე საკრედიტო რესურსის უკმარისობას ბანკებმა სადეპოზიტო სერტიფიკატებიდან რესურსის გამოთხოვით უპასუხეს. შედეგად, სარეზერვო ფულის წლიური ზრდის ტემპი ივლისის ბოლო მდგომარეობით 34 პროცენტს აღემატებოდა. M2 ფულადი აგრეგატის წლიური ზრდის ტემპი ივლისის მდგომარეობით 41 პროცენტს, ხოლო M3 ფულადი აგრეგატის წლიური ზრდის ტემპი 27 პროცენტს შეადგენდა. საერთოდ წლის პირველი ნახევრის განმავლობაში ეროვნული ბანკი ატარებდა მკაცრ მონეტარულ პოლიტიკას, რაც მიმართული იყო საბანკო სისტემიდან ჭარბი ლიკვიდობის ამოღებისაკენ, რათა ფულადი აგრეგატების ზრდის ტემპი სასურველ ფარგლებში მოქცეულიყო.


ავვისტოში განვითარებულმა საომარმა მოქმედებებმა, ხოლო შემდგომ პერიოდში მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამწვავებამ ეროვნუ-

ლი ბანკის მონეტარული პოლიტიკა სრულიად განსხვავებული გამონვევების წინაშე დააყენა. საომარი მოქმედებების შედეგად გაზრდილმა გაურკვეველობამ საბანკო სისტემიდან დეპოზიტების გადინებას საგრძნობლად შეუწყო ხელი. იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა შეფერხებები მენაბრეების მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის ეროვნულმა ბანკმა დროებით გაათავისუფლა კომერციული ბანკები მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დაცვისაგან და ამით გამოათავისუფლა საკმაოდ მნიშვნელოვანი მოცულობის რესურსი. ამ პერიოდისათვის მინიმალური სარეზერვო მოთხოვნა 13 პროცენტს შეადგენდა. მოგვიანებით ეროვნულმა ბანკმა მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების განაკვეთი 5 პროცენტამდე შეამცირა. აღნიშნული ცვლილება მონეტარული პოლიტიკის მიმართულების ცვლილებით იყონაკარნახევი. ეკონომიკის მოსალოდნელი ზრდის ტემპის პროგნოზის გაუარესების, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში და ზოგადად მსოფლიოში, საერთაშორისო ბაზრებზე დეფლაციური პროცესების გაძლიერების, საბანკო სისტემაში ლიკვიდობის დეფიციტის ზრდისა და საკრედიტო რესურსის მოძიების გართულების შედეგად როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ, ეროვნულმა ბანკმა შეცვალა მკაცრი მონეტარული პოლიტიკა ექსპანსიური, ეკონომიკის სტიმულირებისაკენ მიმართული პოლიტიკით.

მონეტარული პოლიტიკის კურსის ცვლილებამ, აგრეთვე საბანკო სისტემის ლიკვიდობის სიჭარბიდან დეფიციტის მდგომარეობაში გადასვლამ, დღის წესრიგში დააყენა მონეტარული პოლიტიკის ახალი ინსტრუმენტის, 7 დღიანი რეფინანსირების სესხების ამოქმედების აუცილებლობა. აღნიშნული ინსტრუმენტი საშუალებას აძლევს, ერთი მხრივ, სისტემის დეფიციტის პირობებში მომუშავე კომერციულ ბანკებს უფრო ეფექტურად მართონ ლიკვიდობა, ხოლო, მეორე მხრივ, ეროვნულ ბანკს ბანკთაშორის საკრედიტო ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გზით, სიგნალი მისცეს ეკონომიკას მონე-


ტარული პოლიტიკის მიმართულების შესახებ და ზეგავლენა მოახდინოს ეკონომიკური აგენტების მოლოდინებზე. ეკონომიკური კრიზისის გაღრმავებასთან და შედეგად, ეკონომიკის ზრდის მოსალოდნელი ტემპების პროგნოზების გაუარესებასთან ერთად, აგვისტოს შემდგომ პერიოდში ეროვნულმა ბანკმა ოთხ შემთხვევაში (თითო ჯერზე ერთი პროცენტული პუნქტით) შეამცირა პოლიტიკის ძირითადი განაკვეთი აგვისტოში 12 პროცენტიდან წლის ბოლოს 8 პროცენტამდე.

დიაგრამა 2.1.1
მონეტარული პოლიტიკის ძირითადი განაკვეთი 2008 წელს.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 2.1.2
M2 ფულის მასისა (თვის საშუალო მონაცემებით) და სამომხმარებლო ფასების წლიური ზრდის ტემპი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

თუმცა, აღნიშნული ღონისძიებები არ იყო საკმარისი ლიკვიდობის დეფიციტის გამწვავების პირობებში კომერციული ბანკების საკრედიტო აქტივობის და შედეგად, ეკონომიკური აქტივობის საკმარისი მოცულობით გამოცოცხლები-სათვის. ეროვნულმა ბანკმა საბანკო სისტემას დამატებით გამოუყო 135.9 მილიონი ლარის რე-სურსი, ექვსი თვის ვადით, ერთ წლამდე ვადის გაზრდის შესაძლებლობით.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული ღონისძიებები მიმართული იყო ეკონომიკური აქტივობის ხელშეწყობის მიზნით ეკონომიკაში ფულის მასის ზრდისაკენ, ოქტომბერ-ნოემბერში, ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურების მოლოდინის ზრდის შედეგად ეკონომიკურ აგენტებში გაიზარდა უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა, რამაც სარეზერვო ფულზე და საბოლოო ჯამში, ფულად აგრე-გატებზე შემცირების მიმართულებით იმოქმედა. შედეგად, წლის ბოლოსთვის, სარეზერვო ფულის წლიური კლების ტემპმა 7.8 პროცენტი შეადგინა. M2 ფულადი აგრეგატის წლიური კლების ტემპი 13 პროცენტს შეადგენს, ხოლო M3 ფულადი აგრეგატის ზრდის ტემპი ივნისის თვეში 29 პროცენტი-დან წლის ბოლოს 7 პროცენტამდე შემცირდა. M2 ფულის მულტიპლიკატორი წლის განმავლობაში 6 პროცენტით შემცირდა, ხოლო M3 ფულის მულ-ტიპლიკატორი 16 პროცენტით გაიზარდა.

ავისტოს მოვლენების შემდგომ პერიოდში, ლარის გაუფასურების მოლოდინის ზრდასთან ერთად, მკვეთრად შემცირდა ლარზე მოთხოვნა, ამდენად მონეტარული პოლიტიკის განხორციე-ლებაში მნიშვნელოვანი იყო გაცვლის კურსის როლიც, რადგან იგი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინფლაციური მოლოდინის ჩამოყალიბე-ბაზე. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკონო-მიკის მახასიათებლების გათვალისწინებით, სა-ქართველოს ეროვნული ბანკი გაცვლით კურსს შუალედურ ორიენტირად არ განიხილავს, ანუ, ფულის მასის ზრდის ტემპის საპირისპიროდ არ ცდილობს განსაზღვროს გაცვლის კურსის რაი-მე ნიშნული. თუმცა, ინტერვენციები სავალუტო ბირჟაზე ინტენსიურად ხორციელდებოდა გა-

ცვლითი კურსის მოკლევადიანი რყევების თა-ვის არიდების მიზნით. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ეკონომიკური აგენტების მოლოდინი საკმაოდ მგრძობიარეა ლარის გა-ცვლითი კურსის ცვალებადობის მიმართ, აგვის-ტოს მოვლენების დროს და შემდგომ პერიოდში ეროვნულმა ბანკმა არასასურველი აჟიოტაჟის თავის არიდების მიზნით დააფიქსირა ლარის გა-ცვლის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში. ამ პერიოდს დაემთხვა მსოფლიო ფინანსური კრი-ზისის გამწვავების შედეგად აშშ დოლარის მკვე-თრი გამყარება სხვა ვალუტებთან მიმართებაში, რასაც მოჰყვა ლარის კურსის დაცვილება მოკლე-ვადიანი წონასწორული წერტილიდან, გაძლიერ-და კურსის გაუფასურების მოლოდინი, რამაც თავის მხრივ, წარმოშვა დამატებითი მოთხოვნა უცხოურ ვალუტაზე. უცხოურ ვალუტაზე სპეკუ-ლაციური მოთხოვნის გაძლიერების საპასუხოდ ეროვნულმა ბანკმა ნოემბერის დასაწყისში უარი თქვა კურსის დაფიქსირებაზე, რის შედეგადაც მოხდა ლარის გაცვლითი კურსის ერთჯერადი კორექცია გაუფასურების მიმართულებით. აღ-ნიშნული ნაბიჯის შემდეგ სავალუტო ბაზარზე უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა დასტაბილურდა.

ავისტოს მოვლენებისა და განსაკუთრებით მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გაღრმავების შემდგომ, ფულის მოთხოვნის ზრდის ტემპის შე-ნელების შედეგად, შემცირდა ეკონომიკის მონე-ტიზაციის მაჩვენებლები. 2008 წელს მონეტიზა-ციის მაჩვენებელმა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით 22.6 და 9.8 პროცენტი შეადგინა, შესაბამისად M3 და M2 ფულადი აგრეგატების მიხედვით. M2 ფულადი აგრეგატის ზრდის ტემ-პი უფრო მკვეთრად შემცირდა ვიდრე M3, რაც წლის ბოლოს ლარის გაუფასურების მოლოდინის გამო უცხოური ვალუტაზე გაზრდილი მოთხო-ვნით აიხსნება. 2008 წელს შენარჩუნებული იყო ლარის მოთხოვნაზე მოქმედი ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა საბიუჯეტო სახსრების მოძრაო-ბა, მოსახლეობის ტრანზაქციული საჭიროება. ლარის მოთხოვნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო წინა წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გა-


ზრდილი ბრუნვა იყო. 2008 წელს, წინა წელთან შედარებით, სახელმწიფო ბიუჯეტი დაახლოებით 30 პროცენტით გაიზარდა და 6.5 მილიარდ ლარს გადააჭარბა. სახელმწიფო ფინანსებზე დამოკიდებული მოსახლეობის ნაწილის შემოსავლების მატება ეკონომიკის მონეტიზაციას უწყობდა ხელს.

2008 წლის პირველ ნახევარში, წინა წლის მსგავსად, საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა დედოლარიზაციის პირობებში წარმართა. საბანკო დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტი 65.6-დან ივლისის ბოლოსათვის 60 პროცენტამდე შემცირდა. თუმცა, შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა, ლარის გაუფასურების მოლოდინის ზრდამ, ეკონომიკის დოლარიზაციის ზრდა გამოიწვია. აგვისტოს შემდეგ საბანკო დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტი განუხრელად იზრდებოდა და წლის ბოლოსთვის 75.8 პროცენტს მიაღწია. დოლარიზაციის ზრდას ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურებამაც შეუწყო ხელი, რის შედეგადაც მოსახლეობის ნდობა ლარის მიმართ ეცემოდა. საბოლოოდ, 2008 წლის განმავლობაში დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 15.5 პროცენტით გაიზარდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2008 წლის განმავლობაში ინფლაციის დინამიკაზე მნიშვნელოვანი იყო ეგზოგენური ფაქტორების გავლენა. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ეროვნული ბანკი საბაზო ინფლაციის შესაფასებლად იყენებდა როგორც სამომხმარებლო კალათიდან სხვადასხვა კომპონენტის გამორიცხვით მიღებულ ინდექსებს, ისე ერთი და ორი სტანდარტული გადახრის ფარგლებში მყოფი სამომხმარებლო კალათის კომპონენტების მიხედვით მიღებულ ინდექსს. საბაზო ინფლაციის ინდექსების ანალიზი კი, მეტწილად, ფასების საერთო დონის სტაბილურობისა და წლის დასაწყისში შედარებით მაღალი ინფლაციის დროებით ბუნებაზე მიანიშნებდა, რაც წლის მეორე ნახევარში დადასტურდა კიდევ.

ასეთ პირობებში გასულ წელს საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა ძი-

ღიბრამა 2.1.3
ეკონომიკის მონეტიზაცია 1996-2008 წლებში




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

რითადად გამიზნული იყო ფასების დონის საშუალო და გრძელვადიანი სტაბილურობის მიღწევაზე. ასეთი მიდგომა, ფასების კლების სიხისტის პირობებში, ეკონომიკის ზრდის შეფერხების თავიდან ასაცილებლად, ფასების დინამიკაზე მოქმედი სხვადასხვა ეგზოგენური შოკის სუსტი მოთხოვნით ნეიტრალიზებას არ გულისხმობდა. ძირითადი აქცენტი უფრო მინოდების შოკის ირიბ, მეორად ეფექტებზე კეთდებოდა. ბუნებრივია, მონეტარული პოლიტიკა არა არსებული, არამედ მოსალოდნელი ინფლაციის მართვაზე იყო ორიენტირებული. მოსახლეობის სწორი ინფლაციური მოლოდინის ჩამოყალიბების მიზნით უალრესად მნიშვნელოვანი იყო მონეტარული პოლიტიკის გამჭვირვალობა და საქართველოს ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის პოლიტიკა.

საქართველოს ეროვნული ბანკი მიიჩნევდა, რომ დასახული მიზნების მისაღწევად აუცილებელი იყო საფინანსო ბაზრის მონაწილეთათვის, აგრეთვე საზოგადოების ფართო ფენებისათვის ნათელი ყოფილიყო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების რეალური მიზეზები და მოსალოდნელი შედეგები, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებული პრიორიტეტები, მათზე დაყრდნობით გატარებული ღონისძიებების შინაარსი და გავლენა ეკონომიკაზე. ამ კონტე-


დიაგრამა 2.2.1

ლარის აშშ დოლარის მიმართ თბსბ-ზე დაფიქსირებული გაცვლის კურსი. 2006-2008 წწ.



დიაგრამა 2.2.2

სებ-ის მონაწილეობა თბსბ-ზე 2008 წლის განმავლობაში. (მლნ აშშ დოლარი)



ქსტში, სხვა ნამყვანი ქვეყნების ცენტრალური ბანკების მიერ აპრობირებული პრაქტიკის მსგავსად, საქართველოს ეროვნული ბანკი ცდილობდა ელექტრონული და ბეჭდვითი გამოცემებისა თუ მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების მეშვეობით მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გაეხადა ინფორმაცია ფულად და სავალუტო ბაზრებზე მიმდინარე ტენდენციების შესახებ, წარმოეჩინა საკუთარი ხედვა ამ საკითხებთან მიმართებით და აეხსნა ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღების მოტივები. ამ მიზნით ეროვნული ბანკი ყოველთვიურად გამოსცემდა „მონეტარულ და ფისკალურ მიმოხილვას“, ყოველკვარტალურად გამოსცემდა „ინფლაციის მიმოხილვას“, ოპერა-

ტიულად აქვეყნებდა სტატისტიკურ მონაცემებს და სხვ.

ამდენად, არსებული სირთულეების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მოახერხა წლის მეორე ნახევრისათვის ინფლაციის ზრდის შეჩერება, თუმცა, ამ პერიოდს დაემთხვა საერთაშორისო ბაზრებზე ფასების მკვეთრი დაცემა, რაც აგრეთვე აისახა საქართველოს სამომხმარებლო ფასების ინდექსზე. შედეგად, წლის ბოლოსთვის ეროვნული ბანკის პროგნოზირებულზე დაბალი ინფლაციის მაჩვენებელი დაფიქსირდა – 5.5 პროცენტი.

2.2 სავალუტო პოლიტიკა და

საერთაშორისო რეზერვების მართვა

2008 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო პოლიტიკა ფასების სტაბილურობის შენარჩუნების კონტექსტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება იყო. ამავე დროს, საანგარიშო პერიოდში სავალუტო პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტებად რჩებოდა ლარის კურსის მკვეთრი კონიუნქტურული რყევების შერბილება, ლარის რეალური ეფექტური კურსის გამყარების შესუსტება და საერთაშორისო რეზერვების აკუმულირება.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო პოლიტიკა მართვადი მცურავი გაცვლის კურსის რეჟიმის ფარგლებში ხორციელდებოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო ინტერვენციების მიზანი გაცვლის კურსის მკვეთრი რყევების თავიდან აცილება იყო და არა კურსის მოძრაობის ძირითადი ტრენდის შეცვლა და კონკრეტული საკურსო თანაფარდობის ჩამოყალიბება. ამასთან, ისევე როგორც წინა წლებში, გასულ წელსაც, კაპიტალის ანგარიში ლიბერალიზებული იყო, რაც ნებისმიერ ეკონომიკურ სუბიექტს უცხოური ვალუტით დეპოზიტების გახსნის საშუალებას აძლევდა, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, ასევე, მის ხელთ არსებული თანხების ნებისმიერი უცხოური ვალუტით კონვერტირების შესაძლებლობას.

სავალუტო ბაზარზე გაცვლითი კურსის მკვეთრი მერყეობის შემცირების მიზნით, უცხოური ვალუტის მოთხოვნა-მიწოდებას შორის სხვაობას აბალანსებდა ეროვნული ბანკი. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2008 წლის განმავლობაში თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის სავაჭრო სესიებზე 1,211.2 მლნ აშშ დოლარი გაყიდა და 821.7 მლნ აშშ დოლარი შეისყიდა. წლის პირველი ნახევრის განმავლობაში ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე საქართველოს ეროვნული ბანკი ძირითადად უცხოური ვალუტის მყიდველის როლში გამოდიოდა. აგვისტოს ომის შემდგომ პერიოდში, რასაც ემატებოდა მსოფლიო საფინანსო კრიზისი, შემცირდა ქვეყანაში უცხოური კერძო კაპიტალის შემოდინება. საერთაშორისო დახმარებების შედეგად კი გაიზარდა ვალუტის შემოდინება სახელმწიფო არხებით. რომ არ მომხდარიყო საერთაშორისო რეზერვების ზრდა ვალუტის დეფიციტის პირობებში, საქართველოს ეროვნული ბანკი, წლის პირველი ნახევრისგან განსხვავებით, ყიდდა აშშ დოლარს წლის მეორე ნახევარში.

აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლის კურსის საშუალო სიდიდე 2008 წლის განმავლობაში 1.4902 ლარს გაუტოლდა. 2008 წელს საშუალო წლიური გაცვლის კურსი 11 პროცენტით გამყარდა (1.6703-დან 1.4902-მდე), ხოლო წლის ბოლო მონაცემით გაცვლის კურსი 4.7 პროცენტით გაუფასურდა (ლარი/აშშ დოლარის გაცვლის კურსი 1.5916-დან 1.6670-მდე გაიზარდა).


წლის განმავლობაში მკვეთრ ცვლილებებს განიცდიდა აგრეთვე ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები. კერძოდ, საანგარიშო წლის განმავლობაში ნომინალური ეფექტური კურსი 14.4 პროცენტით გამყარდა, ხოლო რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 9.6 პროცენტით გამყარდა.

საერთაშორისო რეზერვების დინამიკა. 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სებ-ის საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ 1 480.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2007 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 8.74 პროცენტით აღემატება.

აღსანიშნავია, რომ 2008 წლის განმავლობაში სებ-ის მიერ თბსბ-ზე განხორციელებულმა წმინდა გაყიდვებმა 389.49 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. წლის განმავლობაში სებ-ის საერთაშორისო რეზერვების ზრდას შემდეგი ძირითადი წყაროები განაპირობებდა: პრივატიზაციიდან მიღებული სახსრები (121 მლნ აშშ დოლარი), საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან მიღებული ტრანში (240 მლნ აშშ დოლარი), აშშ-დან მიღებული ბიუჯეტის დახმარების გრანტი (250 მლნ აშშ დოლარი), აგრეთვე ფინანსთა სამინისტროსათვის დონორი ქვეყნებიდან გაცემული სხვა კრედიტები და გრანტები. ასევე საერთაშორისო რეზერვების ზრდას უზრუნველყოფდა


ღიაბრამა 2.2.3

ლარის რეალური და ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსების ინდექსები (დეკ 2006=100)



ღიაბრამა 2.2.4

ოფიციალური სარეზერვო აქტივები (მილიონი აშშ დოლარი, წლის ბოლო მაჩვენებელი)



ევროობლიგაციების გაყიდვით მიღებული შემოსავალი და შემდგომ სუვერენული ფონდებიდან თანხების რეპატრიაცია. საერთაშორისო რეზერვების შემცირება დაიწყო აგვისტოს დასაწყისში, საომარ სიტუაციასთან დაკავშირებით და სექტემბრის ბოლომდე შემცირდა დაახლოებით 360 მლნ აშშ დოლარით. 2008 წლის განმავლობაში რეზერვებიდან მიღებულმა შემოსავალმა 70 667 926 ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის შემოსავალზე 26.4 მლნ ლარით ნაკლებია. წინა წელთან შედარებით შემოსავლების შემცირება, მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი შემცირების შედეგია.

ქვეყანაში არსებული დაძაბული სიტუაციის გათვალისწინებით, კომერციული ბანკების მხრიდან გაჩნდა დიდი მოთხოვნა ნაღდ უცხოურ ვალუტაზე. კომერციული ბანკების კლიენტების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ქვეყანაში საბანკო სისტემის მიმართ ნდობისა და სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით, ასევე, დიდი საკურსო რყევების თავიდან აცილებისათვის, სებ-მა მაქსიმალურად მჭიდრო ვადებში მოახერხა, როგორც ნაღდი უცხოური ვალუტით (როგორც აშშ დოლარი, ასევე ევრო) საბანკო სისტემის მომარაგება, ასევე უზრუნველყო შეუფერხებელი მომსახურების განევა კომერციული ბანკებისთვის და მთავრობისთვის, რითაც შეძლო თავიდან აცილებინა მსგავსი კრიზისული სიტუაციის თანმდევი პრობლემები.

2.3 ფულის მიწოდება

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს ეროვნული ბანკი ფულის მიწოდებას ახორციელებდა ფულის მოთხოვნის ფაქტორების გათვალისწინებით.

ფულის მოთხოვნას საანგარიშო პერიოდში, თავის მხრივ, აყალიბებდა ისეთი მაჩვენებლები, როგორცაა ეკონომიკის რეალური სექტორის ზრდის ტემპი, საბიუჯეტო სფეროში მიმდინარე ცვლილებები, ინფლაციისა და გაცვლითი კურსის დინამიკა, სავალუტო ნაკადების მოძრაობა და სეზონური ფაქტორები.

მიუხედავად იმისა, რომ აგვისტომდე, ფულადი ბაზა წინა წლებში არსებულ ტენდენციებს ინარჩუნებდა და ხასიათდებოდა ზრდის მაღალი ტემპებით (მაგალითად, ივლისის ბოლოსათვის წლიური ზრდის ტემპი 34,1 პროცენტი იყო), აგვისტოს ომისა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგები უარყოფითად აისახა ფულად ბაზაზე და მისი არსებითი შეკუმშვა განაპირობა. კერძოდ, 2008 წელს, სარეზერვო ფულის მაჩვენებელმა 139,7 მლნ ლარით (7,8 პროცენტით) მოიკლო და დეკემბრის ბოლოსთვის 1642,1 მლნ ლარი შეადგინა. როგორც აღინიშნა, იანვრიდან აგვისტოს თვემდე ფულადი მასა ზრდის მიმართულებით მოძრაობდა. ამ პერიოდში, ფულის მიწოდების ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორებს უცხოური შემოღებები და სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენდა. ფულის მიწოდების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს არხს, სავალუტო ბაზარზე ჩამოყალიბებული კონიუნქტურის შედეგად, სებ-ის მიერ განხორციელებული ინტერვენციები წარმოადგენდა, რომლის საპირწონედ აქტიურად გამოიყენებოდა სადეპოზიტო სერტიფიკატების ემისია. აგვისტოს შემდეგ კი, მკვეთრად შემცირდა სარეზერვო ფულის მასა, მიუხედავად იმისა, რომ სებ-მა შექმნა ახალი ინსტრუმენტი რეფინანსირების შესახების სახით და ამასთან, კომერციულ ბანკებს შესთავაზა ბოლო ინსტანციის დაკრედიტების პაკეტი, საიდანაც ათვისებულ იქნა სესხი 135.9 მლნ ლარის ოდენობით. თუმცა, ფულად ბაზარზე სებ-ის ასეთმა აქტიურობამ, მხოლოდ სექტემბერ-ოქტომბერში შეძლო ფულადი ბაზის გაფართოების შენარჩუნება, ხოლო ნოემბერსა და დეკემბერში იგი მკვეთრად შემცირდა (შესაბამისად, -8.6 პროცენტი და -7,8 პროცენტი).

2008 წელს, ტრადიციულად, ფულის მოთხოვნას ეკონომიკის ზრდა და სეზონური ფაქტორები განსაზღვრავდა. მშპ-ის რეალური ზრდის ტემპმა დეკემბრის მონაცემებით მხოლოდ 2.1 პროცენტი შეადგინა. ზემოაღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით, წლის ბოლოს მონაცემის მიხედვით, ფართო ფული M3 მხოლოდ 7-პროცენტით (277.7


მლნ ლარი) გაიზარდა (შედარებისათვის 2007 წლის ბოლოსათვის ფულის მასის წლიური ზრდა თითქმის 50 პროცენტს შეადგენდა). ნომინალური მშპ-ს ფულის მოთხოვნაზე მეტად ზრდამ, მონეტიზაციის მაჩვენებლის კლება გამოიწვია. წლის ბოლო მონაცემების მიხედვით, M3 ფულადი აგრეგატისთვის მონეტიზაციის კოეფიციენტი 23,7-დან 22,6 პროცენტამდე შემცირდა. ფართო ფული M2-ის მაჩვენებელი საანგარიშო პერიოდში 13 პროცენტით (286,8 მლნ ლარით) იკლო, შესაბამისად M2 აგრეგატის მშპ-თან შეფარდება კი 12,6-დან 9,8 პროცენტამდე შემცირდა.

საბანკო სისტემის სადეპოზიტო ვალდებულებები 2008 წელს 347,2 მლნ ლარით (ანუ 12,1 პროცენტით) გაიზარდა და 3222,6 მლნ ლარი შეადგინა. დეპოზიტების ზრდა მთლიანად უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების ხარჯზე მოხდა.

ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტები საანგარიშო პერიოდში შემცირდა 217,3 მლნ ლარით (-21,8 პროცენტით). ამასთან, ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტების კლება მეტწილად იურდიული პირების დეპოზიტებზე მოდის.

წინა წლებთან შედარებით, სადეპოზიტო ბაზის გაფართოების დაბალმა ტემპმა შესაბამის

დიაგრამა 2.3.1
ფულადი აგრეგატების დინამიკა (მლნ ლარი)



სი გავლენა მოახდინა კომერციული ბანკების საკრედიტო პოტენციალზე, რაც ეკონომიკისათვის გაცემული სესხების დონესა და საპროცენტო განაკვეთებზე აისახა.

კერძოდ, მნიშვნელოვნად მოიმატა საპროცენტო განაკვეთებმა საბანკო სესხებზე. 2008 წლის ბოლოს, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მთლიან სესხებზე განაკვეთი 19,2-

ცხრილი 2.3.1
სარეზერვო ფული თვის ბოლო მონაცემებით 2008 წელი (მლნ ლარი)

	დეკ-07	იანვ-08	თებ-08	მარ-08	აპრ-08	მაი-08	ივნ-08	ივლ-08	აგვ-08	სექ-08	ოქტ-08	ნოე-08	დეკ-08
სარეზერვო ფული	1,781.8	1,628.4	1,689.9	1,731.2	1,833.5	1,821.7	1,901.1	1,968.9	1,716.7	1,836.9	1,696.4	1,476.0	1,642.1
ფული მიმოქცევაში	1,310.5	1,191.8	1,228.1	1,296.3	1,404.9	1,354.8	1,416.9	1,476.2	1,449.6	1,407.6	1,355.8	1,253.6	1,290.7
ბანკების დეპოზიტები	471.3	436.5	461.8	434.9	428.6	466.9	484.3	492.7	267.1	429.3	340.6	222.4	351.4
საკორესპონდენტო ანგარიშზე ნაშთები	277.1	278.2	287.7	282.5	282.8	304.5	296.1	284.6	150.4	88.2	103.4	114.1	121.2

ცხრილი 2.3.2
ფულადი აგრეგატები 2008 წელი (მლნ ლარი)

	იანვ-08	თებ-08	მარ-08	აპრ-08	მაი-08	ივნ-08	ივლ-08	აგვ-08	სექ-08	ოქტ-08	ნოე-08	დეკ-08
მონეტარული აგრეგატი (M3)	4,056.9	3,993.4	4,075.9	4,333.9	4,206.6	4,234.1	4,373.5	3,941.2	4,017.8	3,936.6	3,966.1	4,305.1
მონეტარული აგრეგატი (M2)	2,047.8	2,081.5	2,276.1	2,380.8	2,333.7	2,432.5	2,529.8	2,294.4	2,280.4	2,190.2	1,926.8	1,862.5
ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული	1,045.9	1,075.5	1,132.1	1,232.8	1,193.0	1,239.0	1,299.0	1,256.3	1,204.9	1,159.1	1,064.8	1,082.6
დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში	1,001.8	1,006.0	1,144.0	1,148.0	1,140.7	1,193.5	1,230.8	1,038.1	1,075.5	1,031.1	862.0	779.9
დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში	2,009.2	1,911.8	1,799.8	1,953.1	1,872.9	1,801.6	1,843.8	1,646.8	1,737.4	1,746.3	2,039.3	2,442.6

დან 22,7 პროცენტამდე გაიზარდა. ეროვნული ვალუტით გაცემულ კრედიტებზე სარგებელი 19,6 პროცენტიდან 24,1 პროცენტამდე გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით სარგებელმა 18,7 პროცენტიდან 21,9 პროცენტამდე მოიმატა. ამასთან, გაიზარდა განსხვავება დეპოზიტებისა და სესხების საპროცენტო განაკვეთებს შორის ეროვნული ვალუტით 7.6 პროცენტული პუნქტიდან 12.9-მდე, ხოლო უცხოური ვალუტით 10.4-დან 12.7 პროცენტულ პუნქტამდე მოიმატა.

ამდენად, 2008 წელს ფულზე მოთხოვნის დინამიკა, ქვეყანაში მიმდინარე პროცესების გამო, განსაკუთრებით რთულად პროგნოზირებადი იყო. მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო წელი განსხვავებული მახასიათებლების მქონე პერიოდებად შეიძლება დაიყოს – ეკონომიკური საქმიანობის განსხვავებული აქტივობა, დედოლარიზაციის პროცესის დოლარიზაციით ჩანაცვლება, საბიუჯეტო დეფიციტის ზრდა, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის რეგულირებითა და შესაბამისი ფულად-საკრედიტო ინსტრუმენტების გამოყენებით შეძლო ფულის მიწოდების ოპტიმალური დონეზე შენარჩუნება.

2.4 ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტები

2008 წლის იანვარ-ივლისში საქართველოს საბანკო სექტორი ჭარბი ლიკვიდობის პირობებში ოპერირებდა, მაღალი იყო სესხების ზრდის ტემპი რაც ფინანსური სისტემის სტაბილურობისა და ინფლაციის რისკებს წარმოქმნიდა. საქართველოს ეროვნული ბანკი, შესაბამისად მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებას მიმართავდა, რისთვისაც იყენებდა ისეთ ინსტრუმენტებს, როგორცაა სადეპოზიტო სერტიფიკატები და ერთდღიანი სესხები. წლის მეორე ნახევარში, აგვისტოს ომისა და ფინანსური კრიზისის გავლენით გადავიდა ლიკვიდობის დეფიციტის მდგომარეობაში. შესაბამისად, სებ-მა შეამსუბუქა მონეტარული პოლიტიკა და სხვადასხვა ინსტრუმენტებზე პროცენტების კლების პარა-

ლელურად, შემოიღო პოლიტიკის ახალი ინსტრუმენტი – რეფინანსირების სესხები.

სადაპოზიტო სერტიფიკატების ბაზრის მიმოხილვა

2008 წლის ჭარბი ლიკვიდობის ამოღების მთავარ ინსტრუმენტს სადეპოზიტო სერტიფიკატები წარმოადგენდა. კერძოდ, გამოიყენებოდა, როგორც სამთვიანი, ისე ერთკვირიანი ვადიანობის ინსტრუმენტები. სამთვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატები განკუთვნილია სწორედ ბანკებისაგან ჭარბი ლიკვიდობის ამოსაღებად. თავის მხრივ, სებ-ის ერთკვირიანი სადეპოზიტო სერტიფიკატებისათვის დადგენილი მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი კი პოლიტიკის განაკვეთის როლს ასრულებდა მის გაუქმებამდე, სექტემბრის თვეში. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებით, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი რამდენიმეჯერ შეიცვალა ზრდის მიმართულებით, რაც წლის პირველ ნახევარში მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების ამსახველი იყო.

ცხრილი 2.4.1

პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთის ცვლილება მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მიერ. 2008 წელი

კომიტეტის გადაწყვეტილების თარიღი	მიღებული გადაწყვეტილება
23.01.08	გაიზარდა 9%-დან 10%-მდე
20.02.08	გაიზარდა 10%-დან 11%-მდე
16.04.08	გაიზარდა 11%-დან 12%-მდე
20.08.08	შემცირდა 12%-დან 11%-მდე
02.09.08	შემოღებული იქნას რეფინანსირების სესხები
10.09.08	შემცირდა 11%-დან 10%-მდე
26.11.08	შემცირდა 10%-დან 9%-მდე
24.12.08	შემცირდა 9%-დან 8%-მდე

სულ, 2008 წლის იანვარ-აგვისტოში აუქციონებზე განთავსდა 1 150,2 მლნ ლარის მოცულობის 7 დღიანი სადეპოზიტო სერტიფიკატები. 2008 წლის განმავლობაში აუქციონებზე განთავსდა 692,6 მლნ ლარის მოცულობის სამთვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატები.

2008 წლის პირველ ნახევარში სადეპოზიტო სერტიფიკატებით საბანკო სისტემიდან ლიკვი-

დობის ამოღებამ მაქსიმუმს მარტის ბოლოს⁸ და აპრილის დასაწყისში მიაღწია. ოქტომბერში წმინდა ამოღება⁹ ნულოვან მაჩვენებელს მიუახლოვდა და დეკემბერში ნეგატიური გახდა, რადგან ამ პერიოდისათვის, სებ-ის პრიორიტეტად არა ლიკვიდობის ამოღება, არამედ მისი მიწოდება იქცა.

რეფინანსირების სესხები


ლიკვიდურ რესურსებზე მოთხოვნის მატების, გაზრდილი ბიზნეს რისკების, ბანკებისა და მთლიანად ეკონომიკური აქტივობის შენელების გამო, სებ-მა სექტემბრიდან შეამსუბუქა მონეტარული პოლიტიკა და ლიკვიდობის მიწოდებაზე გადავიდა. შემოღებული იქნა მონეტარული პოლიტიკის ახალი ინსტრუმენტი – რეფინანსირების (7 დღის ვადიანობის¹⁰) სესხი, რომლის მინიმალური წლიური საპროცენტო განაკვეთი იქცა სებ-ის პოლიტიკის განაკვეთად. შესაბამისად, მას მნიშვნელოვანი როლი მიენიჭა ეკონომიკაში საპროცენტო განაკვეთების ფორმირების პროცესში. რეფინანსირების სესხების გაცემა ხდება აუქციონის მეშვეობით, სახელმწიფო და სებ-ის ფასიანი ქაღალდებისა და სებ-ში ბანკების უცხოური ვალუტის საკორესპონდენტო ანგარიშზე განთავსებული უცხოური ვალუტის უზრუნველყოფის ქვეშ.

ფინანსური სექტორისა და მთლიანად ეკონომიკური აქტივობის წასახალისებლად და დეფლაციის თავიდან აცილების მიზნით, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებით მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი შემცირდა კომიტეტის 26 ნოემბრის სხდომაზე ერთი პროცენტული პუნქტით 9 პროცენტამდე, ხოლო 24 დეკემბრის სხდომაზე 8 პროცენტამდე. რეფინანსირების სესხების აუქციონებზე დაფიქსირებული საშუალო შენონილი პროცენტები ემთხვეოდა პოლიტიკის განაკვეთს ან მცირედით აღემატებოდა მას.

პოლიტიკის განაკვეთის ზეგავლენა ეკონომიკაზე ვლინდება ბანკთაშორის საპროცენტო გა-


ღიაბრამა 2.4.1

რეფინანსირების სესხები, მათი წლიური საშუალო შენონილი პროცენტი და პოლიტიკის განაკვეთი (მლნ ლარი)



ღიაბრამა 2.4.2

სებ-ის პოლიტიკის განაკვეთის გავლენა საბაზრო პროცენტებზე



ნაკვეთების ცვლილებით. თუმცა, 2008 წელს პოლიტიკის განაკვეთის გავლენა შეზღუდული იყო იმ გარემოებით, რომ ბანკთაშორისი ბაზარი საკმარისად არ არის განვითარებული საქართველოში. სესხების გაცემა ბანკებს შორის, გარდა ერთი საოპერაციო დღის ვადიანობის მქონე სესხებისა, ყოველდღე არ ხდებოდა. გარდა ამისა, ბანკთაშორისი სესხების ბაზარზე გარიგებებისა და მონაწილეთა ნაკლებობა შეიმჩნეოდა, რაც კონკურენ-

8 2008 წლის 31 მარტს სადეპოზიტო სერტიფიკატებით ამოღებამ მაქსიმუმს – 467,2 მილიონ ლარს მიაღწია.
 9 წმინდა ამოღება წარმოადგენს სადეპოზიტო სერტიფიკატებით ლიკვიდობის ამოღებას გამოკლებული კომერციული ბანკებისათვის სებ-ის მიერ მიცემული სესხები.
 10 თუმცა, იყო შემთხვევები როცა რეფინანსირების სესხები გაიცა 6 და 8 დღის ვადიანობით.

ციას ამცირებდა. საერთო ჯამში, პოლიტიკის განაკვეთის კორელაცია TIBR-7 ინდექსთან¹¹ 0,58 იყო, ხოლო TIBR-1-თან 0,56 იყო¹².

ერთდღიანი სესხები

ერთდღიანი სესხები განკუთვნილია საბანკო სისტემისათვის ლიკვიდობის მისაწოდებლად და საბანკო სტაბილურობის შესანარჩუნებლად. ლიკვიდობის დეფიციტის წარმოქმნის შემთხვევაში, ბანკებს შეუძლიათ სებ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატების, სახელმწიფო ობლიგაციების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებებისა და სებ-ში კომერციული ბანკების სავალუტო საკორესპონდენტო ანგარიშზე რიცხული ნაშთის უზრუნველყოფით აიღონ ერთდღიანი სესხები. ერთდღიან სესხზე დადგენილი საპროცენტო განაკვეთი, როგორც წესი საბაზრო განაკვეთზე მაღალია, რათა კომერციულმა ბანკმა ჯერ ფულად ბაზარზე ეცადონ საჭირო ლიკვიდობის მოძიებას და მერე მიმართონ ეროვნულ ბანკს.

2008 წელს სულ, სებ-ის მიერ გაცემული იქნა 3 409, 2 მლნ ლარის ერთდღიანი სესხი კომერციულ ბანკებზე, როცა 2007 წელს, სექტემბერში მისი ამოქმედებიდან წლის ბოლომდე, მხოლოდ 90 მლნ ლარი. სესხზე მოთხოვნა 2008 წელს მაღალი იანვარ-თებერვალსა და განსაკუთრებით, აპრილ-მაისში იყო, რაც ლიკვიდობის დეფიციტის გამწვავების პერიოდებს ემთხვევა. გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სებ-მა მაისში გაზარდა ერთდღიანი კრედიტით დავალიანების საერთო დღიური ლიმიტი 75 მლნ-დან 150 მლნ ლარამდე.

მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები

სებ-ის მონეტარული პოლიტიკის ერთ-ერთ ინსტრუმენტს მინიმალური სარეზერვო მოთხოვნა წარმოადგენს. აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენებით სებ-ი ზეგავლენას ახდენს ფულად მულტიპლიკატორზე. 2008 წლის იანვარ-ივლისში საბანკო სექტორის სწრაფი განვითარების

პარალელურად იზრდებოდა ბანკების მიერ მოზიდული სახსრებიც და შესაბამისად, სავალდებულო რეზერვების ოდენობაც. ამ პერიოდში ეროვნული და უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისათვის, გარდა არარეზიდენტებისაგან ნასესხები სახსრებისა, სარეზერვო ნორმა შეადგენდა 13 პროცენტს¹³.

ავისტოს თვეში საომარმა მოქმედებებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა საბანკო სისტემაში. მართალია, სესხების გაცემამ მკვეთრად იკლო, მაგრამ ომის შემდგომ პერიოდში, აღინიშნა ბანკებიდან დეპოზიტების გადინება, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა ბანკების ლიკვიდობა. კომერციული ბანკებისათვის საკმარისი ლიკვიდობის უზრუნველყოფისათვის კომერციული ბანკები ჯერ სრულად განთავისუფლდნენ სარეზერვო მოთხოვნების დაცვისაგან, შემდგომ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნის დასარეზერვებელი თანხა განისაზღვრა დადგენილი ნორმის შესაბამისი თანხის 25 პროცენტის ოდენობით. ხოლო 2 ოქტომბრიდან მინიმალური სარეზერვო მოთხოვნის ნორმა 13-დან 5 პროცენტამდე შემცირდა.

2008 წელს ეროვნული და უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრების მიხედვით შექმნილი მინიმალური სავალდებულო რეზერვის შენახვა ხორციელდებოდა შესაბამისად, ეროვნულ ვალუტითა და აშშ დოლარით. მეოთხე კვარტლიდან კი უკვე შესაძლებელი გახდა ევროთი მოზიდული სახსრების მინიმალური სავალდებულო რეზერვების ევროთი შენახვა, ბანკების შესაბამის სარეზერვო ანგარიშზე. უცხოური ვალუტით განთავსებულ მინიმალურ სავალდებულო რეზერვებზე კომერციულ ბანკებს ერიცხებოდათ წლიური 2 პროცენტი, თუმცა ნოემბერში წესი შეიცვალა და დასარიცხი პროცენტი აშშ დოლარითა და ევროთი განთავსებულ რეზერვებზე განისაზღვრა როგორც აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემისა და ევროპის ცენტრალური ბანკის პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთებს მინუს 0,5 პროცენტული პუნქტი.

11 TIBR-1 ინდექსი, მოიცავს სესხებს, რომელთა ვადიანობა არის 1 საოპერაციო დღე და არის არაუზრუნველყოფილი. TIBR-7 ინდექსი მოიცავს სესხებს, რომელთა ვადიანობა არის 7 დღემდე და მოიცავს ყველა იმ არაუზრუნველყოფილ სესხს, რომელიც არ შედის TIBR1-ის გაანგარიშებაში.
 12 კორელაციის მაჩვენებელი გაანგარიშებულია 2008 წლის 20 თებერვლიდან 2008 წლის 31 დეკემბრის პერიოდისათვის.
 13 მინიმალური სარეზერვო მოთხოვნა არ მოიცავს არარეზიდენტებისაგან ნასესხებ სახსრებს.

3. საბანკო სექტორი

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს საბანკო სისტემა წარმოდგენილი იყო 20 საბანკო დაწესებულებით, რომელთაგან 18 გახლდათ საქართველოს რეზიდენტი კომერციული ბანკი, ხოლო 2 თურქეთისა და აზერბაიჯანის რეზიდენტი ბანკების ფილიალები. ამავე პერიოდისთვის ფუნქციონირებდა კომერციული ბანკების 683 სტრუქტურული ერთეული (124 ფილიალი და 559 სერვის ცენტრი). შედარებისთვის, 2007 წლის ბოლოს მდგომარეობით მოქმედებდა 540 სტრუქტურული ერთეული.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში საქართველოში ფუნქციონირება დაიწყო ახალმა კომერციულმა ბანკებმა, კერძოდ სს „ეიჩ ეს ბი სი ბანკი საქართველომ“ და სს „პროგრეს-ბანკმა“. „ეიჩ ეს ბი სი ბანკი საქართველომ“ აქციების 70 პროცენტის მფლობელია „ეიჩ ეს ბი სი ევროპა (ნიდერლანდები) ბი ვი“, ხოლო 30 პროცენტს ფლობს ლისტენშტეინში რეგისტრირებული „უინგზ ისთებლიშმენტი“. სს „პროგრესბანკის“ აქციების 100 პროცენტს ფლობს შპს „კალა კაპიტალი“.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საბანკო სექტორის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად აღემატებოდა ეკონომიკის სხვა სექტორების ზრდას. აღნიშნული ტენდენცია გაგრძელდა 2008 წლის პირველ ნახევარშიც, როდესაც საქართველოს საბანკო სისტემაში მკვეთრად გაიზარდა მთლიანი აქტივების, ვალდებულებებისა და სააქციო კაპიტალის მოცულობა. თუმცა აგვისტოს ომის შემდეგ ტენდენცია შეიცვალა და საბანკო სექტორის რაოდენობრივი მაჩვენებლები დაახლოებით ერთსა და იმავე დონეზე შენარჩუნდა.


მთლიანობაში, 2008 წელს საბანკო სისტემის მთლიანი აქტივების მოცულობა 7,208 მლნ-

დან 8,866 მლნ-მდე გაიზარდა. ამავე პერიოდში მთლიანი ვალდებულებების მოცულობა 5,737 მლნ-დან 7,348 მლნ-მდე, ხოლო სააქციო კაპიტალი 1,471 მლნ-დან 1,517 მლნ-მდე გაიზარდა. საბანკო სისტემაში აქტივების ზრდა თანაბრად განპირობებული იყო, როგორც ფულადი სახსრებისა და წმინდა სესხების, ასევე ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების მატებით.

კომერციული ბანკების მიმართ მთლიანი სასესხო დავალიანება 2008 წელს 31 პროცენტით გაიზარდა და ჯამურად 6 მლრდ-ს გადააჭარბა. საკრედიტო პორტფელის მთლიან შიდა პროდუქტთან ფარდობა 2008 წელს 27,5 პროცენტიდან 31,8 პროცენტამდე გაიზარდა.


საკრედიტო პორტფელის ზრდის პარალელურად საბანკო სექტორში იზრდებოდა მოზიდული დეპოზიტების მოცულობაც. 2008 წლის პირველ ორ კვარტალში დეპოზიტების მოცულობა გაიზარდა ეროვნული ვალუტით (997.2

დიაგრამა 3.1. სესხებისა და დეპოზიტების ფარდობა მშპ-სთან.



ღიზარება 3.2

საბანკო სექტორის მომგებიანობის დინამიკა (2003-2008 წწ., მლნ ლარი)



მლნ ლარიდან 1193.5 მლნ ლარამდე), ხოლო შემცირდა უცხოური ვალუტით (1878.2 მლნ ლარიდან 1801.6 მლნ ლარამდე). თუმცა 2008 წლის მეორე ნახევარში ტენდენცია ცალსახად შეიცვალა: ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტების ოდენობამ საგრძნობლად იკლო. მხოლოდ აგვისტოს 5 დღეში ომის პერიოდში დეპოზიტების მოცულობა 10 პროცენტით შემცირდა, თუმცა მდგომარეობის დასტაბილურებისთანავე დეპოზიტების მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ დაუბრუნდა საბანკო სექტორს.

საქართველოს საბანკო სექტორში 2003-2007 წლებში წმინდა მოგების ფარდობა მთლიან აქტივებთან საშუალოდ 2.7 პროცენტს, ხოლო სააქციო კაპიტალთან 12,7 პროცენტს შეადგენდა. სამწუხაროდ 2008 წლის ბოლო ორ კვარტალში წარმოჩენილი ეკონომიკური და ფინანსური წინააღმდეგობების შედეგად ბანკების მომგებიანობა საგრძნობლად დაეცა. საბანკო სექტორის ჯამურმა ზარალმა 2008 წელს 215.7 მლნ ლარი შეადგინა. საბანკო სისტემის ზარალის მნიშვნელოვანი ნაწილი ნეგატიურად

კლასიფიცირებული სესხების დამატებით დარეზერვების შედეგია. კერძოდ, კომერციულმა ბანკებმა გაზარდეს შესაძლო დანაკარგების რეზერვი¹⁴, რამაც 2008 წლის ბოლოსათვის მთლიანი სესხების 9,0 პროცენტი შეადგინა, მაშინ, როცა 2007 წლის ბოლოს მხოლოდ 3,6 პროცენტი იყო. რაც შეეხება საბანკო სექტორის საოპერაციო შედეგს (მოგება დარეზერვებამდე), მან 392 მილიონი ლარი შეადგინა.

2009 წლის დასაწყისში წამყვან ქართულ ბანკებს უცხოეთიდან მოზიდული თანხების უკან დაბრუნების ვადა უდგებოდათ. ასეთ შემთხვევაში, ბანკები ხშირად ახერხებდნენ ვადა გაეგრძელებინათ, რადგან ეს ორივე მხარეს, მსესხებელსაც და გამსესხებელსაც ხელს აძლევდა. თუმცა მსოფლიოს ფინანსურ კრიზისთან დაკავშირებით გაჩნდა საფრთხე, რომ უცხოელებს აღარ გაეგრძელებინათ სესხი ქართული ბანკებისათვის. ამისათვის მზადება ქართულმა ბანკებმა დროულად დაიწყეს. უკვე ოქტომბრის თვეში საბანკო სექტორში 150-300 მილიონი ლარის ჭარბი ლიკვიდობა ირიცხებოდა კომერციული ბანკების ანგარიშებზე.

მდგომარეობის გამოსასწორებლად უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო საერთაშორისო ორგანიზაციების გადანყვევტილება დამატებითი სახსრები მიეწოდებინათ ქართული ბანკებისათვის. 2008 წლის ბოლოს ქართული კომერციული ბანკების მიერ მიღწეული იქნა შეთანხმება საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას (IFC), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD), აშშ-ს კერძო უცხოური ინვესტიციების კორპორაციას (OPIC), გერმანული სარეკონსტრუქციო საკრედიტო ინსტიტუტს (KfW), ნიდერლანდების მწარმოების განვითარების ბანკს (FMO), მშობელ ბანკებთან და ჯგუფებთან დამატებითი სახსრების გამოყოფის თაობაზე. შედეგად ქართულმა ბანკებმა მიიღეს თანხები სესხის, სუბორდინირებული

14 თუ არ მოხდა რისკის მატერიალიზირება დამატება მომავალი წლის მოგებას.

სესხის და კაპიტალში უშუალო მონაწილეობის ფორმით. ჯამურად აღნიშნული სახსრები საკმარისი იყო ბანკების მიერ 2009 წლის ვალდებულებების გასასტუმრებლად სესხების შემცირების საჭიროების გარეშე.


საბანკო სექტორი 2008 წლის ბოლოს მდგომარეობით სრულად აკმაყოფილებდა კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებს. საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი ტრადიციულად მაღალია. 2008 წელს, მიუხედავად კლებისა, იგი მაინც მაღალი რჩება სავალდებულო 12 პროცენტთან მოთხოვნასთან შედარებით და 13.9 პროცენტს შეადგენს. პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი კიდევ უფრო მაღალი იყო წლის ბოლოსათვის და 14.4 პროცენტი შეადგინა.

2008 წლის განმავლობაში საბანკო სექტორში ლიკვიდობის კოეფიციენტი, რომელიც ჯამური ლიკვიდური აქტივების მთლიან ვალდებულებებთან ფარდობით იზომება, 39 პროცენტიდან 28 პროცენტამდე შემცირდა, რაც ასევე მაღალია სავალდებულო 20 პროცენტთან ნორმასთან შედარებით.

მთლიანობაში, აღსანიშნავია, რომ საქართველოს საბანკო სექტორს შოკების შენოვის ძალზე მაღალი უნარი გააჩნდა და გააჩნია. ამის მიზეზია ერთი მხრივ, კონსერვატიული საზედამხედველო მოთხოვნების გამო საბანკო სისტემის შედარებით დაბალი დამოკიდებულება მოზიდულ სახსრებზე და მეორე მხრივ, ფინანსური სიღრმის ჯერ კიდევ ასევე დაბალი დონე. ზემოაღნიშნული კი, სესხების შემცირების საჭიროების გარეშე, საგარეო ვალდებულებების რეფინანსირების უნარსა და დეპოზიტარების მხრიდან საბანკო სისტემისადმი ნდობის შენარჩუნებასთან ერთად, საბანკო სექტორის შემდგომი განვითარების მაღალ პოტენციალზე მიუთითებს.

დიაგრამა 3.3

კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი




4. საგადახდო სისტემა

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა საგადახდო სისტემის სრულყოფის, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და მათი მომსახურების ღონისძიებათა განხორციელება. ამ მიმართულებით შესრულებული სამუშაოებიდან აღსანიშნავია საანგარიშსწორებო საქმიანობასთან დაკავშირებული სისტემების – RTGS, MGR, ODB, „ვიზა“ პლასტიკური ბარათებით ეროვნულ ვალუტაში წარმოებული ოპერაციების კლირინგის სისტემის (GNSS) ექსპლუატაცია-მომსახურება, სადეპოზიტო სერტიფიკატებისა და სახელმწიფო ობლიგაციების აუქციონის ინფორმაციის დამუშავება, სებ-ში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში გახსნილი ანგარიშების სხვადასხვა სახის მომსახურება. ასევე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ წარმოდგენილი კონვერტაციების, საგადახდო დავალებების, აკრედიტივების მომსახურება და წარმოდგენილი საინკასო დავალებების შესრულება.

2008 წელს RTGS სისტემით სულ დამუშავდა 5,249,614 საგადახდო საბუთი, საერთო თანხით 52,246,786,589 ლარი. ზრდის მაჩვენებელმა წინა წელთან შედარებით რაოდენობრივად შეადგინა 3 პროცენტი, ხოლო თანხობრივად – 43 პროცენტი.

დიაგრამა 4.1

საბუთბრუნვის მაჩვენებელი დროის რეალური რეჟიმის ანგარიშსწორების სისტემაში (2002-2008 წწ.)



GNSS-ის (Visa-ს ანგარიშსწორების სისტემა) მეშვეობით დამუშავებული ინფორმაციის თანხობრივმა მაჩვენებელმა შეადგინა 41,441,262 ლარი.

2008 წელს შესრულებულ სამუშაოებს შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავა ანგარიშსწორების ინტეგრირებული სისტემის (რეალურ დროში ანგარიშსწორებისა და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების სისტემა) რეფორმის პროექტს, რაშიც საქართველოს ეროვნულ ბანკს ტექნიკურ დახმარებას უწევდა მსოფლიო ბანკი. ამ პროექტის ფარგლებში, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასული წლის 10 ივლისს გამოაცხადა ღია საერთაშორისო ორეტაპიანი ტენდერი სისტემის შესყიდვაზე. სატენდერო წინადადება წარმოადგინა ხუთმა კომპანიამ (მსოფლიოში ამ საქმიანობით დაკავებულმა თითქმის ყველა კომპანიამ). საქართველოს ეროვნულ ბანკში ამ კომპანიების (გარდა ერთისა) მიერ ჩატარდა სისტემების პრეზენტაციები.

წარმოდგენილი სისტემების შეფასებების საფუძველზე, ტენდერის მეორე ეტაპზე მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ იქნენ ის სამი კომპანია, რომელთა სისტემების ფუნქციონალურ-ტექნოლოგიურმა შესაძლებლობებმა და სხვა კომპონენტებმა სრულად დააკმაყოფილეს სების ძირითადი პრინციპების და სტრატეგიული მიმართულებების მოთხოვნები.

გასული წლის მნიშვნელოვან ღონისძიებად ასევე უნდა ჩაითვალოს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2008 წლის 5 დეკემბრის N 336 ბრძანებით, რეფორმების მხარდასაჭერად, „ეროვნული საგადახდო სისტემების კომიტეტის“ ჩამოყალიბება, რომლის წევრები არიან საქართველოს მსხვილი კომერციული ბანკების, საქართველოს ბანკების ასოციაციის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოსა და საქართველოს ეროვნული ბანკის წარმომადგენლები.

5. შიდა აუდიტი და საბუღალტრო აღრიცხვა

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ეროვნული ბანკის შიდააუდიტორული სამსახური იყენებდა „რისკზე დაფუძნებული დაგეგმვის მეთოდოლოგიას“ და თავის საქმიანობას წარმართავდა ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმით. 2008 წლის მანძილზე შიდააუდიტორული სამსახურის მიერ განხორციელდა 21 გეგმიური და 2 არაგეგმიური შიდააუდიტორული შემოწმება და მიმოხილვა.

საანგარიშო პერიოდის მანძილზე, შიდააუდიტორული სამსახური სისტემატიურად ახორციელებდა სამსახურის მიერ გასული პერიოდის შემოწმებების შედეგად განეული რეკომენდაციების მონიტორინგს „შიდააუდიტორული სამსახურის მიერ განეული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგისა და მათი შესრულების მდგომარეობის შესახებ ანგარიშის მომზადების პოლიტიკისა და პროცედურების“ შესაბამისად. ასევე, შიდააუდიტორული სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობდა ეროვნული ბანკის გარე აუდიტორთან და არსებით როლს ასრულებდა გარე აუდიტორების მიერ განეული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის მონიტორინგის პროცესში, რომელსაც ახორციელებდა „გარე აუდიტორის მიერ განეული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პოლიტიკისა და პროცედურების“ შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში, შიდააუდიტორული სამსახურის მიერ შემუშავებულ იქნა მეთოდოლოგიური დოკუმენტები, რომლებიც მიზნად ისახავდა განეული მომსახურების ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას. კერძოდ, შიდააუდიტორული სამსახურის საქმიანობის მნიშვნელოვანი სფეროებისათვის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის კუთხით, შესაბამისი სტანდარტებისა და საკუთარი დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე სახელმძღვანელოდ მიღებულ იქნა „საქართველოს

ეროვნული ბანკის შიდააუდიტორული სამსახურის მიერ შიდააუდიტორული შემოწმების ანგარიშის მომზადებისა და წარდგენის წესი“. ასევე, შემუშავებულ იქნა „შიდააუდიტორული სამსახურის საქმიანობის დოკუმენტირების პოლიტიკა და პროცედურები“, რომლის უმთავრესი მიზანი შიდა აუდიტის ანგარიშებში ასახული საკითხებისა და დასკვნების უზრუნველყოფა სანდო და რელევანტური დოკუმენტალური მასალებით და მათი სისტემატიზაციისა და შენახვის პროცედურების ფორმალიზება იყო.

საანგარიშო პერიოდში, შიდააუდიტორული სამსახური თანამშრომლობდა სსფ-ს „უსაფრთხოების მექანიზმების შეფასების“ მისიასთან. ასევე, მჭიდროდ თანამშრომლობდა სხვა ცენტრალური ბანკების შიდააუდიტორული სამსახურებთან.

2008 წელს ხორციელდებოდა სამუშაოები, რომელიც მიზნად ისახავდა ფინანსური ანგარიშგებისა და ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის სრულყოფას, ამ მიმართულებით პრიორიტეტების სწორად განსაზღვრასა და საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებას. ამ კუთხით მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა და ექცევა გარე და შიდა აუდიტის რეკომენდაციების შესრულებას.


საერთაშორისო სავალუტო ფონდის „უსაფრთხოების მექანიზმების შეფასების“ მისიის რეკომენდაციების თანახმად, საანგარიშო პერიოდში ცვლილება შევიდა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამის მუხლში, რომელიც ეროვნულ ბანკში საბუღალტრო აღრიცხვის წარმართვის საფუძველად აღიარებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს. ცვლილებები შევიდა და ახლებურად ჩამოყალიბდა ორგანული კანონის თავი „საფინანსო დებულებები“.

6. საკანონ-საემისიო საფუძვლების ორგანიზაცია

ფულის ნიშნებით ეკონომიკის მოთხოვნის შეუფერხებელი დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად, საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა სამუშაოები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ფულის დამუშავების სრულყოფას, ბანკნოტებისა და მონეტების ექსპერტიზის საქმიანობის გაუმჯობესებას, მიმოქცევისათვის უვარგისი ფულის ნიშნების განადგურებას, ეროვნული ვალუტის პროპაგანდას და ნორმატიული ბაზის დახვეწას.

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფულის ოდენობამ, კომერციული ბანკებისა და ორგანიზაციების სალაროს ნაშთების ჩათვლით, 1290.7 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის ბანკნოტებმა - 1266.1 მლნ ლარი /58.6 მლნ ფურცელი/, ხოლო მონეტებმა - 24.6 მლნ ლარი /128.2 მლნ ცალი/, 1 და 2 ლარის ნომინალის მონეტებისა და 10 ლარის ღირსების საიუბილეო მონეტების ჩათვლით (დიაგრამა 6.1).


დიაგრამა 6.1
მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული



საანგარიშო პერიოდის ბოლოს, მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფულის საერთო თანხაში ბანკნოტებმა 98.1 პროცენტი, ხოლო მონეტებმა 1.9 პროცენტი შეადგინა.

2008 წლის დასაწყისთან შედარებით, ამავე წლის 31 დეკემბრისათვის მიმოქცევაში ნაღდი ფულის მოცულობა 1.51 პროცენტით შემცირდა, მათ შორის ბანკნოტების რაოდენობა შემცირდა 20.1 მლნ ლარით, ხოლო მონეტები 311.6 ათასი ლარით გაიზარდა. 2007 წელს კი მიმოქცევაში ნაღდი ფულის მოცულობა დაახლოებით 41.0 პროცენტით გაიზარდა, მათ შორის ბანკნოტების - 371.4 მლნ ლარით, ხოლო მონეტები - 9.5 მლნ ლარით (2007-2008 წლების მიმოქცევაში ნაღდი ფულის მიმოქცევის დინამიკას გვიჩვენებს დიაგრამა 6.2).

დიაგრამა 6.2
ნაღდი ფულის მიმოქცევის დინამიკა 2007-2008 წლებში



აღსანიშნავია, რომ 2008 წლის დასაწყისიდან მიმოქცევაში ნაღდი ფულის მოცულობა ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი დინამიურობით ხასიათდებოდა. კერძოდ, წლის პირველ ნახევარში ეკონომიკური აქტივობის კლების პარალელურად შემცირდა ფულზე მოთხოვნა, იენისის თვიდან კი დაიწყო მისი თანდათანობითი ზრდა. აგვისტოს დასაწყისში ფულზე მოთხოვნამ პიკს მიაღწია, ხოლო შემდგომ, ქვეყანაში განვითარებული ცნობილი მოვლენებიდან გამომდინარე, შემცირდა მოთხოვნა ერო-

ვრულ ვალუტაზე და შესაბამისად გაიზარდა მო-
თხოვნა უცხოურ ვალუტაზე.

საანგარიშო პერიოდში მცირედით გაიზარდა
მოთხოვნა მაღალი ნომინალის კუპონებზე. კერ-
ძოდ, თუ 2008 წლის დასაწყისში 50, 100 და 200
ლარის ნომინალის ბანკნოტების ხვედრითი წილი
მიმოქცევაში არსებული მთლიანი თანხის 65.6 პრო-
ცენტს შეადგენდა, საანგარიშო პერიოდის ბოლოს
ეს მაჩვენებელი 66.1 პროცენტი იყო (მხოლოდ 200
ლარიანი ბანკნოტის ხვედრითი წილი მიმოქცევაში
8.7 პროცენტიდან 13.0 პროცენტამდე გაიზარდა).
რაც შეეხება სხვა ნომინალის ბანკნოტებს, მათი
ხვედრითი წილი მიმოქცევაში 32.6 პროცენტიდან
31.9 პროცენტამდე შემცირდა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ერო-
ვნული ბანკის საცავებში დაგროვილი შემდგო-
მი გამოყენებისათვის უვარგისი (მოძველებული)
ბანკნოტების საკონტროლო გადათვლა-განად-
გურების პროცესი. ამ ღონისძიების ორგანიზე-
ბულად და უსაფრთხოდ წარმართვის მიზნით,
საქართველოს ეროვნული ბანკის, იუსტიციის,
ფინანსთა, შინაგან საქმეთა და ეკონომიკური
განვითარების სამინისტროების სპეციალისტე-
ბის მონაწილეობით შეიქმნა შესაბამისი კომისია.
სულ განადგურებულ იქნა 1 292 401 960 ლარის
(181 374 025 ფურცელი) ბანკნოტი, რომლის სა-
ერთო წონამ 128,8 ტონა შეადგინა.

საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო
ცენტრიდან და ფილიალებიდან, კომერციული
ბანკებიდან, ვალუტის გადამცვლელი პუნქტე-
ბიდან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
ფინანსური პოლიციიდან გამოგზავნილ და ფი-
ზიკური პირების მიერ შემოტანილ ფულად ნიშ-
ნებზე ჩატარებული ექსპერტიზის შედეგად 2008
წელს გამოვლენილ იქნა შემდეგი ყალბი ფულის
ნიშნები (იხ. ცხრილი 6.1).

2008 წელს გამოვლენილი 50 თეთრის ღირებუ-
ლების ყალბი მონეტების რაოდენობა წინა წელ-
თან შედარებით გაზრდილია 63,2 პროცენტით,
ხოლო ლარის ბანკნოტების რაოდენობა გაზრდი-
ლია 66,8 პროცენტით (ნომინალების მიხედვით
2007-2008 წლებში გამოვლენილი ყალბი ლარის


ცხრილი 6.1

ყალბი ფულის ნიშნები ნომინალების მიხედვით


ბანკნოტები	რაოდენობა
1 ლარი	25
2 ლარი	104
5 ლარი	1 127
10 ლარი	560
20 ლარი	410
50 ლარი	88
100 ლარი	71
200 ლარი	213
5 დოლარი	3
10 დოლარი	2
20 დოლარი	4
50 დოლარი	97
100 დოლარი	435
20 სტერლინგი	1
20 ევრო	20
50 ევრო	6
100 ევრო	22
200 ევრო	34
500 ევრო	2
500 რუბლი	2
1000 რუბლი	5

მონეტები	რაოდენობა
10 ლარი	4
1 ლარი	2 421
2 ლარი	2
50 თეთრი	3 802
1 ფუნტი	1
2 ევრო	1

დიაგრამა 6.3
2007-2008 წელს გამოვლენილი ყალბი ლარის ბანკნოტების თანაფარდობა



დიაგრამა 6.4
2008 წელს რეალიზებული ოქროს საინვესტიციო მონეტები



ბანკნოტების რაოდენობები იხ. დიაგრამა 6.3). ყალბი დოლარების რაოდენობა გაიზარდა 22,7 პროცენტით, ყალბი ევროს ბანკნოტების რაოდენობა კი 3,8-ჯერ მეტია 2007 წელს გამოვლენილ ყალბი ევროს ბანკნოტების რაოდენობაზე. რაც შეეხება 1 ლარის ღირებულების ყალბ მონეტებს, 2007 წლის განმავლობაში გამოვლენილი იყო მხოლოდ 17 ცალი ყალბი მონეტა, ხოლო საანგარიშო პერიოდში — 2421 ცალი (გაიზარდა 142,4 -ჯერ) ყალბი მონეტა.

საანგარიშო პერიოდში ეროვნული ბანკი მეთოდოლოგიურ დახმარებას უწევდა როგორც კომერციულ ბანკებსა და ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს, ისე იურიდიულ და ფიზიკურ პირებს კადრების კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში. კერძოდ, საბანკო და არასაბანკო სისტემის სალაროს მუშაკებისათვის ნაღდ ფულთან მუშაობის კვალიფიკაციის ასამაღლებლად სწავლება ჩაუტარდა და მომზადდა 682 მოლარე. საინკასაციო მომსახურებასთან დაკავშირებით სწავლება გაიარა 38-მა ინკასატორმა.

ფულის მუზეუმისა და ქუთაისის ფილიალის მეშვეობით ხორციელდებოდა როგორც საინვესტიციო, ისე საიუბილეო მონეტების რეალიზაცია.

2008 წელს რეალიზებული პროდუქციიდან შემოსული თანხა სულ 1 346 365 ლარს შეადგენს (მათ შორის 1 169 462 ლარი — საინვესტიციო ოქროს მონეტების რეალიზაციიდან შემოსული თანხა), ხოლო სხვა პროდუქციიდან შემოსული თანხა — 176 903 ლარს. ეს თანხა 330 035 ათასი ლარით აღემატება 2007 წელს რეალიზებული პროდუქციიდან შემოსულ თანხას.

2008 წელს ოქროს საინვესტიციო მონეტების რეალიზაციიდან შემოსული თანხა 31.2 პროცენტით აღემატება წინა წელს შემოსულ თანხას (2007 წელს ეს თანხა 891 346 ლარს შეადგენდა).

საქართველოს ეროვნული ბანკი ნუმისმატიკის მოყვარულ ადგილობრივ თუ საერთაშორისო კოლექციონერებს მომავალშიც შესთავაზებს სხვა ახალ და საინტერესო მონეტებს.

7. საზოგადოებასთან ურთიერთობა და საერთაშორისო თანამშრომლობა

საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად და საბანკო სისტემაში მიმდინარე პროცესების საზოგადოებისათვის ოპერატიულად მიწოდების მიზნით, ეროვნული ბანკი ოპერატიულად ავრცელებდა პრესრელიზებსა და სტატისტიკურ მონაცემებს, რეგულარულად მართავდა შესაბამის თემებზე პრესკონფერენციებს, კონფერენციებს, ბრიფინგებს, სემინარებს, პრეზენტაციებსა და შეხვედრებს.

საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისთვის ოპერატიულად და ობიექტურად მიწოდების მიზნით, საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ორი ტრენინგი ჟურნალისტებისათვის.

2008 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მოამზადა და გამოსცა შემდეგი ლიტერატურა: „საქართველოს ეროვნული ბანკი. ძირითადი მიმართულებები და ფუნქციები“ (ქართულ და ინგლისურ ენებზე); „საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში. 2007“ (ყოველწლიური, ქართულ და ინგლისურ ენებზე); „მონეტარული და ფისკალური მიმოხილვა“ (ყოველთვიური); „ინფლაციის მიმოხილვა“ (ყოველკვარტალური, ქართულ და ინგლისურ ენებზე); „ფინანსური სტაბილურობის ანგარიში. 2008“ (ქართულ და ინგლისურ ენებზე); „საქართველოს საგადასახდელო ბალანსი. 2007“ (ყოველწლიური, ქართულ ენაზე); „მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი“ (ყოველკვარტალური, ქართულ და ინგლისურ ენებზე. 2007 წლის წლიური და 2008 წლის პირველი, მეორე, მესამე კვარტალები).

საქართველოს ეროვნული ბანკის გამოცემების ელექტრონული ვერსიები ხელმისაწვდომია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ინტერნეტგვერდზე (www.nbg.ge).

საანგარიშო პერიოდში, საერთაშორისო თანა-

მშრომლობის გააქტიურებისა და ცალკეულ სფეროებში უცხო ქვეყნების ცენტრალური ბანკების გამოცდილების გაზიარების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი თანამშრომლობდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების, მათ შორის, ფინეთის, შვედეთის, ლიტვის, ესტონეთის, ჩეხეთის, პოლონეთის, უნგრეთის, ინგლისის, იტალიის, ესპანეთის, ლუქსემბურგის, ავსტრიის, თურქეთისა და ისრაელის ცენტრალურ ბანკებთან.

2008 წელს თბილისს სტუმრობდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის რამდენიმე ტექნიკური მისია, რომლებიც, საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად, საქართველოს ეროვნულ ბანკსა და საფინანსო ზედამხედველობის სამსახურს დაეხმარნენ ინსტიტუციონალური ურთიერთობების ეფექტიანად წარმართვაში. საერთაშორისო სავალუტო ფონდის „უსაფრთხოების მექანიზმების შეფასების“ მისიამ განიხილა საქართველოს ეროვნული ბანკის კონტროლის, საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სისტემები და აღინიშნა, რომ ეროვნულ ბანკს უსაფრთხოების განვითარებული და ძლიერი მექანიზმები გააჩნია. სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარებით მოხდა საერთაშორისო ტრანზაქციების ანგარიშგების სისტემის წარმატებით დანერგვა საქართველოში.

მსოფლიო ბანკთან საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომლობის ფარგლებში 2008 წელს ორი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება დაიწყო, კერძოდ, ახალი, თანამედროვე და უსაფრთხო რეალურ დროში ბანკთაშორისი ანგარიშსწორებისა და, ასევე, რეზერვების მართვისა და ბუღალტრული აღრიცხვის ახალი სისტემების დანერგვა, ამასთან ერთად, საერთაშორისო რეზერვების მართვის გაუმჯობესება, რაშიც საქართველოს ეროვნულ ბანკს მსოფლიო ბანკის მიერ დაქირავებული საერთაშორისო დონის ექსპერტები ეხმარებიან.

8. საქართველოს ეროვნული ბანკის პერსონალი და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზება

2008 წელს, საქართველოს ეროვნული ბანკის სტრუქტურის ოპტიმიზაციის მიზნით განხორციელებული ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის რეორგანიზაციის შედეგად, მოხდა გარკვეული დეპარტამენტების გამსხვილება არსებული სტრუქტურული ქვედანაყოფების ბაზაზე. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, კომერციული ბანკებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების ზედამხედველობის ფუნქციების საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოში გადატანის გამო, 2008 წლის მაისში გაუქმდა საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობის დეპარტამენტი.

გასული წლის 31 ივლისიდან გაუქმდა საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის, ფოთისა და გურჯაანის ფილიალები.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ეროვნულ ბანკში ფაქტობრივად მომუშავე თანამშრომელთა რაოდენობა 307 ერთეულით შემცირდა. რაც ძირითადად, რეორგანიზაციის შედეგად საშტატო ერთეულების შემცირებამ, ეროვნული ბანკის ფილიალების საქმიანობის შეწყვეტამ და სხვადასხვა ტექნიკური ტიპის სერვისების გარე მომწოდებელთან გატანამ გამოიწვია.

2008 წლის ბოლოს, საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომელთა 55 პროცენტი ქალები შეადგენენ. მთლიანი თანამშრომლების 86

პროცენტი არის უმაღლესი განათლებით, ხოლო ასაკობრივ ჭრილში თანამშრომლები ასე წაწილდება 31 წლამდე – 13 პროცენტი, 31–დან 51–მდე – 66 პროცენტი ხოლო 51 ზემოთ – 21 პროცენტი. რაც შეეხება თანამშრომელთა სტაჟის მიხედვით დაყოფას ისენი სამი ძირითადი ჯგუფის მიხედვით წაწილდებიან 10 წლამდე მუშაობის სტაჟის 34 პროცენტი, 10–20 წლამდე 46 პროცენტი და 20 მეტი 14 პროცენტი.

2008 წელს, საზღვარგარეთის სასწავლო ცენტრებში საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, ძირითადად, უცხოური მხარის დაფინანსებით ხდებოდა. ერთი წლის განმავლობაში საფრანგეთის ცენტრალურ ბანკში, გერმანიის ბუნდესბანკში, ნიდერლანდების ბანკში, იტალიის ცენტრალურ ბანკში, ლატვიის ცენტრალურ ბანკში, პოლონეთის ეროვნულ ბანკში, ვენის გაერთიანებულ ინსტიტუტსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინსტიტუტში, ასევე სხვა ქვეყნების ცენტრალურ ბანკებში სწავლება გაიარა საქართველოს ეროვნული ბანკის 104-მა სპეციალისტმა.

2008 წლის მაისსა და ივნისში, უცხოელი პარტნიორების მხარდაჭერით, ლუქსემბურგის საფინანსო ტექნოლოგიების გადაცემის სააგენტოს ექსპერტების მიერ ეროვნულ ბანკში ჩატარდა 3 სემინარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც ეროვნული ბანკის, ასევე კომერციული ბანკების თანამშრომლებმა.

9. ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის განვითარება

2008 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებულ იქნა და ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში გატარდა 12 ნორმატიული აქტი. მათ შორის:

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2007 წლის 31 დეკემბერის ბრძანება N344 „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“, რომელმაც „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, მნიშვნელოვნად გაამარტივა ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობის რეგულირების პროცედურები, კერძოდ, აღნიშნული სახის საქმიანობა სავალდებულო ლიცენზირების ნაცვლად დაექვემდებარა რეგისტრაციას. ასევე გამარტივდა პუნქტის აღჭურვისათვის საჭირო მოთხოვნები.

საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2008 წლის 15 თებერვლის N 2 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულება, რომელმაც საქართველოს კონსტიტუციის და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით ეროვნული ბანკისათვის მინიჭებული დამოუკიდებლობის შესაბამისად განსაზღვრა ბანკის შესყიდვების განხორციელების ზოგად სამართლებრივი, ორგანიზაციული და ეკონომიკური პრინციპები.

საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2008 წლის 11 აგვისტოს N12 დადგენილება „საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც ბოლო ინსტანციის კრედიტორის მიერ კომერციული ბანკებისათვის სესხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს ლიკვიდობაში ფინანსური სიძნელეების მქონე კომერ-

ციული ბანკის, საბანკო სექტორის მდგრადობის უზრუნველყოფის, აგრეთვე საბანკო სექტორში სისტემური პრობლემებისა და შესაძლო კრიზისის განვითარების თავიდან აცილების მიზნით და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკების დაკრედიტების წესს.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2008 წლის 2 სექტემბრის N234 ბრძანება „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებზე რეფინანსირების სესხების გაცემის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“. აღნიშნული დებულებით საბანკო სისტემაში ლიკვიდობის მართვისა და საპროცენტო განაკვეთების რეგულირების მიზნით .საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებზე გასცემს რეფინანსირების სესხს – მოკლევადიან ფულად რესურსს შესაბამისი უზრუნველყოფით.

საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2008 წლის 2 დეკემბრის N14 დადგენილება „მიმოქცევიდან ამოღებული ფულის ნიშნების (ბანკნოტების) განადგურების წესის დამტკიცების შესახებ“, რომლითაც რეგულირდება მიმოქცევიდან ამოღებული და მიმოქცევისათვის უვარგისი ქარხნული წუნის მქონე ეროვნული ვალუტის – ლარის ბანკნოტების განადგურების პროცედურები.

2008 წლის 14 მარტს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით მნიშვნელოვნად შეიცვალა ეროვნული ბანკის საქმიანობის, ორგანიზების და მმართველობის მარეგულირებელი ნორმები. კერძოდ;

ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებად განისაზღვრა სამომხმარებლო ფასების საერთო დონის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებლის შენარჩუნება საშუალოვადიან პერიოდში.

განისაზღვრა ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის ცნება, დადგინდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პასუხისმგებლობა ინფლაციის მაჩვენებელზე.

ეროვნული ბანკის საბჭოს შემადგენლობა გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა, განისაზღვრა 5 წევრით.

ეროვნულ ბანკში შეიქმნა მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი, რომლის ძირითადი ფუნქციაა ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის შემუშავება.

ახლი რედაქციით ჩამოყალიბდა ეროვნული ბანკის საქმიანობის მარეგულირებელი საფინანსო დებულებები – წმინდა მოგების გამოანგარიშება და წმინდა ზარალის განაწილება.

საფინანსო სექტორზე ზედამხედველობის მიზნით ეროვნულ ბანკთან შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო.

10. სტატისტიკური სხრილები

1. ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები	50
2. სამომხმარებლო ფასების ინდექსის დინამიკა	51
3. წლიური ინფლაცია	51
4. სარეზერვო ფულის მასის მოცულობისა და სტრუქტურის დინამიკა	52
5. ფულის მასის აგრეგატების დინამიკა	53
6. საქართველოს ეროვნული ბანკის მომთხილვა	54
7. სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა	55
8. საქართველოს დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა	56
9. მონეტარული კოეფიციენტების დინამიკა.....	57
10. მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთი.....	58
11. კომერციული ბანკების კრებსითი აქტივებისა და პასივების დინამიკა	58
12. კომერციული ბანკების სესხებისა და დეპოზიტების მოცულობა და საშუალო წლიური შენონილი საპროცენტო განაკვეთები	59
13. კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხებით დავალიანება	60
14. კომერციული ბანკების ვადაგადაცილებული სესხებით დავალიანება	60
15. თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე აშშ დოლარით ვაჭრობის შედეგები	61
16. გაცვლითი კურსები: ლარი/აშშ დოლარი.....	62
17. გაცვლითი კურსები: ლარი/ევრო	63
18. საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი	64
19. საქართველოს საგარეო ვაჭრობა	65
20. საქართველოს უმსხვილესი საგარეო სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები	66
21. საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფები	67
22. საქართველოს უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფები	67
23. ფინანსური სექტორის ინსტიტუტები.....	68
24. საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების სია 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.....	69
25. კომერციული ბანკების დაჯგუფება ფულადი სახით განალდებული სანესდებო კაპიტალის მიხედვით 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	70
26. საქართველოში მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სია 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.....	71

1. ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

	ზომის ერთეული	2000	2005	2006	2007	2008
1. რეალური სექტორი						
ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი	მლნ.ლარი	6043.1	11620.9	13789.9	16993.8	19069.6
მშპ ერთ სულზე	ლარი	1362.5	2689.1	3133.1	3866.9	4351.7
მრეწველობის პროდუქციის გამოშვება	მლნ.ლარი	1793.4	3242.9	3952.7	4521.0	4993.6
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება	მლნ.ლარი	1857.2	2585.4	2341.7	2390.2	2623.2
რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი	%	101.8	109.6	109.4	112.3	102.1
2. ინფლაცია						
სამომხმარებლო ფასების ინდექსი	%	104.6	106.2	108.8	111.0	105.5
სასურსათო საქონელი	%	107.5	108.4	109.3	111.4	104.8
არასასურსათო საქონელი	%	99.2	103.3	109.2	107.9	104.8
მომსახურება	%	101.9	104.3	107.3	113.1	107.7
3. სახელმწიფო ბიუჯეტი *						
შემოსავალი	მლნ.ლარი	640.2	2607.5	3293.3	4293.6	5517.7
მათ შორის გადასახადები	%	68.4	70.4	64.7	70.1	82.3
ხარჯი	მლნ.ლარი	833.8	2618.6	2669.4	3890.0	5551.7
წმინდა საოპერაციო ბალანსი	მლნ.ლარი	-193.6	-11.0	623.9	403.6	-34.0
%-ად მთლიან შიდა პროდუქტთან	%	-3.2	-0.1	4.5	2.4	-0.2
4. დასაქმება						
დასაქმებული მოსახლეობის რიცხოვნობა	ათასი კაცი	1840.7	1744.6	1747.3	1704.3	...
უმუშევრობის დონე	%	10.3	13.8	13.6	13.3	...
5. სოციალური ინდიკატორები						
მოსახლეობის თვიური ფულადი შემოსავლები	მლნ.ლარი	149.4	272.6	305.5	351.6	454.4
მოსახლეობის თვიური ფულადი ხარჯები	მლნ.ლარი	246.7	309.1	333.7	373.0	452.7
ნომინალური საშუალო ხელფასი	ლარი	72.3	204.2	277.9	368.1	539.6**
ნომინალური ხელფასის ზრდის ტემპი	%	107.1	130.2	136.1	132.5	...
რეალური ხელფასის ზრდის ტემპი	%	122.6	120.4	124.6	121.3	...
საარსებო მინიმუმი (პერიოდის ბოლოსათვის):						
შრომისუნარიანი მამაკაცისათვის	ლარი	114.5	98.3	120.3	115.9	130.7
საშუალო მომხმარებლისათვის	ლარი	100.4	87.1	106.5	102.7	115.8
საშუალო ოჯახისათვის	ლარი	199.2	164.9	201.7	194.4	219.3

წყარო: ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი; ფინანსთა სამინისტრო

შენიშვნები:

- ა) სამომხმარებლო ფასების ინდექსის ბაზად აღებულია ყოველი წინა წლის დეკემბერი.
- ბ) მოსახლეობის ფულად შემოსავლებსა და ხარჯებს შორის განსხვავება გამოწვეულია იმით, რომ გამოკითხული ოჯახები ხშირად სრულად არ უჩვენებენ ფულად შემოსავლებს.

*) 2000 – 2005 წელი – ძველი კლასიფიკაციით

**) 9 თვე.

2. სამომხმარებლო ფასების ინდექსის დინამიკა

	2005		2006		2007		2008	
	ფასების ინდექსი	პროცენტული ცვლილება წინა თვესთან	ფასების ინდექსი	პროცენტული ცვლილება წინა თვესთან	ფასების ინდექსი	პროცენტული ცვლილება წინა თვესთან	ფასების ინდექსი	პროცენტული ცვლილება წინა თვესთან
იანვარი	102.1	2.1	101.2	1.2	102.7	2.7	102.5	2.5
თებერვალი	102.4	0.3	101.4	0.2	103.5	0.7	103.4	0.9
მარტი	103.0	0.6	101.5	0.1	102.4	-1.1	103.5	0.1
აპრილი	103.5	0.4	103.3	1.8	102.7	0.3	103.8	0.3
მაისი	102.1	-1.3	105.8	2.4	104.3	1.6	104.6	0.7
ივნისი	100.6	-1.4	105.6	-0.2	104.1	-0.2	104.5	-0.1
ივლისი	98.6	-1.9	106.4	0.8	104.3	0.1	103.2	-1.2
აგვისტო	99.2	0.6	106.0	-0.4	104.9	0.6	106.7	3.4
სექტემბერი	101.1	1.9	106.0	0.0	106.2	1.2	105.8	-0.8
ოქტომბერი	102.9	1.7	106.8	0.8	109.2	2.8	105.3	-0.5
ნოემბერი	104.3	1.4	107.9	1.0	110.7	1.4	106.0	0.7
დეკემბერი	106.2	1.8	108.8	0.9	111.0	0.3	105.5	-0.4

შენიშვნა: სამომხმარებლო ფასების ინდექსის ბაზად აღებულია წინა წლის დეკემბერი.

წყარო: სტატისტიკის დეპარტამენტი.

3. წლიური ინფლაცია

	2005		2006		2007		2008	
	12 თვის ცვლილება	12 თვის საშუალო	12 თვის ცვლილება	12 თვის საშუალო	12 თვის ცვლილება	12 თვის საშუალო	12 თვის ცვლილება	12 თვის საშუალო
იანვარი	9.3	6.1	5.2	7.9	10.4	9.6	10.7	9.3
თებერვალი	9.2	6.3	5.1	7.5	11.0	10.1	10.9	9.3
მარტი	9.7	6.6	4.6	7.1	9.7	10.5	12.3	9.5
აპრილი	10.3	7.0	6.0	6.7	8.1	10.7	12.2	9.8
მაისი	8.9	7.3	10.0	6.9	7.3	10.4	11.2	10.2
ივნისი	9.0	7.8	11.4	7.1	7.3	10.1	11.3	10.5
ივლისი	6.0	7.8	14.5	7.8	6.6	9.4	9.8	10.8
აგვისტო	7.2	8.0	13.4	8.3	7.7	9.0	12.8	11.2
სექტემბერი	7.7	8.1	11.2	8.6	9.0	8.8	10.6	11.3
ოქტომბერი	7.8	7.9	10.2	8.8	11.2	8.9	7.0	10.9
ნოემბერი	7.9	8.3	9.8	8.9	11.6	9.1	6.3	10.5
დეკემბერი	6.2	8.2	8.8	9.2	11.0	9.2	5.5	10.0

წყარო: სტატისტიკის დეპარტამენტი.

4. სარეზერვო ფულის მანის მოცულობისა და სტრუქტურის დინამიკა

(პერიოდის ბოლოს; ათასი ლარი)

	იან	თებ	მარ	აპრ	მაი	ივნ	ივლ	აგვ	სექ	ოქტ	ნოე	დეკ
სარეზერვო ფულის მანა												
2005	802537	828791	822638	852874	845680	889438	907915	931555	939546	957768	969178	1007368
2006	989149	1009984	984685	1040715	1026383	1067290	1122798	1111354	1115394	1101880	1270883	1272099
2007	1236050	1239090	1157369	1282871	1407816	1409355	1468365	1561322	1579084	1595492	1615265	1781802
2008	1628390	1689865	1731215	1833538	1821662	1901146	1968946	1716703	1836932	1696369	1475989	1642081
ნაღდი ფული მიმოქცევაში												
2005	634171	656852	662785	693144	683123	698215	730838	744967	750005	767996	753594	811400
2006	752834	759693	778939	795955	785653	807495	833762	841546	856959	839255	823901	929538
2007	838393	843298	861359	899127	927130	972672	1030849	1070629	1085260	1113966	1143785	1310488
2008	1191848	1228063	1296336	1404910	1354789	1416852	1476249	1449647	1407612	1355782	1253630	1290703
თანხები განაქვს საკორესპონდენტო ანგარიშებზე												
2005	57732	51950	58628	57843	50284	78568	64876	67520	67436	66100	85979	66135
2006	103132	112330	66412	101105	88771	86106	106278	71808	52954	54733	237092	118002
2007	178354	172144	64862	140216	174687	210549	191382	240580	236387	202729	208435	193061
2008	158104	173893	152157	145816	162319	188181	208115	116684	341116	237194	108216	230142
სავალდებულო რეზერვები												
2005	90488	94344	97725	101887	108768	109141	110988	118348	122067	123171	129101	129833
2006	133183	137960	139334	143655	151959	158689	162958	177646	202331	206242	209890	224559
2007	219303	223649	231147	243528	305999	226134	246134	250113	257437	278798	263045	278253
2008	278254	287724	282537	282811	304555	296113	284582	150372	88204	103394	114144	121236

5. ფულის მასის აკრედიტაციის დინამიკა

(პერიოდის ბოლოს; ათასი ლარი)

	იან	თებ	მარ	აპრ	მაი	ივნ	ივლ	აგვ	სექ	ოქტ	ნოე	დეკ
ფართო ფული (M3)												
2005	1443563	1484314	1512412	1601587	1599309	1643988	1697075	1781527	1824447	1883967	1921281	1924919
2006	1956061	1986757	2023117	2187069	2185567	2307293	2346359	2397622	2448024	2468322	2524549	2689887
2007	2613987	2753554	2705882	2895427	2999459	3281910	3442747	3650827	3748029	3836584	3931101	4027469
2008	4056922	3993356	4075932	4333892	4206603	4234084	4373549	3941205	4017809	3936563	3966082	4305126
ფართო ფული, უცხოური ვალუტით დეპოზიტების გარეშე (M2)												
2005	787580	809440	818036	861120	847809	894495	921353	972659	987143	1018412	1043039	1071039
2006	1055535	1057217	1092520	1147523	1158490	1258674	1255728	1260433	1279668	1247729	1242778	1392849
2007	1304141	1316010	1372487	1464488	1544770	1655771	1791198	1874078	1937606	2003664	2089028	2149311
2008	2047754	2081520	2276128	2380826	2333668	2432518	2529779	2294428	2280434	2190228	1926785	1862498
ბანკებს გარეშე არსებული ნაღდი ფული												
2005	577768	601686	613121	644084	628246	640135	668163	686582	689614	702863	688231	736284
2006	685795	692108	712598	717900	715217	733341	749754	756053	776625	758866	743278	827357
2007	743861	755503	765376	786906	823848	856423	913705	949535	956649	993026	1012029	1152070
2008	1045934	1075495	1132136	1232825	1192990	1239022	1299023	1256293	1204893	1159088	1064777	1082554
დეპოზიტები ეროვნული ვალუტით												
2005	208766	206969	204225	216340	219076	253766	252823	285774	297004	315086	354117	334552
2006	369333	364778	379698	429180	442825	525086	505497	503938	502672	488260	498978	565143
2007	560281	560506	607111	677582	720923	799348	877494	924543	980956	1010638	1076998	997241
2008	1001820	1006026	1143992	1148001	1140678	1193496	1230757	1038134	1075541	1031140	862008	779944
დეპოზიტები უცხოური ვალუტით												
2005	655302	674198	693708	739839	750959	749010	775241	808402	836850	865102	877892	853530
2006	900172	929184	930241	1039192	1026704	1048275	1087385	1133981	1165163	1217394	1278590	1293932
2007	1309845	1437544	1333396	1430939	1454688	1626139	1651548	1776749	1810423	1832919	1842074	1878158
2008	2009168	1911836	1799804	1953066	1872935	1801566	1843770	1646777	1737375	1746335	2039297	2442628

6. საქართველოს ეროვნული ბანკის მიმოხილვა

(ათასი ლარი)

	01.01.08	01.04.08	01.07.08	01.10.08	01.01.09
წმინდა უცხოური აქტივები	1743371	1806776	1889735	1416965	1735735
უცხოური აქტივები	2248289	2175124	2234411	2074651	2508306
ოქრო	0	0	0	0	0
ნასესხობის სპეციალური უფლებები (ნსუ)	23533	3040	466	4945	20515
უცხოური ვალუტა	2142832	2095690	2163569	1924562	2446882
სხვა უცხოური აქტივები	81924	76395	70375	145144	40909
უცხოური ვალდებულებები	-504918	-368349	-344676	-657686	-772570
სსფ-ს რესურსების გამოყენება	-398876	-362514	-342335	-655645	-769409
სხვა უცხოური ვალდებულებები	-106042	-5835	-2341	-2041	-3161
წმინდა სამინაო აქტივები	50769	-74872	12601	421806	-92270
მთავრობის წმინდა დავალიანება	412084	398754	224874	346083	-99246
ცენტრალური მთავრობის დავალიანება	412084	398754	224874	346083	-99246
სახაზინო ვალდებულებები	778467	778585	778585	779853	779664
სესხები ცენტრალურ მთავრობას	3	3	3	3	3
ცენტრალური მთავრობის დეპოზიტები	-366387	-379834	-553714	-433773	-878913
სესხები ცენტრალური მთავრობიდან	0	0	0	0	0
ადგილობრივ მთავრობის წმინდა დავალიანება	0	0	0	0	0
სესხები ადგილობრივ მთავრობას	0	0	0	0	0
ადგილობრივი მთავრობის დეპოზიტები	0	0	0	0	0
სახელმწიფო არასაფინანსო კორპორაციების დავალიანება	98942	0	0	0	0
მათ შორის სესხები უცხოურ ვალუტაში	98942	0	0	0	0
სხვა არასაფინანსო კორპორაციების დავალიანება	0	0	0	0	0
მათ შორის სესხები უცხოურ ვალუტაში	0	0	0	0	0
ფიზიკური პირების დავალიანება	3575	3290	3310	3340	3951
მათ შორის სესხები უცხოურ ვალუტაში	0	0	0	0	0
ბანკების წმინდა დავალიანება	-303369	-392141	-180060	-17524	132100
ბანკების დავალიანება	73172	75040	40	125495	209452
ვალდებულებები ბანკების წინაშე	-376541	-467181	-180100	-143019	-77352
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების წინაშე	0	0	0	0	0
სხვა წმინდა აქტივები	-160463	-84775	-35523	89908	-129074
სარეზერვო ფული	1781802	1731215	1901146	1836932	1642081
ეროვნული ვალუტა მიმოქცევაში	1310488	1296336	1416852	1407612	1290703
ბანკების დეპოზიტები	471314	434879	484294	429319	351378
სავალდებულო რეზერვები	278253	282537	296113	88204	121236
მათ შორის: უცხოურ ვალუტაში	277083	282479	296113	88204	121236
ნაშთების საკორესპონდენტო ანგარიშებზე	193061	152157	188181	341116	230142
მათ შორის: უცხოურ ვალუტაში	6118	25798	1179	5874	88952
სხვა დეპოზიტები	0	184	0	0	0
სადეპოზიტო ვალდებულებები	12338	689	1189	1840	1385
ეროვნულ ვალუტაში	12338	688	1189	1837	1384
უცხოურ ვალუტაში	0	1	1	2	1

7. სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვა

(ათასი ლარი)

	01.01.08	01.04.08	01.07.08	01.10.08	01.01.09
წმინდა უცხოური აქტივები	-1276116	-1394522	-1742414	-1775897	-1738029
უცხოური ვალუტის რეზერვები	604593	529232	580400	616067	1138783
უცხოური ფასიანი ქაღალდები	8263	7616	0	0	465
ინვესტიციები საზღვარგარეთ	3772	1367	1111	441	236
სესხები არარეზიდენტებზე	8754	8118	3545	3513	4168
უცხოური ვალდებულებები	-1856939	-1905113	-2305291	-2374296	-2875365
სხვა წმინდა უცხოური აქტივები	-44559	-35743	-22178	-21622	-6316
წმინდა საშინაო აქტივები	4139176	4337630	4736287	4586973	4959216
მთავრობის წმინდა დავალიანება	-59354	-77389	-108688	-82838	-71951
ცენტრალური მთავრობის წმინდა დავალიანება	30466	8083	1503	8259	-1081
სახაზინო ვალდებულებები	38185	28127	18063	18065	8019
სესხები ცენტრალურ მთავრობას	17135	14121	19876	26572	28014
ცენტრალური მთავრობის დეპოზიტები	-15938	-23481	-21605	-21045	-18397
ფინანსთა სამინისტროს სესხები კერძო ბიზნესის განვითარებისთვის	-8916	-10684	-14830	-15333	-18718
ადგილობრივი მთავრობის წმინდა დავალიანება	-49205	-44077	-46661	-44368	-23846
სესხები ადგილობრივ მთავრობას	0	0	0	0	0
ადგილობრივი მთავრობის დეპოზიტები	-49205	-44077	-46661	-44368	-23846
მისაღები პროცენტები	-40615	-41395	-63531	-46728	-47025
სახელმწიფო არასაფინანსო კორპორაციების დავალიანება	47973	83069	77723	53278	74860
მათ შორის სესხები უცხოურ ვალუტაში	23454	39554	39458	30164	21351
სხვა არასაფინანსო კორპორაციების დავალიანება	3080225	3260257	3449776	3317819	3697428
მათ შორის სესხები უცხოურ ვალუტაში	2213419	2244416	2381285	2405866	2885353
ფიზიკური პირების დავალიანება	1506663	1725369	2068813	2134382	2291847
მათ შორის სესხები უცხოურ ვალუტაში	939450	1048210	1199732	1268558	1495609
კერძო სექტორის სხვა დავალიანება	224847	299895	252016	309939	348350
ბანკების რეზერვები	627616	596389	660192	630377	558087
ლარი სალაროში	158417	164200	177830	202719	208150
სავალდებულო რეზერვები	278253	282537	296113	88204	121236
ნაშთები საკორესპონდენტო ანგარიშებზე	190946	149651	186249	339454	228702
ბანკების წმინდა დავალიანება	25360	27555	-241811	-342622	-477382
სხვა სადეპოზიტო კორპორაციების დავალიანება	120534	384202	413736	322479	170915
ვალდებულებები სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმართ	-418624	-748662	-835569	-682630	-516178
სებ-ის დავალიანება	376450	467016	180022	142979	77281
ვალდებულებები სებ-ის წინაშე	-53000	-75000	0	-125450	-209400
სხვა მუხლები, წმინდა	-1314154	-1577516	-1421733	-1433362	-1462022
სხვა აქტივები	788589	959047	1211868	1185067	1153771
სხვა ვალდებულებები	-2102743	-2536563	-2633601	-2618430	-2615793
სესხები სხვა რეზიდენტი არასაფინანსო კორპორაციებიდან	-220757	-196465	-195685	-195291	-231448
ფულადი ბაზრის ინსტრუმენტები	0	-7828	0	0	0
სხვა ვალდებულებები	-1881987	-2332270	-2437916	-2423138	-2384345
სადეპოზიტო ვალდებულებები	2863060	2943108	2993873	2811077	3221187
ეროვნულ ვალუტაში	984903	1143304	1192307	1073703	778560
უცხოურ ვალუტაში	1878157	1799803	1801565	1737373	2442627

8. საქართველოს დემოზიტური კორპორაციების მიმოხილვა

(ათასი ლარი)

	01.01.08	01.04.08	01.07.08	01.10.08	01.01.09
წმინდა უცხოური აქტივები	467255	412254	147321	-358933	-2294
წმინდა უცხოური აქტივები (სებ)	1743371	1806776	1889735	1416964	1735735
წმინდა უცხოური აქტივები (სდკ)	-1276116	-1394522	-1742414	-1775897	-1738029
წმინდა საშინაო აქტივები	3560214	3663679	4086764	4376741	4307420
საშინაო სესხები	5314955	5693246	5967823	6082003	6245238
მთავრობის წმინდა დავალიანება	352729	321366	116186	263245	-171198
ცენტრალური მთავრობის წმინდა დავალიანება (სებ)	412084	398754	224874	346083	-99246
ცენტრალური მთავრობის წმინდა დავალიანება (სდკ)	30466	8083	1503	8259	-1081
ადგილობრივი მთავრობის წმინდა დავალიანება (სებ)	0	0	0	0	0
ადგილობრივი მთავრობის წმინდა დავალიანება (სდკ)	-49205	-44077	-46661	-44368	-23846
მისაღები პროცენტები (სებ)	0	0	0	0	0
მისაღები პროცენტები (სდკ)	-40615	-41395	-63531	-46728	-47025
სახელმწიფო არასაფინანსო კორპორაციების დავალიანება	146916	83069	77723	53278	74860
სახელმწიფო არასაფინანსო კორპორაციების დავალიანება (სებ)	98942	0	0	0	0
სახელმწიფო არასაფინანსო კორპორაციების დავალიანება (სდკ)	47973	83069	77723	53278	74860
სხვა არასაფინანსო კორპორაციების დავალიანება	3080225	3260257	3449776	3317819	3697428
სხვა არასაფინანსო კორპორაციების დავალიანება (სებ)	0	0	0	0	0
სხვა არასაფინანსო კორპორაციების დავალიანება (სდკ)	3080225	3260257	3449776	3317819	3697428
ფიზიკური პირების დავალიანება	1510239	1728659	2072123	2137721	2295798
ფიზიკური პირების დავალიანება (სებ)	3575	3290	3310	3340	3951
ფიზიკური პირების დავალიანება (სდკ)	1506663	1725369	2068813	2134382	2291847
კერძო სექტორის სხვა დავალიანება	224847	299895	252016	309939	348350
კერძო სექტორის სხვა დავალიანება (სებ)	224847	299895	252016	309939	348350
სხვა მუხლები, წმინდა	-1754742	-2029567	-1881059	-1705262	-1937818
სხვა მუხლები, წმინდა (სებ)	-935146	-911795	-699877	-356935	-348352
ბანკების წმინდა დავალიანება	-303369	-392141	-180060	-17554	132100
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების წინაშე	0	0	0	0	0
ვალდებულებები სხვა დემოზიტური კორპორაციების მიმართ	-471314	-434879	-484294	-429319	-351378
სხვა წმინდა აქტივები	-160463	-84775	-35523	89908	-129074
სხვა მუხლები, წმინდა (სდკ)	-819595	-1117772	-1181182	-1348327	-1589466
სავალდებულო რეზერვები	278253	282537	296113	88204	121236
ნაშთები საკორესპონდენტო ანგარიშებზე	190946	149651	186249	339454	228702
ბანკების წმინდა დავალიანება	25360	27555	-241811	-342622	-477382
სხვა მუხლები, წმინდა	-1314154	-1577516	-1421733	-1433362	-1462022
მონეტარული აგრეგატი (M3)	4027469	4075932	4234084	4017809	4305126
მონეტარული აგრეგატი (M2)	2149311	2276128	2432518	2280434	1862498
ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული	1152070	1132136	1239022	1204893	1082554
დემოზიტები ეროვნულ ვალუტაში	997241	1143992	1193496	1075541	779944
დემოზიტები უცხოურ ვალუტაში	1878158	1799804	1801566	1737375	2442628

9. მონეტარული კოეფიციენტის დინამიკა

	სავალ- დებულო რეზერვები	კ/ბ-ის სა- კორესპონ- დენტო ანგარიშე- ბი სებ-ში	ნაღდი ფული კ/ბ-ში	კ/ბ-ის რეზერვებ- ის საერთო თანხა	დოლარი- ზაციის კოეფიცი- ენტი	ფულის მულტი- პლიკა- ტორი (M2)	ფულის მულტი- პლიკა- ტორი (M3)	ფულის მი- მოქცევის სინქარე (M2)	ფულის მი- მოქცევის სინქარე (M3)
	პროცენტულად კომერციული ბანკების სადეპოზიტო ვალდებულებებთან								
2007									
იანვარი	11.75	9.56	5.06	26.37	70.04	1.06	2.11		
თებერვალი	11.28	8.68	4.43	24.39	71.95	1.06	2.22		
მარტი	11.91	3.34	4.95	20.20	68.71	1.19	2.34	12.38	6.28
აპრილი	11.55	6.65	5.32	23.52	67.86	1.14	2.26		
მაისი	14.06	8.03	4.75	26.84	66.86	1.10	2.13		
ივნისი	9.32	8.60	4.79	22.72	67.04	1.17	2.33	10.26	5.18
ივლისი	9.73	7.57	4.63	21.93	65.30	1.22	2.34		
აგვისტო	9.26	8.91	4.48	22.65	65.77	1.20	2.34		
სექტემბერი	9.22	8.47	4.61	22.30	64.86	1.23	2.37	8.77	4.53
ოქტომბერი	9.80	7.13	4.25	21.19	64.46	1.26	2.40		
ნოემბერი	9.01	7.14	4.51	20.67	63.10	1.29	2.43		
დეკემბერი	9.68	6.71	5.51	21.90	65.32	1.21	2.26	7.91	4.22
2008									
იანვარი	9.24	5.25	4.85	19.34	66.73	1.26	2.49		
თებერვალი	9.86	5.96	5.23	21.05	65.52	1.23	2.36		
მარტი	9.60	5.17	5.58	20.34	61.14	1.31	2.35	8.38	4.68
აპრილი	9.12	4.70	5.55	19.37	62.98	1.30	2.36		
მაისი	10.11	5.39	5.37	20.86	62.15	1.28	2.31		
ივნისი	9.89	6.28	5.94	22.11	60.15	1.28	2.23	7.84	4.50
ივლისი	9.26	6.77	5.76	21.79	59.97	1.28	2.22		
აგვისტო	5.60	4.35	7.20	17.15	61.33	1.34	2.30		
სექტემბერი	3.14	12.13	7.21	22.47	61.76	1.24	2.19	8.36	4.75
ოქტომბერი	3.72	8.54	7.08	19.34	62.87	1.29	2.32		
ნოემბერი	3.93	3.73	6.51	14.17	70.29	1.31	2.69		
დეკემბერი	3.76	7.14	6.46	17.36	75.80	1.13	2.62	10.24	4.43

10. მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო ბანაკვითი

თარიღი	საპროცენტო განაკვეთი, %
23/1/08	10
20/2/08	11
19/3/08	11
16/4/08	12
14/5/08	12
25/6/08	12
23/7/08	12
20/8/08	11
10/9/08	10
17/9/08	10
15/10/08	10
26/11/08	9
24/12/08	8

შენიშვნა: 2008 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთის დასადგენად გამოიყენებოდა ისეთი ინსტრუმენტი, როგორცაა 7-დღიანი სადეპოზიტო სერტიფიკატი, ხოლო აღნიშნული თარიღის შემდეგ გამოიყენება 7-დღიანი რეფინანსირების განაკვეთი.

11. კომერციული ბანკების ქრედიტული პოლიტიკისა და პასივების დინამიკა (ათასი ლარი)

	1.01.08	1.04.08	1.07.08	1.10.08	1.01.09
ნაღდი ფულადი სახსრები	302607	346879	377025	403430	421319
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	1050605	1164671	1275520	1158611	1439111
ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის	3769	1131	884	238	719
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	422420	502396	198160	161105	85403
წმინდა სესხები	4424689	4818142	5301132	5030920	5454833
სესხები სახელმწიფო სექტორს	0	0	0	0	3
სესხები კერძო სექტორს (ბანკთაშორისი სესხების გარდა)	4580528	5003520	5527343	5428985	5982147
ბანკთაშორისი სესხები	8811	8118	3545	9930	10730
სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვები (-)	164651	193496	229756	407995	538047
დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები	63110	71611	74464	82319	98025
ინვესტიციები სანესდებო კაპიტალში	215388	290672	244303	302198	340387
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	572546	616150	719957	789540	832553
სხვა წმინდა აქტივები	153023	273446	414290	306593	193277
მთლიანი აქტივები	7208158	8085099	8605735	8234954	8865627
ვალდებულებები	5737111	6332295	6813797	6509643	7348376
ბანკების დეპოზიტები	296178	569676	628860	512824	277093
არასაბანკო დეპოზიტები	3215038	3303422	3445744	3186058	3567816
არასაბანკო დეპოზიტები მოთხოვნამდე	1592755	1601033	1616712	1544098	1697034
იურიდიული პირების ვადიანი დეპოზიტები	487703	471485	500574	462246	547430
ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტები	1069807	1163682	1260851	1115496	1281562
სამთავრობო სექტორის დეპოზიტები	64773	67221	67607	64218	41790
დარიცხული გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები	85803	72201	85109	87261	106179
ნასესხები სახსრები	1942394	2041836	2278319	2511567	3174137
სხვა ვალდებულებები	197698	345161	375765	211933	223151
სულ სააქციო კაპიტალი	1471046	1752804	1791939	1725311	1517250
განადგებული სანესდებო კაპიტალი	453991	547353	557546	591161	574293
კაპიტალის რეზერვები	669201	816461	833302	852776	849682
გაუნაწილებელი მოგება	347855	388989	401091	281373	93276
მთლიანი პასივები	7208158	8085099	8605735	8234954	8865627

12. კომერსიული ბანკების სასესიონო და დეპოზიტების მოსულობა და საშუალო წლიური შენობილი საპროცენტო განაკვეთები

		1.01.08	1.04.08	1.07.08	1.10.08	1.01.09
		ათასი ლარი				
სესხები ეროვნულ ვალუტაში იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე	სულ	1408408	1662785	1903468	1674546	1544401
	მოკლევადიანი	754340	868880	860052	645301	580656
	გრძელვადიანი	654068	793904	1043416	1029244	963745
სესხები უცხოურ ვალუტაში იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე	სულ	3096524	3239748	3534185	3597108	4278504
	მოკლევადიანი	579820	663087	780715	744276	896941
	გრძელვადიანი	2516704	2576660	2753470	2852832	3381563
ვადიანი დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში	სულ	297732	395232	485066	372345	230270
	მოკლევადიანი	246598	314453	418233	305150	186925
	გრძელვადიანი	51134	80779	66833	67195	43345
ვადიანი დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში	სულ	1259778	1239936	1276359	1205397	1598722
	მოკლევადიანი	830843	807803	932422	891810	1269177
	გრძელვადიანი	428935	432133	343937	313586	329546
		საპროცენტო განაკვეთები,%				
სესხები ეროვნულ ვალუტაში იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე	სულ	20.7	20.8	21.8	22.4	22.9
	მოკლევადიანი	21.2	21.1	22.2	23.5	24.0
	გრძელვადიანი	20.2	20.4	21.4	21.7	22.2
სესხები უცხოურ ვალუტაში იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე	სულ	16.7	16.6	16.8	17.2	17.7
	მოკლევადიანი	19.3	19.2	19.6	20.5	21.6
	გრძელვადიანი	16.1	15.9	16.0	16.3	16.7
დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში	სულ	9.4	8.6	9.6	9.9	10.0
	მოკლევადიანი	8.6	7.3	9.0	9.0	9.2
	გრძელვადიანი	13.1	13.6	13.5	13.9	13.9
დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში	სულ	8.8	8.9	9.1	9.5	10.0
	მოკლევადიანი	7.6	7.7	8.3	8.8	9.6
	გრძელვადიანი	11.1	11.2	11.1	11.4	11.7

13. კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხებით დავალიანება

(ათასი ლარი)

	სესხებით დავალიანება, სულ	მათ შორის:	
		ეროვნულ ვალუტაში	უცხოურ ვალუტაში
01.01.08	4504932	1408408	3096524
01.02.08	4571093	1460056	3111037
01.03.08	4713823	1546657	3167166
01.04.08	4902532	1662785	3239748
01.05.08	5125342	1741706	3383637
01.06.08	5280359	1827351	3453008
01.07.08	5437653	1903468	3534185
01.08.08	5570972	1910375	3660597
01.09.08	5369710	1791736	3577975
01.10.08	5271653	1674546	3597108
01.11.08	5236657	1622142	3614515
01.12.08	5774682	1560744	4213939
01.01.09	5822905	1544401	4278504

14. კომერციული ბანკების ვადაგადასცილებული სესხებით დავალიანება

(ათასი ლარი)

	ვადაგადასცილებული დავალიანება, სულ	მათ შორის:	
		ეროვნულ ვალუტაში	უცხოურ ვალუტაში
01.01.08	75597	31596	44000
01.02.08	99085	53154	45931
01.03.08	109360	43468	65892
01.04.08	100988	45599	55389
01.05.08	116605	50442	66164
01.06.08	105274	53837	51437
01.07.08	89690	39290	50401
01.08.08	99042	41987	57055
01.09.08	112406	54138	58268
01.10.08	157332	90624	66708
01.11.08	177404	98652	78751
01.12.08	208627	110074	98553
01.01.09	159245	83213	76032

**15. თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე აშშ დოლარით
ვაჭრობის შედეგები**
(ათასი აშშ დოლარი)

	გარიგების მოცულობა	გაყიდული აშშ დოლარი		ნაყიდი აშშ დოლარი		სებ-ის წმინდა ინტერვენციები
		კომ/ბანკების მიერ	სებ-ის მიერ	კომ/ბანკების მიერ	სებ-ის მიერ	
2007	1346600	1089175	257425	428424	918176	-660751
იანვარი	54945	40170	14775	41795	13150	1625
თებერვალი	74978	72458	2520	20394	54584	-52064
მარტი	100625	100625	0	7405	93220	-93220
ფინანსური აქტივი თუ ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად მიიჩნევა მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს რაიმე ფაქტის (ფაქტების) შედეგად გამოწვეული გაუფასურების ობიექტური საფუძველი, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ (წარმოშობილი “ზარალის ფაქტი”) და ზარალის ფაქტს (ფაქტებს) გაგვინა აქვს ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია. გაუფასურების საფუძველი შესაძლოა მიგვანიშნებდეს, რომ მსესხებელი, თუ მსესხებელთა ჯგუფი განიცდის ფინანსურ სირთულეებს, არღვევს პროცენტისა თუ ძირითადი თანხის დაფარვის განრიგს, არსებობს მისი გაკოტრების ალბათობა და სხვა, ან თუ სავარაუდოა სამომავლო ფულადი ნაკადების კლება ეკონომიკური პირობების ცვლილებიდან გამომდინარე, რაც გამოიწვევს საკონტრაქტო პირობების დარღვევას.

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულების მიმართ და ბანკებზე გაცემული სესხები

საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნებისა და ბანკებზე გაცემული სესხებისათვის, ბანკი თავდაპირველად ადგენს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი მნიშვნელოვანი გავლენის მქონე ფინანსური აქტივებისთვის ინდივიდუალურად, ან კოლექტიურად ამგვარი გავლენის ინდივიდუალურად არმქონე ფინანსური აქტივებისათვის. თუ დადგინდა, რომ არ არსებობს გაუფასურების ობიექტური საფუძველი, აქტივის ჩართვა ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფში, რომელთაც გააჩნიათ ანალოგიური საკრედიტო რისკები და ამ ფინანსური აქტივების ჯგუფის ერთობლივი შეფასება ხდება გაუფასურებასთან მიმართებაში. აქტივები, რომელთა ინდივიდუალური შეფასება ხდება გაუფასურებასთან მიმართებაში და რომელთათვისაც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ არის ჩართული გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების კოლექტიური შეფასების პროცესში.

თუ არსებობს გაუფასურების ზარალის წარმოშობის ობიექტური საფუძველი, ზარალის თანხა აღირიცხება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (მოსალოდნელი სამომავლო საკრედიტო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია). აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის გამოყენებით, ხოლო ზარალის თანხა აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. საპროცენტო შემოსავალი ერიცხება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას აქტივის თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით. სესხები დაკავშირებულ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მათი ამოღება აღარ არის რეალურად მოსალოდნელი და რეალიზებულია ან ბანკის მფლობელობაშია გადაცემული ყველა არსებული უზრუნველყოფა. თუ შემდგომში გაუფასურების ზარალი იზრდება, ან მცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, უწინ აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის კორექტირებით. თუ მომავალში მოხერხდა ჩამოწერილი თანხის ამოღება, ის კრედიტდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. თუ სესხს გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტის განაკვეთი გაუფასურების ზარალის შესაფასებლად წარმოადგენს მიმდინარე საპროცენტო განაკვეთს. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გამოთვლა ასახავს ფულად ნაკადებს, რომლებიც გამომდინარეობს გამოყენებული უზრუნველყოფიდან, რასაც აკლდება უზრუნველყოფის მიღებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები, იმისდა მიუხედავად, მოსალოდნელია თუ არა უზრუნველყოფის გამოყენება.

გაუფასურების კოლექტიურად შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია ბანკის შიდა საკრედიტო რანგირების სისტემაზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საკრედიტო რისკის მახასიათებლებს, როგორებიცაა აქტივის ტიპი, ინდუსტრიის დარგი, გეოგრაფიული მდებარეობა, უზრუნველყოფის ტიპი, ვადაგადაცილების სტატუსი და სხვა.

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადები, კოლექტიურად შეფასებული გაუფასურებასთან მიმართებაში, განსაზღვრულია ისტორიული ზარალის მიხედვით, მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების შესაბამისად. ისტორიული ზარალი კორექტირდება არსებულ მონაცემებზე დააყრდნობით, რათა ასახოს მიმდინარე პირობების გავლენა, ხოლო ის გარემოებები, რომლებიც ამჟამად აღარ არსებობს, არ არის გათვალისწინებული. სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო ცვლილებები ასახავს და შეესაბამება იმგვარ მონაცემებს, როგორებიცაა უმუშევრობის განაკვეთი, უძრავი ქონების ფასი, საქონლის ფასი, გადახდისუნარიანობა და სხვა. სამომავლო ფულადი ნაკადების განსაზღვრის მიზნით გამოყენებული შეფასების მეთოდოლოგიისა და დაშვებების გადახედვა ხდება რეგულარულად, განსაზღვრულ და რეალურ ზარალს შორის სხვაობის შემცირების მიზნით.

დაფარვის ვადაზე ფლობილი ფინანსური ინვესტიციები

დაფარვის ვადაზე ფლობილი ინვესტიციებისათვის, ბანკი ინდივიდუალურად აფასებს არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი. თუ არსებობს გაუფასურების ზარალის წარმოშობის ობიექტური საფუძველი, ზარალის თანხა აღირიცხება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ სამომავლოდ სავარაუდო გაუფასურების მოცულობა მცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, უწინ დარიცხული ნებისმიერი თანხა კრედიტდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

რესტრუქტურული სესხები

ბანკი ახდენს სესხების რესტრუქტურისა და შესაბამის შემთხვევაში. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს დაფარვების გრაფიკისა და სესხის პირობების შეცვლას. ხელმძღვანელობა მუდმივად ახდენს ხელახლა შეთანხმებული სესხების გადახედვას, რათა დარწმუნდეს, რომ ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია და სამომავლო დაფარვები სავარაუდოა. სესხები გაუფასურებასთან მიმართებაში კვლავაც ინდივიდუალურად ან კოლექტიურად ფასდება სესხის საწესის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა ხდება თუ:

- ამოიწურა აქტივის მიერ ფულადი სახსრების შემოტანის ვადა;
- ბანკმა გადასცა აქტივის მიერ ფულადი სახსრების შემოტანის უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე მესამე პირებისათვის გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ბანკის მიერ (ა) გადაცემულ იქნა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ბანკის მიერ გადაცემულ იქნა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, როდესაც ბანკის მიერ გადაცემულ იქნა აქტივიდან თანხის მიღების უფლება და არ მომხდარა რისკებისა და სარგებლის გადაცემა თუ აქტივზე კონტროლის გადაცემა, ბანკის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. უწყვეტი გამოყენება, რომელსაც გააჩნია გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის უმცირესი საბალანსო ღირებულებით და იმ მაქსიმალური თანხის გათვალისწინებით, რომლის გადახდაც შესაძლოა დასჭირდეს ბანკს.

როდესაც უწყვეტი გამოყენება მიიღებს გადაცემულ აქტივზე წერილობითი და/ან შექმნილი ოფციონის ფორმას (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით), ბანკის ჩართულობის ხარისხი წარმოადგენს იმ გადაცემული აქტივის თანხას, რომლითაც შესაძლებელია აქტივის გამოსყიდვა. თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს წერილობითი მიწოდების ოფციონი (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით) სამართლიანი ღირებულებით ასახულ აქტივზე, ბანკის ჩართულობის ხარისხი შემოიფარგლება გადაცემული აქტივების სამართლიანი ღირებულებასა და ოფციონის მიმდინარე საბაზრო ღირებულებას შორის უმცირესით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც ვალდებულებები აქტივთან მიმართებაში ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე, იმავე კრედიტორთან, თუმცა სხვა პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია გულისხმობს საწვის ვალდებულების აღიარების შეწყვეტას და ახალი ვალდებულების ასახვას, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია საბალანსო ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთით და აკუმულირებული გაუფასურებით. მშენებარე აქტივებსა და იმ აქტივებს, რომლებიც არ არის მომსახურებაში, ცვეთა ერიცხება იმ დროიდან, როდესაც აქტივი მზად არის გამოყენებისათვის.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედა ხდება გადაფასებასთან მიმართებაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს.

აქტივების ცვეთა ირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი მზად არის გამოყენებისათვის. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგი განაკვეთების გამოყენებით:

	%
შენობა-ნაგებობები	2
ავტო და მოწყობილობები	10-20
სატრანსპორტო საშუალებები	20

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

გასაყიდად განკუთვნილი აქტივები

ძირითადი საშუალებები კლასიფიცირებულია გასაყიდად გამოიზნულად, თუ მათი საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლებელია გაყიდვის გარეგნობით და არა უწყვეტი გამოყენების გზით. ამისათვის, აქტივის გაყიდვა მყისიერად უნდა იყოს შესაძლებელი მიმდინარე მდგომარეობაში, იმ პირობებით, რომლებიც ჩვეულებრივ გვხვდება ამგვარი აქტივების გაყიდვისას, აგრეთვე უნდა არსებობდეს მათი რეალიზაციის მაღალი ალბათობა.

რეალიზაციის მაღალ ალბათობად მიიჩნევა გარემოება, როდესაც ბანკის ხელმძღვანელობა გვემავს არამიმდინარე აქტივის გაყიდვას და ატარებს მოქმედებებს ამ გეგმის დასასრულებლად. გარდა ამისა ამ გაყიდვის აღიარება დასრულებულ გაყიდვად შესაძლებელი უნდა იყოს გასაყიდად გამოიზნულად კლასიფიცირების დღიდან ერთი წლის განმავლობაში.

გასაყიდად გამოიზნული ძირითადი საშუალებები შეფასება ხორციელდება საბალანსო ღირებულებასა და რეალური ღირებულებას (მინუს გაყიდვის საფასური) შორის უმცირესით. თუ გასაყიდად გამოიზნული აქტივის რეალური ღირებულება გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით უფრო ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როგორც გასაყიდად გამოიზნული ძირითადი საშუალებებიდან მიღებული ზარალი. აქტივის რეალური ღირებულების, გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით ნებისმიერი შემდგომი ზრდა აღირიცხება დაგროვილი გაუფასურების ზარალის მოცულობით, რომლის აღიარებაც წინა პერიოდში მოხდა ამ კონკრეტულ აქტივთან მიმართებაში.

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფას.

არამატერიალური აქტივი აღირიცხება ინდივიდუალურად და ფასდება თავდაპირველი თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა შეფასებულია განსაზღვრული თუ განუსაზღვრელი ვადით. ვადიანი არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის - 5 წლის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ინდიკაციის არსებობისას.

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია არ ხდება, არამედ ხდება მათი ყოველწლიური შემოწმება გაუფასურებასთან მიმართებაში, ინდივიდუალურად თუ ფულადი სახსრების გამომწეშავებელი ბიზნეს ერთეულის დონეზე. ამგვარი არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის გადახედვა ხდება ყოველწლიურად.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკს გააჩნია წარსული მოვლენიდან გამომდინარე მიმდინარე იურიდიული ან სავარაუდო ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მომტანი რესურსების გაღივება ვალდებულების დასაფარად, აგრეთვე შესაძლებელია ვალდებულების თანხის სარწმუნოდ განსაზღვრა.

მიმოქცევაში გაშვებული ფული

მიმოქცევაში გაშვებული ფული წარმოადგენს ბანკის მიერ კანონისა და ცენტრალური ბანკის ფუნქციის ფარგლებში გამოშვებულ ბანკოტებსა და მონეტებს. აღნიშნული აღრიცხულია საბალანსო ანგარიშგებაში ნომინალური ღირებულებით და განაშთულია ნაღდ ფულთან საღარიბოში.

ფულის გამოშვებასთან დაკავშირებული ხარჯი აღირიცხება წარმოშობისას.

როდესაც კომერციული ბანკები უბრუნებენ ბანკს ბანკოტებს, ხდება მათი მიმოქცევიდან ამოღება და მათი მდგომარეობიდან ან სტატუსიდან გამომდინარე, ხდება მათი ან განადგურება ან ბანკის სარეზერვო ფონდებში შენახვა.

ბანკის მიერ გამოშვებული სადეპოზიტო სერთიფიკატები

ბანკის მიერ გამოშვებული სადეპოზიტო სერთიფიკატები წარმოადგენს დისკონტურ ფასიან ქაღალდებს, რომლებიც საბალანსო ანგარიშგებაში აღრიცხულია ანგარიშსწორების თარიღით გასაყიდი ფასით, რაც წარმოადგენს მათ რეალურ ღირებულებას. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, სადეპოზიტო სერთიფიკატები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები

ერთეული ბანკი, მისი აქტივები, ქონება და შემოსავალი, აგრეთვე მის მიერ განხორციელებული საქმიანობა და ოპერაციები თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისაგან, გადასახადებისა და მოსაკრებლისაგან. ბანკზე ვრცელდება მხოლოდ საგადასახადო აგენტის მოვალეობები.

საპენსიო და სხვა ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ

ბანკს გააჩნია სახელმწიფო საპენსიო სქემისგან დამოუკიდებელი საპენსიო სქემა. ბანკის განსაზღვრული შენატანის მქონე საპენსიო სქემა მოიცავს ძირითადად სრულ განაკვეთზე მყოფ თანამშრომლებს. ბანკი აგროვებს შენატანებს მისი თანამშრომლებისგან. როდესაც თანამშრომელი მიადევს საპენსიო ასაკს, ხდება დაგროვილი შენატანების თანამშრომლისთვის გადახდა მასთანვე შეთანხმებული განრიგის შესაბამისად.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებების წევრობა

კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, ბანკი მოქმედებს როგორც საქართველოს მთავრობის შუამავალი საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებში (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი) საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ოპერაციებთან მიმართებაში, რაც ასევე მოიცავს ამ ორგანიზაციებისთვის გადახდილ საწევროს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც შექმნილია საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობების, გაცვლითი კურსის სტაბილურობისა და რეგულარული გაცვლითი ოპერაციების ხელშეწყობის მიზნით; ეკონომიკური განვითარების და დასაქმების დონის ამაღლებისათვის და სხვადასხვა ქვეყნების დროებითი ფინანსური ხელშეწყობისათვის. კვოტა, ანუ საწევრო შენატანები წარმოადგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდის რესურსების ძირითად წყაროს. საერთაშორისო სავალუტო ფონდი რესურსებს წევრი ქვეყნებისგან იღებს. თითოეული ქვეყნის შენატანი განისაზღვრება ქვეყნის ეკონომიკური დონის გათვალისწინებით და მხედველობაში მიიღება მსგავსი ქვეყნების შენატანები. წევრის შენატანი ასახავს მის საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ფინანსური და ორგანიზაციული ურთიერთობის ძირითად ასპექტებს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდისათვის გადახდილი საწევრო დენომინირებულია შ დ-ში და გადაფასებულია ლარში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფინანსური წლის ბოლოს დაწესებული სავალუტო გაცვლითი კურსით. კვოტა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტასთან მიმართებაში გამოშვებული ფასიანი ქაღალდი არ არიან წარმოდგენილი საბალანსო ანგარიშგებაში, რადგან ისინი არ წარმოადგენს ბანკის აქტივებსა და ვალდებულებებს, თუმცა გათვალისწინებულია როგორც გარეგანსური და შესაბამისად განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების მე-7-ე მენიშენაში.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული საბალანსო ანგარიშგებაში, მაგრამ გამჟღავნებულია იმ შემთხვევების გარდა, როდესაც დაფარვა არ არის მოსალოდნელი ახლო პერიოდში. პირობითი აქტივები არ არის აღიარებული საბალანსო ანგარიშგებაში, თუმცა გამჟღავნებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღება არის მოსალოდნელი.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება იმდენად, რამდენადაც დიდია ალბათობა იმისა, რომ ბანკი მიიღებს ეკონომიკურ შემოსავალს, რომლის გაზომვა იქნება რეალურად შესაძლებელი. ვიდრე მოხდებოდეს შემოსავლის აღიარება უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი კონკრეტული კრიტერიუმები:

პროცენტი და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტისათვის და სავაჭროდ გამიზნულად კლასიფიცირებული საპროცენტო სარგებლის მქონე ფასიანი ქაღალდებისათვის, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღრიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომლითაც ხდება მოსალოდნელი სამომავლო გადახდების/შემოსავლის ზუსტი დისკონტირება ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებაზე ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის ან უფრო მოკლე პერიოდში. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის საკონტრაქტო პირობებს (მაგალითად წინასწარი გადახდის ოფციონი) და მოიცავს ნებისმიერ გასამრჯელოს ან დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, თუმცა არ წარმოადგენს სამომავლო საკრედიტო ზარალს. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირებულია, თუ ბანკი გადახედავს მის მიერ სავარაუდოდ დასაფარ ან მისაღებ თანხებს. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღრიცხება როგორც საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივის ან მსგავსი აქტივების ჯგუფის ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალის გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მიესადაგება ახალ საბალანსო ღირებულებას.

შემოსავალი და ხარჯი გასამრჯელოდან და საკომისიოდან

ბანკი გამოიმუშავებს გასამრჯელო და საკომისიო კლიენტებისათვის გაწეული სხვადასხვა სახის მომსახურებიდან. გასამრჯელო და საკომისიო შემოსავალი მოიცავს საკასო ოპერაციებისა და კლიენტების მომსახურების საკომისიოს, რაც აღიარებულია შემოსავლად მომსახურების გაწევისას. გასამრჯელო და საკომისიო ხარჯი შედგება საკასო ოპერაციებისა და ანგარიშსწორების საკომისიოსაგან.

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც ბანკის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები წარმოდგენილია ფუნქციონალურ ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ლარში კონვერტაცია ხდება გაცვლითი კურსით ბალანსის შედგენის დღეს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი – საკურსო სხვაობა. არაფულადი საშუალებების კონვერტაცია, რომლებიც ისტორიული ღირებულების დადგენის მიზნით იზომება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი საშუალებები, რომლებიც იზომება უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის საკონტრაქტო გაცვლით კურსსა და ოპერაციის დღეს ბანკის გაცვლით კურსს შორის ჩართულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებულ მოგებას მინუს ზარალის მუხლში.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნით, 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკი იყენებდა შემდეგ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

	<u>2008</u>	<u>2007</u>
1 აშშ დოლარი	1.6670 ლარი	1.5916 ლარი
1 ევრო	2.3648 ლარი	2.3315 ლარი
1 ფუნტი სტერლინგი	2.4240 ლარი	3.1762 ლარი
1 SDR	2.5676 ლარი	2.5123 ლარი

უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსები ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღით შემდეგია:

	<u>2009 წლის 29</u> <u>აპრილი</u>
1 აშშ დოლარი	1.6500 ლარი
1 ევრო	2.1490 ლარი
1 ფუნტი სტერლინგი	2.3996 ლარი
1 SDR	2.4554 ლარი

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოქვეყნდა, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა

ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისათვის, რიგი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და მიმდინარე სტანდარტების ცვლილებები გამოქვეყნდა, რომლებიც ამ საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში არ შესულა და ბანკს არ მიუღია:

ფასის გაუმჯობესებები

2008 წლის მაისში, ბასს-მა წლიური გაუმჯობესების პროექტიდან გამომდინარე გამოსცა ფასის ცვლილებები. აღნიშნული მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის ცვლილებებს წარდგენასთან, აღიარებასა და შეფასებასთან მიმართებაში. აღნიშნული ასევე მოიცავს ტერმინოლოგიისა და სარედაქციო ცვლილებებს რიგ ფასს სტანდარტებთან მიმართებაში. ცვლილებების უმეტესობა ძალაშია 2009 წლის 1 იანვარს დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, თუმცა, ნებადართულია უფრო ადრეული მიღებაც. ბანკი ამჟამად აფასებს, თუ პოტენციურად რა გავლენა ექნება ცვლილებების მიღებას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს 23 “სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები”(კორექტირებული)

კორექტირებული ბასს 23 – “სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები”, გამოცემულ იქნა 2007 წლის მარტის თვეში და ძალაში შედის 2009 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური პერიოდებისათვის. სტანდარტის კორექტირება მოხდა სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯების კაპიტალიზაციის მოთხოვნის მიზნით, როდესაც ამგვარი ხარჯები დაკავშირებულია განსაკუთრებულ აქტივთან. განსაკუთრებული აქტივი ისეთი აქტივია, რომლის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდად მომზადებისათვის საჭიროა დროის მნიშვნელოვანი პერიოდი. სტანდარტის გარდამავალი მოთხოვნების შესაბამისად, ბანკი აღნიშნულ სტანდარტს მიიღებს სამომავლო ცვლილების სახით. შესაბამისად, სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება განსაკუთრებულ აქტივებზე 2009 წლის 1 იანვრის შემდგომი თარიღით. აღნიშნულ თარიღამდე სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ ხარჯებში, რომლებიც ხარჯების მუხლშია შესული, ცვლილებები არ შევა.

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

4. მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები

შეფასების განუსაზღვრელობა

ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის გატარებისას, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების დასადგენად, ბანკის ხელმძღვანელობამ გამოიყენა თავისი შეფასებები და დაშვებები. მათ შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იხილეთ ქვემოთ:

სესხის გაუფასურების რეზერვი

ბანკის მიერ რეგულარულად ხდება სესხებისა და მოთხოვნების გადახედვა გაუფასურებასთან მიმართებაში. ნებისმიერი გაუფასურების ზარალის განსაზღვრის მიზნით ბანკი იყენებს საკუთარ გამოცდილებაზე დაფუძნებულ შეფასებებს იმ შემთხვევებში, როდესაც მსესხებელს გააჩნია ფინანსური სირთულეები და მოიპოვება ისტორიული მონაცემები ანალოგიურ მსესხებლებთან მიმართებაში. შესაბამისად, ბანკი აფასებს სამომავლო ფულადი ნაკადების ცვლილებას, ეყრდნობა რა მონაცემებს, რომელთა მიხედვითაც შესაძლოა ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობისა და დაფარვების სტატუსის გაუარესება. ხელმძღვანელობა იყენებს შეფასებებს ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე და საკრედიტო რისკის მახასიათებლებზე დაყრდნობით და ობიექტურ საფუძველს ანალოგიური სესხებისა და მოთხოვნების, ან მათი ჯგუფის გაუფასურებასთან მიმართებაში. ბანკი ეყრდნობა საკუთარ შეფასებებს სესხებისა თუ მოთხოვნების სათანადო მონაცემების კორექტირებისათვის მიმდინარე მოვლენების აღრიცხვის მიზნით.

დაფარვის ვადაზე ფლობილი ინვესტიციების გაუფასურება

ბანკი ფლობს ინვესტიციებს სასესხო ფასიანი ქაღალდების სახით, მათი ჩათვლით, რომლებიც არ გვეხდება აქტიურ ბაზარზე. საბაზრო პირობების სამომავლო უარყოფითმა ცვლილებებმა ან დაბალმა საოპერაციო შედეგებმა შესაძლოა გამოიწვიოს ზარალი, რომელიც არ აისახება ინვესტიციების მიმდინარე საბალანსო ღირებულებაზე და შესაბამისად, მომავალში საჭირო გახდება გაუფასურების დარიცხვა. ბანკი რეგულარულად ახდენს ინვესტიციების გადახედვას გაუფასურების ინდიკატორების გამოსაველენად. აღნიშნული მიმოხილვა მოითხოვს სამომავლო მოვლენების შედეგების დაშვებას და იმის განსაზღვრას, არსებობს თუ არა ფაქტორები, რომლებიც მიუთითებს გაუფასურებაზე.

5. ფული და ფულადი ეკვივალენტები

	<u>2008</u>	<u>2007</u>
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	248,699	26,970
მიმდინარე ანგარიშები	115,320	8,708
საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებული 90 დღემდე ვადის მქონე დეპოზიტები	<u>1,070,571</u>	<u>1,109,640</u>
ფული და ფულადი ეკვივალენტები	<u>1,434,590</u>	<u>1,145,318</u>

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 565,156 ლარი (2007: 474,918 ლარი) განთავსებული იყო სუთ (2007: სუთი) საერთაშორისოდ აღიარებული ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეკთო) კომერციულ და ცენტრალურ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებსა და 90 დღემდე ვადის მქონე დეპოზიტებზე.

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 90 დღემდე ვადის მქონე დეპოზიტების წლიური საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონი იყო 0.10%-7.90% (2007: 4.25% - 5.36%).

6. მოთხოვნები არარეზიდენტი საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

	<u>2008</u>	<u>2007</u>
აკრედიტივებთან დაკავშირებით განთავსებული შეზღუდული დეპოზიტები	40,947	81,924
საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებული 90 დღეზე მეტი ვადის მქონე დეპოზიტები	-	59,613
მოთხოვნები არარეზიდენტი საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	<u>40,947</u>	<u>141,537</u>

2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 90 დღეზე მეტი ვადის მქონე დეპოზიტების წლიური საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონი იყო 3.5%-5.4%.

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული შეზღუდული დეპოზიტები უკავშირდება სამთავრობო აკრედიტივებს და ერიცხება წლიური 0.021% ევროში დენომინირებულ დეპოზიტებზე და 0% აშშ დოლარში დენომინირებულ დეპოზიტებზე. შეზღუდული დეპოზიტები ხელმისაწვდომი გახდება 2009 წლის ბოლოსთვის.

7. საერთაშორისო სავალუტო ფონდთან დაკავშირებული ნაშთები

	<i>2008</i>	<i>2007</i>
აქტივები		
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	20,515	23,533
ვალდებულებები		
ანგარიში № 1	892	968
ანგარიში № 2	24	25
საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმდინარე ანგარიშები	916	993
საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრები:		
სიღარიბის დაძლევა და ეკონომიკური ზრდა (PRGF)	350,986	399,907
სოფნდ-ბაი შეთანხმება (SBA)	411,887	-
სულ საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრები	762,873	399,907
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	763,789	400,900
გარებალანსური ნაშთები		
საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტა (საწევრო შენატანი)	357,188	385,915
საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრების უზრუნველსაყოფად ფლობილი ფასიანი ქაღალდი	(739,762)	(385,915)

SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში

SDR-ის ანგარიში წარმოადგენს ბანკის მიმდინარე ანგარიშს საერთაშორისო სავალუტო ფონდში, რომელიც გამოიყენება სესხებთან დაკავშირებული ოპერაციებისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ანგარიშსწორებისათვის. SDR-ის ანგარიშზე დარიცხული პროცენტის გაანგარიშება ხდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ყოველ კვირეულად დადგენილი განაკვეთით, რომელიც ეფუძნება ძირითად ფულად ბაზრებზე არსებულ მოკლევადიან საბაზრო განაკვეთებს. 2008 წლის განმავლობაში საშუალო წლიურმა საპროცენტო განაკვეთმა შეადგინა 2.56% (2007: 4.07%).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმდინარე ანგარიშები

ბანკს მოეთხოვება ორი საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიშის არსებობა: №1 და №2 მიმდინარე ანგარიში. ანგარიში №1 გამოიყენება საერთაშორისო სავალუტო ფონდთან საოპერაციო ანგარიშსწორებისათვის, მაშინ როდესაც ანგარიში №2 გამოიყენება საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მიმართებაში ლარში წარმოშობილი საოპერაციო ხარჯების დასაფარად.

საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან მიღებული სახსრები

საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან მიღებული სახსრები წარმოადგენს 0.5% წლიური საპროცენტო განაკვეთის მქონე ათწლიან PRGF სესხს, რომელიც მიღებულ იქნა სიღარიბის დაძლევისა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის ხელშეწყობისათვის, და ცვალებადი წლიური საპროცენტო განაკვეთის მქონე ოთხწლიან სოფნდ-ბაი შეთანხმებას, რომელიც მიღებულ იქნა საერთაშორისო რეზერვების აღსადგენად და ინვესტორთა ნდობის გასამყარებლად. სოფნდ-ბაი შეთანხმების წლიური საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონი 2008 წელს იყო 1.84%-3.63% (2007: 4.65%-5.66%). 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან მიღებული სახსრების სტრუქტურა 2007 წლის ბოლოსთან შედარებით განსხვავებულია, რადგან 2008 წლის სექტემბერში საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან მიიღო სოფნდ-ბაი შეთანხმება, რომლის დაფარვა შეთანხმებისამებრ დაიწყება 2010 წელს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოყოფილი სახსრები დენომინირებულია SDR-ში. PRGF სესხი სრულად დაიფარება 2017 წლისთვის, ხოლო სოფნდ-ბაი შეთანხმება 2012 წლისთვის.

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

7. საერთაშორისო სავალუტო ფონდთან დაკავშირებული ნაშთები (გაგრძელება)

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტა

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტა 150.3 მილიონი SDR-ის ოდენობით წარმოადგენს საქართველოს საწვერო შენატანს საერთაშორისო სავალუტო ფონდში და მას არ ერიცხება საპროცენტო განაკვეთი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრების უზრუნველსაყოფად ფლობილი ფასიანი ქაღალდი

ფასიანი ქაღალდი შედგება საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტის უზრუნველსაყოფად ფლობილი 357,188 ლარისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრების უზრუნველსაყოფად ფლობილი 382,574 ლარისაგან. ფასიანი ქაღალდი საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებულ იქნა 1992 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტასთან მიმართებაში. ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულება იცვლება ყოველწლიური გადაფასებისას და ბანკის მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდის საერთო რესურსების ანგარიშიდან სახსრების მიღებისას. ფასიანი ქაღალდს ბანკი ფლობს შენახვის მიზნით, შედეგად მისი აღრიცხვა ხდება გარეზღვევის ანგარიშზე და წარმოდგენილია ნომინალური ღირებულებით.

8. გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდები

	<u>2008</u>	<u>2007</u>
სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები:		
საფრანგეთის მთავრობის ობლიგაციები	423,985	32,537
ბელგიის სახაზინო ვალდებულებები	47,252	194,057
დანიის სახაზინო ვალდებულებები	35,294	-
პორტუგალიის სახაზინო ვალდებულებები	35,000	-
ამერიკის სახაზინო ვალდებულებები	29,304	72,598
გერმანიის მთავრობის ობლიგაციები	-	92,220
	570,835	391,412
საფინანსო ინსტიტუტების სავალო ფასიანი ქაღალდები:		
საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი	371,654	392,278
სულ გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდები უცხოურ ვალუტაში	942,489	783,690
სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები:		
საქართველოს მთავრობის ობლიგაციები	93,960	39,664
წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები:		
თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის აქციები	40	40
სულ გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდები ეროვნულ ვალუტაში	94,000	39,704
სულ გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდები	1,036,489	823,394

	<u>2008</u>		<u>2007</u>	
	<i>წლიური საპროცენტო განაკვეთი</i>	<i>ვალიანობა</i>	<i>წლიური საპროცენტო განაკვეთი</i>	<i>ვალიანობა</i>
საფრანგეთის მთავრობის ობლიგაციები	1.77% -	2009	3.82% - 3.90%	2008
სხვა უცხოური სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები	2.02% - 4.12%	2009	3.88% - 4.10%	2008
ამერიკის სახაზინო ვალდებულებები	3.10% -	2009-2013	3.10% - 4.90%	2008-2013
საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი	3.00% -	2009-2014	2.50% - 5.30%	2008-2013
საქართველოს მთავრობის ობლიგაციები	13.00%	2009-2012	13.00%	2009-2011

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

9. ადგილობრივი კომერციულ ბანკებზე გაცემული სესხები

	<u>2008</u>	<u>2007</u>
ერთდღიანი სესხები	-	33,000
რეფინანსირების სესხები	53,512	-
ბოლო ინსტანციის სესხები	155,900	40,132
ადგილობრივი კომერციული ბანკებისთვის გაცემული სესხები	209,412	73,132
მინუს - გაუფასურების რეზერვი	-	-
ადგილობრივი კომერციული ბანკებისთვის გაცემული სესხები	209,412	73,132

უზრუნველყოფა

უზრუნველყოფის ტიპი და მოცულობა დამოკიდებულია კრედიტორის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. სახელმძღვანელო დოკუმენტით განისაზღვრება უზრუნველყოფის ტიპი და შეფასების პარამეტრები. ბოლო ინსტანციის სესხებზე უზრუნველყოფა არ მოითხოვება. საქართველოს ეროვნული ბანკი კანონის თანახმად ფლობს უპირატეს უფლებას მოვალის აქტივებთან მიმართებაში.

უზრუნველყოფის ძირითად ტიპებს რეფინანსირების სესხებზე წარმოადგენს საკორესპონდენტო ანგარიშებზე განთავსებული ფულადი სახსრები და სამთავრობო/ეროვნული ბანკის სავალო ფასიანი ქაღალდები.

მენეჯმენტი მეთვალყურეობას უწევს უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას, მოითხოვს დამატებით უზრუნველყოფას თუ ეს ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული და მეთვალყურეობას უწევს იმ უზრუნველყოფას, რომელიც მიღებულ იქნა სესხის გაუფასურების რეზერვის ადეკვატურობის გადახედვისას.

ადგილობრივ კომერციულ ბანკებზე გაცემული სესხების ნაშთების კონცენტრაცია

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნულ ბანკს გაცემული ჰქონდა 138,908 ლარი სამ უმსხვილეს მსესხებელზე (სრული საკრედიტო პორტფელის 66%) (2007: 70,134 ლარი გაცემული ჰქონდა სამ უმსხვილეს მსესხებელზე, რომელიც წარმოადგენდა სრული საკრედიტო პორტფელის 96%-ს).

10. დაფარვის ვადამდე ფლობილი ფასიანი ქაღალდები

	<u>2008</u>		<u>2007</u>	
	<i>საბალანსო ღირებულება</i>	<i>ნომინალური ღირებულება</i>	<i>საბალანსო ღირებულება</i>	<i>ნომინალური ღირებულება</i>
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფასიანი ქაღალდები უცხოურ ვალუტაში				
საფინანსო ინსტიტუტების სავალო ფასიანი ქაღალდები				
საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი	66,057	66,680	154,212	154,343
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფასიანი ქაღალდები ეროვნულ ვალუტაში				
საქართველოს მთავრობის ობლიგაციები	690,796	688,846	738,782	736,846
სულ დაფარვის ვადამდე ფლობილი ფასიანი ქაღალდები	756,853	755,526	892,994	891,189

აღნიშნული ფასიანი ქაღალდების ნომინალური საპროცენტო განაკვეთები და ვადიანობა არის შემდეგი:

	<u>2008</u>		<u>2007</u>	
	%	<i>ვადიანობა</i>	%	<i>ვადიანობა</i>
საფინანსო ინსტიტუტების სავალო ფასიანი ქაღალდები	3.3% - 3.6%	2009-2010	3.0% - 5.0%	2008
საქართველოს მთავრობის ობლიგაციები	6%	2009-2025	6%	2008-2025

დაფარვის ვადამდე ფლობილი ფასიანი ქაღალდები ეროვნულ ვალუტაში წარმოადგენს საქართველოს მთავრობასა და ბანკს შორის 2006 წლის მარტში გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებს, რის შედეგადაც მოხდა სამთავრობო სესხის სავალო ფასიან ქაღალდად გადაქცევა. გამოშვებული საპროცენტო განაკვეთი ექვემდებარება ყოველწლიურ გადახედვას არსებული საბაზრო განაკვეთების გათვალისწინებით.

11. გასაყიდად განკუთვნილი ძირითადი საშუალებები

	<u>2008</u>	<u>2007</u>
საწყისი ნაშთი	865	728
ზრდა	16,175	797
გასვლა	(3,466)	(660)
შეფასების ეფექტი	(2,314)	-
საბოლოო ნაშთი	<u>11,260</u>	<u>865</u>

გასაყიდად გამიზნული ძირითადი საშუალებების ზრდა ძირითადად მოიცავს ბანკის მიერ 2008 წელს დახურული ფილიალების შენობებს. ბანკმა მოახდინა აღნიშნული შენობების გასაყიდად განკუთვნილ ძირითად საშუალებებად კლასიფიცირება, რადგან ისინი აღარ გამოიყენება ბანკის საქმიანობისთვის და მათი საბალანსო ღირებულების ამოღება მოხდება გაყიდვის გარიგებიდან და არა გრძელვადიანი გამოყენებიდან. 2,314 ლარის შეფასების ეფექტი გამოწვეულია გასაყიდად განკუთვნილი ძირითადი საშუალებების ჩამოწერით რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯებამდე.

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

12. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა შემდეგია:

	შენობა ნაგებობები	ავეჯი და მოწყობილობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	ტრანსპორტი და სხვა	სულ
ღირებულება					
2007 წლის 31 დეკემბერი	34,275	6,400	128	13,463	54,266
ზრდა	-	193	398	213	804
გასვლა	-	(323)	-	(545)	(868)
გასაყიდად კლასიფიცირებული აქტივები	(16,003)	-	-	-	(16,003)
გადატანა	398	-	(398)	-	-
2008 წლის 31 დეკემბერი	18,670	6,270	128	13,131	38,199
დაგროვილი ცვეთა					
2007 წლის 31 დეკემბერი	(4,747)	(4,686)	-	(10,126)	(19,559)
წლის დარიცხვა	(537)	(681)	-	(1,247)	(2,465)
გასვლა	-	301	-	362	663
გასაყიდად კლასიფიცირებული აქტივები	2,189	-	-	-	2,189
2008 წლის 31 დეკემბერი	(3,095)	(5,066)	-	(11,011)	(19,172)
წმინდა საბალანსო ღირებულება:					
2007 წლის 31 დეკემბერი	29,528	1,714	128	3,337	34,707
2008 წლის 31 დეკემბერი	15,575	1,204	128	2,120	19,027

	შენობა ნაგებობები	ავეჯი და მოწყობილობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	ტრანსპორტი და სხვა	სულ
ღირებულება					
2006 წლის 31 დეკემბერი	35,511	6,872	438	13,016	55,837
ზრდა	179	31	7	843	1,060
გასვლა	(643)	(503)	(51)	(438)	(1,635)
გასაყიდად კლასიფიცირებული აქტივები	(996)	-	-	-	(996)
გადატანა	224	-	(266)	42	-
2007 წლის 31 დეკემბერი	34,275	6,400	128	13,463	54,266
დაგროვილი ცვეთა					
2006 წლის 31 დეკემბერი	(4,370)	(4,299)	-	(9,084)	(17,753)
წლის დარიცხვა	(694)	(868)	-	(1,442)	(3,004)
გასვლა	118	481	-	400	999
გასაყიდად კლასიფიცირებული აქტივები	199	-	-	-	199
2007 წლის 31 დეკემბერი	(4,747)	(4,686)	-	(10,126)	(19,559)
წმინდა საბალანსო ღირებულება:					
2006 წლის 31 დეკემბერი	31,141	2,573	438	3,932	38,084
2007 წლის 31 დეკემბერი	29,528	1,714	128	3,337	34,707

13. სხვა აქტივები და ვალდებულებები

სხვა აქტივები შედგება:

სხვა აქტივები უცხოურ ვალუტაში

წინასწარი გადახდები
სხვა მოთხოვნები

	<u>2008</u>	<u>2007</u>
	572	3
	3	-
	<u>575</u>	<u>3</u>

სხვა აქტივები ეროვნულ ვალუტაში

თანამშრომლებზე გაცემული სესხები
საინვესტიციო ოქროს მონეტები
წინასწარი გადახდა
სხვა მოთხოვნები

	3,951	3,575
	2,739	3,617
	5	1,435
	50	34
	<u>6,745</u>	<u>8,661</u>

მინუს – სხვა აქტივების გაუფასურების რეზერვი

	(1,691)	(623)
--	---------	-------

სულ სხვა აქტივები

	<u>5,054</u>	<u>8,038</u>
--	--------------	--------------

სხვა ვალდებულებები შედგება:

სხვა ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში

ვალდებულებები მომწოდებლების წინაშე
სხვა ვალდებულებები

	<u>2008</u>	<u>2007</u>
	1,244	-
	199	18
	<u>1,443</u>	<u>18</u>

სხვა ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში

საპენსიო სქემის ვალდებულებები
გასაცემი პრემიები

	2,759	4,158
	1,485	-

სხვა ვალდებულებები

	516	512
--	-----	-----

	<u>4,760</u>	<u>4,670</u>
--	--------------	--------------

სულ სხვა ვალდებულებები

	<u>6,203</u>	<u>4,688</u>
--	--------------	--------------

2,759 ლარის საპენსიო სქემის ვალდებულება 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2007: 4,158 ლარი) წარმოადგენს დადგენილ შენატანიან საპენსიო სქემასთან დაკავშირებულ ვალდებულებას. შენატანებს საპენსიო სქემაში ყოველთვიურად ახორციელებს ბანკი (თანამშრომლის თვიური თანამდებობრივი სარგოს 13%) და თანამშრომელი (თანამშრომლის თვიური თანამდებობრივი სარგოს 1%). თანამშრომლის საპენსიო ასაკის დადგომისას საპენსიო დანაგროვი გადაეცემა სქემის მონაწილეს წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით.

სხვა აქტივების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა არის შემდეგი:

	<i>სხვა აქტივები</i>
2006 წლის 31 დეკემბერი	<u>(231)</u>
დანარიცხები	(400)
ჩამოწერა	8
2007 წლის 31 დეკემბერი	<u>(623)</u>
დანარიცხები	(1,105)
ჩამოწერა	37
2008 წლის 31 დეკემბერი	<u>(1,691)</u>

სხვა აქტივების გაუფასურების რეზერვი შეადგენს თანამშრომლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვს და გამოიქვითება შესაბამისი აქტივების საბალანსო ღირებულებიდან.

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

14. მიმოქცევაში გაშვებული ფული

მიმოქცევაში გაშვებული ფული წარმოადგენს ბანკის მიერ გამოშვებულ საქართველოს ეროვნულ ვალუტას. მოძრაობა მიმოქცევაში გაშვებული ფულის ანგარიშზე არის შემდეგი:

	<u>2008</u>	<u>2007</u>
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	1,310,488	929,634
მიმოქცევაში გაშვებული ბანკნოტები	955,540	966,391
მიმოქცევაში გაშვებული მონეტები	5,186	11,270
მინუს: ნაღდი ფული საღარიბოში ეროვნულ ვალუტაში	(13,282)	(16,980)
მიმოქცევიდან ამოღებული ბანკნოტები	(963,863)	(579,085)
მიმოქცევიდან ამოღებული მონეტები	(3,366)	(742)
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	<u><u>1,290,703</u></u>	<u><u>1,310,488</u></u>

15. ვალდებულებები ადგილობრივი საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

	<u>2008</u>	<u>2007</u>
ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში		
საკორესპონდენტო ანგარიშები	88,952	6,118
მინიმალური სარეზერვო მოთხოვნა	121,236	277,267
	<u>210,188</u>	<u>283,385</u>
ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში		
საკორესპონდენტო ანგარიშები	141,190	186,943
მინიმალური სარეზერვო მოთხოვნა	-	1,170
	<u>141,190</u>	<u>188,113</u>
ვალდებულებები ადგილობრივი საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	<u><u>351,378</u></u>	<u><u>471,498</u></u>

მიმდინარე ანგარიშებსა და მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებში შედის 185,506 ლარის (2007: 320,861 ლარი) სამი უმსხვილესი ადგილობრივი კომერციული ბანკის ნაშთები. თითოეული ბანკის ნაშთი აღემატება საკრედიტო დაწესებულებების მიმართ ვალდებულებების 10%-ს.

მინიმალური სარეზერვო მოთხოვნა წარმოადგენს სავალდებულო რეზერვებს, რომელთა განთავსება მოეთხოვებათ საკრედიტო დაწესებულებებს საქართველოს ეროვნულ ბანკში და გამოითვლება საკრედიტო დაწესებულების მიერ მოზიდული სახსრების 5%-ის ოდენობით. 2008 წლის დასაწყისში მინიმალური სარეზერვო მოთხოვნა წარმოადგენდა საკრედიტო დაწესებულების მიერ მოზიდული სახსრების 13%-ს. 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წლიური საპროცენტო განაკვეთი აშშ დოლარში დენომინირებულ მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებზე შეადგენდა 0%-ს და ევროში დენომინირებულ მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებზე 2.25%-ს.

16. ვალდებულებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ

	<u>2008</u>	<u>2007</u>
ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში		
მიმდინარე ანგარიშები	15,284	6,801
შეზღუდული თანხები აკრედიტივებისთვის	1,058	2,717
	<u>16,342</u>	<u>9,518</u>
ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში		
მიმდინარე ანგარიშები	823,764	359,585
შეზღუდული თანხები აკრედიტივებისთვის	39,865	81,028
	<u>863,629</u>	<u>440,613</u>
ვალდებულებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ	<u><u>879,971</u></u>	<u><u>450,131</u></u>

17. ვალდებულებები სხვა კლიენტების მიმართ

	<u>2008</u>	<u>2007</u>
ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში		
ვალდებულებები უცხოური საფინანსო დაწესებულებების მიმართ	-	4,232
	<u>-</u>	<u>4,232</u>
ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში		
სახელმწიფო და საბიუჯეტო ორგანიზაციები	1,216	313
საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებები	3,161	2,868
სხვა	169	12,025
	<u>4,546</u>	<u>15,206</u>
ვალდებულებები სხვა კლიენტების მიმართ	<u>4,546</u>	<u>19,438</u>

ვალდებულებები საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებების მიმართ 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის 3,061 ლარის მიმდინარე ანგარიშს (2007: 2,868 ლარი) და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის 100 ლარის მიმდინარე ანგარიშს (2007: ნული).

18. გამოშვებული სადეპოზიტო სერთიფიკატები

	<i>წლიური საპროცენტო განაკვეთი</i>	<i>ვალიანობა</i>	<i>ნომინალური ღირებულება</i>	<i>საბალანსო ღირებულება</i>
სადეპოზიტო სერთიფიკატები 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10.99% - 13%	8 იანვარი – 26 მარტი, 2009	78,050	77,352
სადეპოზიტო სერთიფიკატები 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7.98% - 13%	4 იანვარი – 11 ივნისი, 2008	382,080	376,541

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

19. კაპიტალი

კანონის შესაბამისად, ბანკის კაპიტალი შედგება მისი საწესდებო კაპიტალისა და სარეზერვო ფონდისაგან.

საწესდებო კაპიტალი

ბანკის საწესდებო და სრულად განადგებული კაპიტალი შეადგენს 15,000 ლარს.

სხვა რეზერვები

მოძრაობა სხვა რეზერვებში არის შემდეგი:

	<i>სარეზერვო ფონდი</i>	<i>უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვი</i>	<i>გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდების გადაფასების რეზერვი</i>	<i>სულ</i>
2007 წლის 1 იანვარი	56,081	-	(143)	55,938
წმინდა არარეალიზებული მოგება გასაყიდად არსებული აქტივებიდან	-	-	10,335	10,335
გასაყიდად არსებული აქტივების გასვლის გამო წმინდა რეალიზებული მოგების გადატანა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში	-	-	(634)	(634)
სარეზერვო ფონდში გადატანა	4,611	-	-	4,611
2007 წლის 31 დეკემბერი	60,692	-	9,558	70,250
წმინდა არარეალიზებული მოგება გასაყიდად არსებული აქტივებიდან	-	-	10,380	10,380
გასაყიდად არსებული აქტივების გასვლის გამო წმინდა რეალიზებული მოგების გადატანა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში	-	-	(3,358)	(3,358)
უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვში გადატანა	-	9,824	-	9,824
სარეზერვო ფონდში გადატანა	58,905	-	-	58,905
2008 წლის 31 დეკემბერი	119,597	9,824	16,580	146,001

სარეზერვო ფონდი

კანონის 23-ე მუხლში შეტანილი ცვლილების თანახმად ეროვნული ბანკის საერთო სარეზერვო ფონდმა უნდა შეადგინოს სარეზერვო ფულის (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემიტირებული ნაღდი ფული და საქართველოს კომერციული ბანკის მიერ ეროვნულ ბანკში არსებულ ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში არსებული სახსრები) 15 პროცენტი. ეროვნული ბანკის საერთო სარეზერვო ფონდი იქმნება წლის რეალიზებული მოგებიდან, რომელიც შეადგენს წლის წმინდა მოგება გადაფასებით გამოწვეული არარეალიზებული წმინდა მოგების გამოკლებით. საერთო სარეზერვო ფონდი გამოიყენება მხოლოდ ბანკის ზარალის საკომპენსაციოდ. საერთო სარეზერვო ფონდის შემდეგ საფინანსო წლის რეალიზებული მოგების დარჩენილი თანხა უნდა გადაირიცხოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ანგარიშზე. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე და 24-ე მუხლებში 2008 წლის 14 მარტით დათარიღებული (N5908) და 2009 წლის 1 იანვარს ძალაში შესული ცვლილებები ვრცელდება ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული პერიოდისათვის და 2008 წლის მოგების განაწილება უნდა მოხდეს და უნდა იყოს ასახული 2008 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ზემოთ ხსენებული ცვლილებების შესაბამისად.

2008 წლის 14 მარტს 23-ე მუხლში შეტანილ ცვლილებამდე ბანკი ადგენდა სარეზერვო ფონდის წლის რეალიზებული მოგების არაუმეტეს 50%-ის განაწილებით, სანამ სარეზერვო ფონდი არ გაუთანაბრდებოდა განადგებულ საწესდებო კაპიტალს. ეროვნული ბანკის საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება სარეზერვო ფონდი განადგებულ საწესდებო კაპიტალზე მეტი ყოფილიყო. სარეზერვო ფონდის დადგენის შემდეგ რეალიზებული მოგების დარჩენილი თანხა გადაირიცხებოდა სახელმწიფო ბიუჯეტში საფინანსო წლის დასრულებიდან ოთხი თვის განმავლობაში.

ბანკის 2007 წლის დარჩენილი რეალიზებული მოგება 25,000 ლარის ოდენობით გადაერიცხა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2008 წელს (2007: 40,000 ლარი გადაირიცხა 2006 წლის რეალიზებული მოგებიდან). 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სარეზერვო ფონდი არ აღემატებოდა სარეზერვო ფულის 15 პროცენტს და შედეგად არ მომხდარა რეალიზებული მოგების განაწილება სახელმწიფო ბიუჯეტისთვის, ხოლო 2007 წელს 4,611 ლარი გადაინაწილდა სარეზერვო ფონდში საბჭოს გადაწყვეტილებით.

19. კაპიტალი (გაგრძელება)*უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვი*

კანონის შეცვლილი 23-ე მუხლის თანახმად გადაფასებით გამოწვეული არარეალიზებული წმინდა მოგება მიემართება გადაფასების შესაბამის სპეციალურ რეზერვში, რომელიც გამოიყენება მხოლოდ მომავალი გადაფასების წმინდა ზარალის საკომპენსაციოდ. გადაფასების სპეციალური რეზერვის არარსებობის შემთხვევაში გადაფასების წმინდა ზარალი არ კომპენსირდება და რჩება წმინდა მოგებაში.

გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდების გადაფასების რეზერვი

აღნიშნული რეზერვი წარმოადგენს გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულების ცვლილებას.

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

20. პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო გარემო

როგორც განვითარებად ბაზარს, საქართველოს არ გააჩნია მაღალგანვითარებული ინფრასტრუქტურა, რომელიც, როგორც წესი, ახასიათებს უფრო მომწიფებულ საბაზრო ეკონომიკას. საქართველოში ფუნქციონირება დაკავშირებულია ისეთ რისკებთან, რომლებიც, როგორც წესი, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა, რამაც დადებითი გავლენა იქონია ქვეყნის საინვესტიციო გარემოზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია რეფორმები საბანკო, იურიდიულ, საგადასახადო და მარგულირებელი სისტემების ეფექტიანობის გაზრდის მიმართულებით. ყოველივე ამან ხელი შეუწყო მაკროეკონომიკურ სტაბილურობას, ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს და უცხოური ინვესტიციების შემოდინებას. ხელმძღვანელობის აზრით, აღნიშნული ნაბიჯები ამცირებს ბიზნესის წარმოების რისკებს საქართველოში.

